საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

№248 (12 318)

20 ოქტომბერი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი


ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი

## ბოსნიასთან თუ იორდანიასთან?

მიმდინარე შესარჩევი ციკლის დასკვნით მატჩს ჩვენი ეროვნული გუნდი 21 ნოემბერს ლიტვასთან გამართავს. თუმცა ამ შეხვედრამდე 4 დღით ადრე, ანუ 17 ნოემბერს, ფიფას მიერ გამოყოფილ სათამაშო დღეს ამხანაგური მატჩის ჩატარება შეგვიძლია. ფეხბურთის ფედერაცია საამისოდ სხვადასხვა ქვეყნის ფედერაციებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. ამას წინათ გაცნობეთ, რომ გამოიკვეთა ბოსნიის ვარიანტი. თუ ბალკანელებთან შეთანხმებას მივაღწევთ, მაშინ ბოსნიას თბილისში ვუმასპინძლებთ. ამავე თარიღისთვის გამოჩნდა კიდევ ერთი, იორდანიის ვარიანტიც.

"17 ნოემბერს გასამართი ამხანაგური მატჩისთვის ამჟამად ორი ვარიანტი გვაქვს – ბოსნია და იორდანია. ამ ქვეყნის ფედერაციებთან მოლაპარაკებები გრძელდება. ბოსნისა თანახმაა, თბილისში გვესტუმროს, იორდანიას ადრე შინ ვეთამაშეთ და თუ შეთანხმება შედგა, მათთან ამჯერად უკვე სტუმრად მოგვიწევს თამაში. მხარეებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს და საკითხი საბოლოოდ მომავალ კვირაში გადაწყდება", - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ**.

**დავით ცაბაძე**





## ეპოქის დასასრული

დღეს მსოფლიო თასის ფინალია
სამხრეთი აფრიკა vs ინგლისი

13

ჯონი ვილკინსონის წარმოსახვითი ძეგლი ლონდონში, ტრაფალგარის მოედანზე



U19. ევროპის ჩემპიონატი. პირველი შესარჩევი ეტაპი

## ნორვეგიასთან გადამწყვეტი მატჩია

3

## მსოფლიო რაგბის ახალი შეფი

გუშინ პარიზში, IRB-ის სხდომაზე მსოფლიო რაგბის ახალ შეფად საფრანგეთის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი **ბერნარ ლაპასე** აირჩიეს. ძველ თავმჯდომარეს, ირლანდიელ **სიდ მილარს** ვადა გაუვიდა და ახალი ვადით კენჭისყრაზე თავისი კანდიდატურა აღარ დააყენა. ბერნარ ლაპასე მსოფლიო რაგბის პირველი კაცი ოფიციალურად 1 იანვრიდან გახდება და მისი თავჯდომარეობა, სულ მცირე, უახლოესი ოთხი წელიწადი გაგრძელდება.

"ბედნიერი ვარ რომ ისეთი კაცის მემკვიდრეობა მერგო წილად, რომელიც იყო უდიდესი მოთამაშე, მწვრთნელი და მენეჯერი. დიდი მადლობა დოქტორ მილარს მსოფლიო რაგბის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი როლისთვის. ეს თამაში ასეთი ჯანსაღი არასოდეს ყოფილა, რისი ნათელი დადასტურება მიმდინარე მსოფლიო თასია." - განაცხადა ბერნარ ლაპასემ, რომელიც 1947 წელს დაიბადა პარიზში. ლაპასეს პარიზის უნივერსიტეტის გუნდში და "აჟენში" უთამაშია. დიდ წარმატებას კი რაგბის ფუნქციონერობისას მიაღწია, რისი გვირგვინიც გუშიუნდელი არჩევა იყო. ლაპასე მსოფლიო თასზე მოთამაშე ნაკრებთა შემცირების წინააღმდეგია. მოკლედ, რაგბის ქართველ მოყვარულთა სასიხარულოდ ყინული დაიძრა. მსოფლიო თასზე მონაწილე გუნდების რაოდენობის საკითხი ოფიციალურად ნოემბერში გადაწყდება. ყველა ვარაუდით, 2011 წლის მსოფლიო თასზე ისევ 20 გუნდი ითამაშებს.



პენალტი დინამოს კარში გელაშვილის (9) წინააღმდეგ კრშკოს უხეშ თამაშს მოჰყვა

საქართველოს ჩემპიონატი IX ტური

2-4

## ზესტაფონს სტაბილურობა დღეს დაუფასდება

### დინამოში კი გარჩევებია

აქამდე საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის გამარჯვებული 11 ნოემბრის მატჩს უნდა გაერკვია, მაგრამ გუშინ მოვლენები ისე განვითარდა, წესით, ლიდერი "დინამო"-"ზესტაფონამდე" უნდა შეიცვალოს. **უჰრინის** გუნდმა გუშინ ვერც მოედანზე გააწყო რამე მისთვის ტრადიციულად უხერხული "ვიტ ჯორჯიის" წინააღმდეგ და მოედნის მიღმაც შეირცხვინა თავი. აქამდე ასე ყოფილა - ჩხუბი მეტოქეთა შორის გამართულა, აი, თანაგუნდელებს სახალხოდ ეჩხუბოთ ერთმანეთში, არ მომხდარა. ფეროელებს კი გასალიდერებლად ხვალ არცთუ რთული დაბრკოლება აქვთ გადასალახი - აქამდე აუტსაიდერი "მერანის" დაჩაგვრა თითქმის არავის გასჭირვებია და მახარაძის ბიჭებს რა ღმერთი უნდა გაუწყრეს. მოკლედ, ამ ტურმა ეროვნულ ჩემპიონატში საკმაოდ ბევრი რამ შეცვალა, ტური კი ჯერ არც დასრულებულა, შეხვედრების ნაწილი გუშინ გაიმართა, შაბათის ერთადერთ შეხვედრას გორი მასპინძლობს, დანარჩენი დაპირისპირებები კი ხვალ გველის.

| | | | |
|---|---|---|---|
| **დინამო-ვიტ ჯორჯია** | **0:1** | **ბორჯომი-ლოკომოტივი** | **2:1** |
| **ბათუმი-ამერი** | **0:3** | **სიონი-დილა** | **5:1** |

გახსენი...
ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენს კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge



**დინამო-ვიტ ჯორჯია**

**0:1**

19.10. თბილისი. ეროვნული
300 მაყურებელი

0:1 რაზმაძე (80. პენ)

დინამო: ოვონო - შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში - დილმელაშვილი, ხმალაძე - სპასოევიჩი (60. კობახიძე), ხუციშვილი (82. ოდიკაძე), მერებაშვილი (85 ფეიქრიშვილი) - აკირემი

*სათადარიგოები:* *გრიშიკაშვილი, თომაშვილი, გ. კაშია, ფირცხალავა*

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე - გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, მელქაძე (78. მაისაშვილი), კლიმიაშვილი - გელაშვილი (87. ლუჭაშვილი), სახოკია (90. ბერიშვილი)

*სათადარიგოები: მიქაბერიძე, ადამაძე, კაიშაური, ლიპარტია*

გაფრთხილება: გ. დათუნაიშვილი (24), დილმელაშვილი (25), მელქაძე (25), ხმალაძე (45), კრშკო (63), ხუციშვილი (70), კლიმიაშვილი (74), მერებაშვილი (84)

არბიტრი: გიორგი ვადაჭკორია

**9.** ლექსო კვახაძის ოცდახუთიოდე მეტრიდან გასროლილს სიზუსტე დააკლდა.

**13.** დავით დილმელაშვილმა ჩააწოდა, ლევან ხმალაძემ გრიგოლ ბედიაშვილს დაასწრო, მაგრამ ბურთი მეკარისგან მიტოვებულ კარს ვერ დაუმიზნა.

**14.** ირაკლი კლიმიაშვილმა ოციოდე მეტრიდან ააცილა "დინამოს" კარს.

**21.** ზაზა სახოკია შეიჭრა "დინამოს" საჯარიმოში, მაგრამ ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ ვიტელს ნედ ზელიჩმა არ დაანება კარში დარტყმა.

**22.** "ვიტ ჯორჯიამ" კუთხური ჩააწოდა, "დინამოს" კართან დიდი ორომტრიალი შეიქნა, რაც რამდენიმე წამი გაგრძელდა - მასპინძლებმა ბურთის საჯარიმოდან გამოტანა მოახერხეს.

**34.** ილია სპასოვიჩმა ოცდახუთიოდე მეტრიდან არაზუსტად დაარტყა.

**40.** სახოკიამ კარგად გაუჭრა პასი გიორგი დათუნაიშვილს, რომელმაც ათიოდე მეტრიდან გაანიავა საგოლე შანსი.

**46.** გიორგი დათუნაიშვილის შორეული დარტყმა იოლად გააუვნებლა ოვონომ.

**49.** კლიმიაშვილმა "დინამოს" საჯარიმოსთან ახლოს ჯარიმა მოინადირა - ნიკა გელაშვილის დარტყმულმა ხარიხას გადაუფრინა.

**52.** ჯორჯ აკირემიმ სახიფათოდ ჩააწოდა ვიტელთა კარის გასწვრივ, თუმცა ბურთის კარში გადამგზავნი იქ არავინ გამოდგა.

**63.** სანდრო კობახიძის საშუალო დისტანციიდან დარტყმული უზუსტო გამოდგა.

**64.** ხუციშვილმა შორიდან დააქუხა და ბედიაშვილმა კუთხურზე მოიგერია ბურთი.

**65.** დილმელაშვილის ნაკუთხურალ ბურთს ხუციშვილმა არაზუსტი თავური შეაგება.

**78.** 0:1 - სახოკიამ გელაშვილს გამჭოლი პასი გაუჭრა, ვიტელთა ფორვარდი მილოშ კრშკომ წააქცია და არბიტრმა გიორგი ვადაჭკორიამ 11-მეტრიანი დანიშნა, რომელიც ზუსტად შეასრულა ლუკა რაზმაძემ.

# გაცოცხლებული დერბი

## ვიტ ჯორჯია დინამოსთან შმაგია



ᲘᲧᲝ დრო, "დინამოსა" და "ვიტ ჯორჯიის" დაპირისპირება ნამდვილი დერბივით იყო და გუშინდელი თამაშიც წააგავდა მას, თუმცა დერბი იყო მხოლოდ მინდორზე და არა სტადიონზე - ტრიბუნებზე სამასამდე მაყურებელი თუ იჯდა.

კაი ჯიგრისმწველი თამაში გაჩაღდა, მაგრამ ეროვნულ სტადიონზე ფეხბურთის ხმები არ ისმოდა. აფსუსი არ არის, ასეთ თამაშს მაყურებელი რომ არ ჰყავდა?! მაგრამ თუ ხელები არ დაიკაპიწე, არც არაფერი გამოვა - სტადიონზე ხალხის მიყვანას ცოდნა და შრომა უნდა - ამ პრობლემას ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის მეტ-ნაკლებად ყველა გუნდი აწყდება, მაგრამ საქმე წინ არ მიდის და როგორც ჩანს, კლუბების მესვეურები ბევრს არც ფიქრობენ ამ საკითხზე.

"ვიტ ჯორჯიას" ბევრჯერ გაუმწარებია "დინამო" და ეს გუშინაც გაახსენა საქართველოს უტიტულოვანეს გუნდს, ამ ჩემპიონატში აქამდე უდანაკარგო რომ იყო. გუშინ ვიტჯორჯიელებს უფრო მაგრად ჰქონდათ თვალები ანთებული, უფრო უნდოდათ გამარჯვება, უფრო შმაგად იბრძოდნენ, რაც დაუფასდათ კიდეც.

ფეხბურთში ისე არ ხდება, რომ გუნდმა სეზონი ჩავარდნის გარეშე ჩაამთავროს. ადრე თუ გვიან "დინამო" ალბათ მაინც დაკარგავდა ქულებს.

**ნესტორ მუმლაძემ** რისკიანი, შემტევი ტაქტიკა აირჩია და პირველ ტაიმში "დინამო" მრისხანე მეტოქესთან სტუმრად მოთამაშე გუნდს ჰგავდა. ბურთი მეტწილად "დინამოს" ნახევარზე ტრიალებდა და მასპინძლები მხოლოდ კონტრშეტევებით ცდილობდნენ გოლის გატანას. **უპრინის** გუნდი ერთობ სწრაფად გადადიოდა კონტრიერიშზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ "ვიტ ჯორჯია" ასეთი ვარიანტისთვისაც მზად იყო.

სახიფათო მომენტები ორივე კართან იქმნებოდა, საგოლე შანსს კი მხოლოდ **გიორგი დათუნაიშვილის** ათიოდე მეტრიდან განიავებულ შესაძლებლობას თუ დავარქმევთ.

ვიტჯორჯიელი მცველები და შუახაზელები სულ იმას ცდილობდნენ, ბურთი რაც შეიძლება ხშირად მიეტანათ ფორვარდებამდე - **ნიკა გელაშვილი** და **ზაზა სახოკია** ძალიან ბევრს მოძრაობდნენ, ხშირად ხვდებოდნენ თამაშგარე მდგომარეობაში, მაგრამ მოსვენებას არ აძლევდნენ "დინამოს" ცენტრალურ მცველებს - **ნედ ზელიჩსა** და **მილოშ კრშკოს**. გელაშვილი-სახოკია თამაშგარის ზღვარზე თამაშობდნენ და მუმლაძეც სულ ამხნევებდა მათ, ასე გააგრძელეთო.

ეს ერთგვარი ტაქტიკა იყო. ზელიჩი თუ კრშკო ერთხელ მაინც უნდა შემცდარიყვნენ. პირველ ტაიმში მათ ერთი-ორჯერ აჯობეს კიდეც გელაშვილმა და სახოკიამ, მაგრამ საგოლედ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

"ვიტ ჯორჯიამ" მეორე ტაიმიც მხნედ დაიწყო, მაგრამ მერე თამაში ნელ-ნელა გათანაბრდა. სტუმრები პირველ ტაიმივით ველარ აწვდიდნენ უამრავ კუთხურს "დინამოს" კართან, თუმცა ისევ შლეგად ირჯებოდნენ. უპრინის გუნდი ბეჩავი როდი იყო, მაგრამ არ აღმოაჩნდა ის ნიათი და ფხა, რაც გუშინ "ვიტ ჯორჯიას" ჰქონდა.

სახოკიას პასით გელაშვილი "დინამოს" საჯარიმოში ისე შეიჭრა, თამაშგარე არ ყოფილა, კრშკოს თავი წააქცევინა. პენალტის ნიშნულთან **ლექსო კვახაძე** და **ლუკა რაზმაძე** მივიდნენ, კვახაძემ პირჯვარი გადაიწერა, 11-მეტრიანი კი რაზმაძემ დაარტყა და "ვიტ ჯორჯიამაც" სეზონში პირველი წონიანი გამარჯვება მოპოვა.

### მატჩის შემდეგ

დუშან უპრინი (დინამო): "მეტოქემ კარგად იბრძოლა და მოიგო. ჩვენი თამაში ვერ ვითამაშეთ, მოწინააღმდეგის თამაშს ავყევით. რამდენიმე საგოლე შანსი ვერ გამოვიყენეთ და ეს ჩვენთვის პრობლემურია".

ნესტორ მუმლაძე (ვიტ ჯორჯია): "ჩემმა ფეხბურთელებმა ღირსეულად გაიმარჯვეს. ორმაგად სასიხარულოა, რომ "ვიტ ჯორჯიაში" ახალი გუნდი კეთდება და ახალგაზრდებმა ასეთი თავდადებით იბრძოლეს".

დავით თავართქილაძე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 9 | 8 | 0 | 1 | 24-3 | 23 |
| 2. ზესტაფონი | 8 | 7 | 1 | 0 | 17-3 | 22 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 9 | 6 | 1 | 2 | 12-7 | 19 |
| 4. ბორჯომი | 9 | 5 | 2 | 2 | 12-6 | 17 |
| 5. ამერი | 9 | 5 | 0 | 4 | 17-10 | 15 |
| 6. მგლები | 8 | 5 | 0 | 3 | 9-6 | 15 |
| 7. მესხეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 10-9 | 14 |
| 8. სიონი | 9 | 3 | 2 | 4 | 12-13 | 11 |
| 9. ოლიმპი | 8 | 3 | 2 | 3 | 6-7 | 11 |
| 10. ლოკომოტივი | 9 | 3 | 0 | 6 | 7-14 | 9 |
| 11. სპარტაკი | 8 | 2 | 2 | 4 | 3-7 | 8 |
| 12. დილა | 9 | 1 | 1 | 7 | 7-18 | 4 |
| 13. მერანი | 8 | 1 | 0 | 7 | 3-19 | 3 |
| 14. ბათუმი | 9 | 0 | 1 | 8 | 2-18 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხუციშვილი (დინამო) | 6 |
| აკირემი (დინამო) | 5 |
| გ. ნოდ. ძელიძე (ზესტაფონი) | 5 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 5 |
| შ. ჯიქია (ბორჯომი) | 5 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 5 |

**დღეს**

| | |
|---|---|
| სპარტაკი-მესხეთი | 15:00 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| ოლიმპი-მგლები | 15:00 |
| მერანი-ზესტაფონი | 15:00 |

# როგორი გუნდია დინამო?

ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲣᲠᲝᲑᲐ, რომელ გუნდში არ მომხდარა, მაგრამ გააჩნია კონფლიქტის ფორმას და მასშტაბს.

გუშინ, "დინამო"-"ვიტ ჯორჯიის" მატჩის შემდეგ გასახდელიდან გამოსულმა დინამოელებმა ერთმანეთში იჩხუბეს. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში რა არ დატრიალებულა. ხალხი მოედანზე გადასულა მსაჯის ჩასაქოლად, ქვების სეტყვა წამოსულა მოედანზე, სტუმართა გუნდის ავტობუსის შუშები ჩაუმტვრევიათ და ტრიბუნაზე პოლიციელს პისტოლეტიც კი უტრიალებია. მაგრამ ჩხუბი ერთი გუნდის ფეხბურთელებს შორის აქამდე არ მომხდარა.

დინამოელ **გიორგი მერებაშვილზე**, რამდენიმე თანაგუნდელმა მიიტანა იერიში. მუშტი-კრივი დიდხანს არ გაგრძელებულა, გამშველებლებმა იყოჩაღეს.

"დინამოს" შიდა სამზარეულოში რაღაც სერიოზული პრობლემა უნდა იყოს, საქმე აქამდე რომ მივიდა. დღისით, მზისით თანაგუნდელის ასე გამეტება, ასეთი აგრესია კონკრეტულად რაზე უნდა მიანიშნებდეს, ზუსტად თქმა რთულია. კლუბის ხელმძღვანელობა კი მომხდარზე კომენტარს ჯერ არ აკეთებს.

ძალიან ცუდი ინციდენტი შეემთხვა საქართველოს უტიტულოვანეს გუნდს, რომელსაც ამ ეტაპზე ალბათ, არ გააჩნია არანაირი საკლუბო ფილოსოფია.

დავით თავართქილაძე

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



**ბათუმი-ამერი**

**0:3**

**19.10. ბათუმი. ადელი**
**100 მაყურებელი**

0:1 გოცირიძე (35. დავითაშვილის პასით); 0:2 დოლიძე (40. დავითაშვილის პასით); 0:3 ტატანაშვილი (75. გოცირიძის პასით)

ბათუმი: მამინაშვილი - თედორაძე, კ. მახარაძე, გალოგრე, ლ. მახარაძე - ოქრუაშვილი, ცანავა (77. ბ. მახარაძე), ბეჟანიძე, დარჩიძე, დემურაძე (54. ფარტენაძე) - ბაციკაძე.

*სათადარიგოები:* *თოთლაძე, ბაჯელიძე, ტულუში, მაკარიანი, კუნჭულია.*

ამერი: ქვაჩახია - დავითნიძე, დიდავა, ჩიკვილაძე, კობაური (66. კაკაშვილი) - დეკანოსიძე, დოლიძე, დობროვოლსკი, ჯელაძე (55. ალავიძე) - გოცირიძე, დავითაშვილი (55. ტატანაშვილი).

*სათადარიგოები:* ნადირაშვილი, ელბაქიძე, შალამბერიძე, მესხი.

გაფრთხილება: ცანავა (27), დავითაშვილი (31), ალავიძე (65), კობაური (89).

არბიტრი: მ. ურუშაძე

**4.** დობროვოლსკის შორეულ დარტყმას მამინაშვილი ნახტომში ეუფლება.

**30.** დავითაშვილის შორეული დარტყმა ოდნავ ასცდა მიზანს.

**35.** 0:1 - დავითაშვილის პასით გოცირიძე მეკარესთან პირისპირ გადის, მასპინძლები ოფსაიდის მოლოდინში მსაჯს უყურებენ, მაგრამ...

**40.** 0:2 ჩიკვილაძე პასს აწვდის დავითაშვილს, რომელიც გოცირიძესთან გათამაშებული კედლის შემდეგ გამჭოლ გადაცემას აკეთებს, დაცვა კვლავ უძლურია და დოლიძე ანგარიშს ზრდის.

**44.** თედორაძე მარჯვენა ფლანგიდან აწვდის მაღალ ბურთს, ყველას ბეჟანიძე ასწრებს, მაგრამ მისი სუსტი დარტყმა ქვაჩახიას იოლი ნადავლი ხდება.

**75.** 0:3 - გოცირიძე ცენტრალური ზონიდან იწყებს იერიშს და ტატანაშვილს კარგ გადაცემას უკეთებს, რომელიც მატჩის საბოლოო ანგარიშს აფიქსირებს.

# ბათუმის დინამო განწირულია?!

უმაღლესი ლიგიდან გასავარდნად განწირული "ბათუმი" კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა „მიზანს" — პირველ ლიგას. აშკარა, რომ ზღვისპირელებს სერიოზული კრიზისი აქვთ და საშველი ჯერჯერობით, არსაიდან ჩანს. ამას ემატება ისიც, რომ გუნდი მთავარი მწვრთნელის გარეშეა დარჩენილი. მოკლედ, გუნდი იძირება.

მიუხედავად ასეთი ანგარიშისა, შეიძლება ითქვას, რომ თამაში თანაბრად დაიწყო. ორივე გუნდი ყოველგვარი დაზვერვის გარეშე ცდილობდა ტერიტორიული უპირატესობის დაუფლებას. პირველი შეტევა სტუმრებმა მოაწყვეს. მე-4 წუთზე **დობროვოლსკის** შორიდან ძლიერად დარტყმულ ბურთს **მამინაშვილი** ნახტომში დაეუფლა. გუნდებმა ტემპს თანდათან უმატეს, მაგრამ სახიფათო მომენტი მხოლოდ 25 წუთის შემდეგ ვიხილეთ - **დავითაშვილს** და **გოცირიძეს** მცირედი დააკლდათ ანგარიშის გასახსნელად. იმავე წუთს მასპინძლებმა დაიწყეს კონტრშეტევა, რომელიც ანალოგიურად დასრულდა. უნდა აღინიშნოს ის, რომ როდესაც დინამოელები იერიშებს ფლანგიდან იწყებდნენ და ბურთის საჯარიმოში ჩაკიდებას ლამობდნენ, ცენტრალური ზონიდან არავინ შედიოდა საჯარიმოში ბურთის მისაღებად, ამიტომაც მასპინძლებს უკან დაბრუნება უხდებოდათ. 30-ე წუთზე დავითაშვილმა დაარტყა შორიდან. დაბალ კუთხეში წასული ბურთი მცირედით ასცდა კარს, არადა კარში რომ წასულიყო, მამინაშვილი უძლური აღმოჩნდებოდა, ვინაიდან იმ კუთხეს ვერ ფარავდა.

35-ე წუთზე კი „ამერის" მცდელობამ შედეგი გამოიღო. დავითაშვილმა გოცირიძე უზუსტესი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, ბათუმელთა დაცვა ოფსაიდის მოლოდინში გაშეშდა და მსაჯს გახედა, მათი წამიერი შეყოვნებით კი ამერელთა ფორვარდმა ისარგებლა და ანგარიში გახსნა. ხუთი წუთის განმავლობაში, „ამერმა", როგორც იტყვიან, „დინამოს" ბურთი დაუმალა და მე-40 წუთზე კი მეორე გოლიც გაუტანა. **ჩიკვილაძემ** ცენტრალური ზონიდან დავითაშვილს უპასა, კარისკენ ზურგით მდგარმა „აბრეზამ" ერთი შეხებით გადააწოდა გოცირიძეს და მარცხენა ფლანგისკენ გაიჭრა, გოცირიძეს მისი მანევრი არ გამოჰპარვია და უმალვე დაუბრუნა ბურთი, ამას კი საჯარიმოში გამჭოლი გადაცემა და **დოლიძის** გოლი მოჰყვა. ტაიმის მიწურულს ბათუმელებს გატანა შეეძლოთ, მაგრამ... თედორაძემ მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა ბურთი საჯარიმო მოედანში, რომელსაც ბეჟანიძემ მიუსწრო, მაგრამ დარტყმა სუსტი გამოუვიდა და **ქვაჩახიას** მისი დაუფლება სრულიად არ გასჭირვებია.

მეორე ტაიმში ბურთის კონტროლი „ამერმა" დაიწყო, მიუხედავად ამისა, მასპინძლები რამდენჯერმე კონტრიერიშის წამოწყებას შეეცადნენ, მაგრამ მათი მცდელობა ან საჯარიმოსთან, ან სულაც მოედნის ცენტრში იფუშებოდა.

75-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა **ტატანაშვილმა** მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა, შეირგო რა გოცირიძის პასი და დაბადების დღეზე საკუთარ თავს მშვენიერი საჩუქარიც გაუკეთა.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან
**გურამ ტურაშვილის ფოტო**




დოლიძემ (უკანა პლანზე) და ამერმა ბათუმის დაძირვას ხელი შეუწყვეს

**სიონი-დილა**

**5:1**

**19.10. ბოლნისი. თ. სტეფანია**
**200 მაყურებელი**

1:0 ჩასემი (16), 1:1 ბ. ჩიტაია (23. შატაკიშვილის პასით), 2:1 ბაჯელიძე (57. ნადირაძის პასით), 3:1 ქარდავა (63. ნადირაძის პასით), 4:1 ქუთათელაძე (74. ქუცურუას პასით), 5:1 ქუთათელაძე (83. ჩასემის პასით)

სიონი: სტურუა - ქურასბედიანი (46. კვიტაიშვილი), სვანიძე, ოქროპირიძე, რაქვიაშვილი - ვაშაკიძე, ნადირაძე, ბაჯელიძე, ქუცურუა (75. კოსტავა) - ჩასემი, ქარდავა (64. ქუთათელაძე)

*სათადარიგოები:* *გ. იაშვილი, მენთესაშვილი, ა. ნოზაძე, გაგუა*

დილა: კეჩხუაშვილი (46. ილურიძე) - ბალიაშვილი, ლაცაბიძე (76. შერმადინი), დ. ხანიშვილი, ბალაშვილი - ტლაშაძე, შატაკიშვილი, ნ. ნოზაძე, კურტანიძე - ბ. ჩიტაია, სამადაშვილი (68. ლ. თურმანიძე)

*სათადარიგოები:* *მასურაშვილი, ლომიძე, იჩქითი, ი. თაყაძე*

გაფრთხილება: შერმადინი (88)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

**16.** 1:0 - ბაჯელიძემ საჯარიმოს მისადგომებიდან დაარტყა, კეჩხუაშვილს ბურთი ხელიდან გაუვარდა, დამატებაზე ყველას ჩასემმა დაასწრო.

**19.** ქუცურუას ჩაწოდებას ქარდავას თავური მოჰყვა, გორელები ხარიხამ იხსნა.

**21.** ბალიაშვილმა კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთი თავით ააცილა.

**23.** 1:1 - შატაკიშვილმა კუთხური ჩააწოდა, ჩიტაიამ ყველას დაასწრო და თავურით ანგარიში გაათანაბრა.

**39.** ქარდავა ჩასემის პასს ვერ შესწვდა, თორემ გოლი გარდაუვალი ჩანდა.

**57.** 2:1 - სამი მეურვის გარემოცვაში მოქცეულმა ნადირაძემ ბაჯელიძე მოძებნა, რომელმაც საშუალო მანძილიდან შესრულებული ძლიერი დარტყმით შეცვლაზე შესულ ილურიძეს შანსი არ დაუტოვა.

**63.** 3:1 - ქარდავამ ნადირაძის პასი დაამუშავა და ახლო მანძილიდან მეურვესაც დაასწრო და მეკარესაც.

**74.** 4:1 - ქუცურუას ფლანგურ გარღვევასა და ჩაწოდებას ქუთათელაძის ზუსტი თავური მოჰყვა.

**81.** ბალიაშვილის დარტყმა "სიონის" კარს ზემოდან მცირე მანძილით გადასცდა.

**83.** 5:1 - ჩასემმა ქუთათელაძე ილურიძესთან პირისპირ გაიყვანა. ზვიადი მეკარეს გასცდა და მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

**89.** სტურუამ ჩიტაიას თავური მოიგერია.

**90.** ჩასემი ილურიძესთან ერთი ერთზე გავიდა, მაგრამ კარის დარაჯს ვერ აჯობა.

# ერთტაიმიანი კაპიტულაცია

"სიონმა" საჭირო სამი ქულა მოსალოდნელზე იოლად მოიპოვა, არადა, პირველი ტაიმის შემდეგ, ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ მეორე 45 წუთში გორელები მასპინძლებს იოტისოდენა წინააღმდეგობასაც ვერ გაუწევდნენ. "დილის", პირველ რიგში, სუსტმა ფიზიკურმა მომზადებამ დაასვა დაღი, თორემ პირველ ტაიმში **ვარდოსანიძის** ფეხბურთელები საკმაოდ გამართულად თამაშობდნენ და ბოლნისელებს ტოლს არ უდებდნენ.

მატჩი ქართული საზომით, საკმაოდ მაღალ ტემპში მიმდინარეობდა. საწყის წუთებში საინტერესო არაფერი მომხდარა, ანგარიში კი გორელთა მეკარის ბავშვური შეცდომით გაიხსნა. სტუმრები დროულად მოეგნენ გონს, ზედიზედ მოაწოდეს კუთხურები და მალე წონასწორობაც აღადგინეს. შესვენებამდე "სიონმა" საგრძნობი უპირატესობა ვერ მოიპოვა, თუმცა **ყიფშიძის** გუნდმა ტაიმის ბოლოს რეალური საგოლე შანსი გაუშვა ხელიდან.

"დილას" მეკარის შეცვლამ ვერ უშველა, როგორც უკვე ვთქვით, სტუმრები მეორე ნახევარში მთლიანად მოიშალნენ და სიონელებსაც სრული კარტბლანში მიეცათ. მცირერიცხოვანმა გულშემატკივარმა ნაირგვარი კომბინაციები და გოლები იხილა, თუმცა "სიონის" ორ გოლს იძულებითი ცვლილება მოჰყვა. 63-ე წუთზე **ქარდავამ** გაიტანა, მაგრამ მეტოქის მცველთან ბრძოლაში ფეხი იტკინა, 74-ეზე კი **ქუცურუამ** შეცვლა ითხოვა, ოღონდ სანამ საამისო პაუზა მოაწევდა, თამაში განაგრძო და საგოლე პასიც შეასრულა.

მოკლედ, "სიონმა" საჭირო გამარჯვებას ლაღად და უმტკივნეულოდ მიაღწია, "დილა" კი სახიფათო ზონას კიდევ უფრო გაუშინაურდა.

**რჩეული**
ნიკა ნადირაძე

მეტოქის უსუსურობიდან გამომდინარე, "სიონის" ფეხბურთელებს თავის გამოჩენის მაქსიმალური საშუალება მიეცათ, ბევრი იშრომა **ჩასემმა**, არც სხვა მეგოლეებს, **ქუთათელაძეს**, **ქარდავასა** და **ბაჯელიძეს** უნდა დავუკარგოთ გარჯა, მაგრამ მატჩის რჩეულად ორი საგოლე პასის ავტორ **ნიკა ნადირაძეს** მივიჩნევთ, რომელიც ნელ-ნელა "სიონის" ლიდერად ყალიბდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ერიკ რომეო ჩასემი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# ბორჯომი წინსვლას განაგრძობს

**ბორჯომი-ლოკომოტივი**

**2:1**

19.10. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი
1500 მაყურებელი

0:1 გუშარაშვილი (12. იმედაძის პასით), 1:1 გრიგალაშვილი (38. ჯიქიას პასით), 2:1 შ. ჯიქია (45. კ. ხანიშვილის პასით)

ბორჯომი: შეყრილაძე - ქარქუზაშვილი, ჭელიძე, მერებაშვილი, აკობია - კ. ხანიშვილი (89. დევიძე), მემარნიშვილი, გრიგალაშვილი, ბაბუნაშვილი (90. თელიაშვილი), ნერგაძე - ჯიქია (82. ყველაშვილი)

*სათადარიგოები:* გლუნჩაძე, ლომიძე, ბიბილეიშვილი, ნასყიდაშვილი

ლოკომოტივი: გვარამაძე - ფოფხაძე, გუშარაშვილი, კვახაძე, ქუხილავა (46. ხოხონიშვილი) - ლაღაძე, ტიკურიშვილი, გულორდავა, ბარბაქაძე - ბობოხიძე, იმედაძე

*სათადარიგოები:* მიგინეიშვილი, კობიაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, ჟღენტი, ალავერდაშვილი, დ. ჩაგელიშვილი

გაფრთხილება: ნერგაძე (42), ბარბაქაძე (50), მემარნიშვილი (57)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

**12.** 0:1 - მარჯვენა ფლანგზე ლოკომოტიველთა სწრაფ შეტევას კუთხური მოჰყვა. იქიდან მოწოდებული ბურთი იმედაძემ იქვე მდგომ გუშარაშვილს დაუგდო და მანაც ბურთი კარში შეაგორა.

**16.** ჯიქიას მიეცა გატანის შანსი, თუმცა კარგად ითამაშა გვარამაძემ.

**33.** გუშარაშვილის თავურს შეყრილაძე იგერიებს.

**38.** 1:1 - ჯიქიას პასზე დროულად გავიდა გრიგალაშვილი, მიუახლოვდა მეკარეს და მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა მას.

**45.** 2:1 - მცველები ხელოვნური თამაშგარის გაკეთებისას შეცდნენ, რითაც კობა ხანიშვილმა ისარგებლა პენალტის ნიშნულიდან პასი გაუკეთა ჯიქიას, რომელსაც ცარიელ კარში გატანა არ გასჭირვებია.

**53.** ნერგაძე ხელსაყრელი მდგომარეობიდან ურტყამს.

**82.** ხანიშვლის პასით პენალტის ნიშნულთან ეულად მდგომმა გრიგალაშვილმა "მოახერხა" და ააცილა კარს.

ნაკრების წარმატების ფონზე, ჩვენი ჩემპიონატის მატჩებზე მაყურებელი უფრო გულმიცემული მივიდა. ასე მოხდა ბორჯომშიც, სადაც მშვენიერი ამინდის პირობებში ტრიბუნები თითქმის მთლიანად შეივსო და მოსულთ იმედები გაუმართლდათ, რადგან მატჩი მშვენიერი სანახავი გამოდგა. დებიუტიც სტუმრებისთვის გამოდგა წარმატებული - "ლოკომოტივი" მე-12 წუთზე დაწინაურდა. ამით გალიზიანებულმა ბორჯომელებმა ერთი პერიოდი თამაში ვერ ააწყვეს, თუმცა მალევე მოეგნენ გონს და მწვავედ შეუტიეს. **შოთა ჯიქია** ორჯერ გავიდა პირისპირ **გვარამაძესთან**, თუმცა ვერც ერთხელ ვერ აჯობა. ამას "ლოკომოტივის" ორი მწვავე სახიფათო ჩხვლეტა მოჰყვა, მაგრამ აქაც ისევ მეკარემ იყოჩალა. ამას "ბორჯომმა" მძლავრი საპირველტაიმო საფინიშო შტურმში მიაყოლა და მეტოქე მცველების შეუთანხმებლობისა და დაბნეულობის შედეგად ორ გატანილ ბურთს გამოჰკრა ხელი. 38-ე წუთზე ჯიქიამ პირისპირ შეყარა გვარამაძეს **გრიგალაშვილი** და მანაც აუღელვებლად გაიტანა, ტაიმის ბოლო წუთზე კი სტუმარი მცველები შეცდნენ თამაშგარის შექმნისას. ჯიქიამაც თავისიანები დააწინაურა.

მეორე ტაიმში გოლის გატანის შანსი ორივე გუნდს მიეცა, მაგრამ ზოგჯერ დამრტყმელები სცოდავდნენ, ზოგჯერაც მეკარეები ყოჩაღობდნენ. ასეა თუ ისე, ანგარიში შეხვედრის ბოლომდე არ შეცვლილა.

## მატჩის შემდეგ

გიორგი კიკნაძე (ლოკომოტივი): "დაცვის შეცდომების გამო გავუშვით გოლები, გვქონდა საკადრო პრობლემები, გვაკლდა რამდენიმე მოთამაშე. გუშარაშვილი რომ არ დამტვრეულიყო ნაადრევად, ალბათ გოლებსაც არ გავუშვებდით. ვეცდებით მომავალი თამაშებისთვის უფრო კარგად მოვემზადოთ".

ვლადიმერ ხაჩიძე (ბორჯომი): "დაძაბული მატჩი გამოვიდა, "ლოკომოტივმა" კარგად ითამაშა, რის გამოც ცოტა გაგვიჭირდა. მოკლე სკამი გვაქვს, რაც დამატებით პრობლემას გვიქმნის. ლიდერებთან თითქმის ყველასთან ვითამაშეთ, ვეცდებით პირველი წრის დარჩენილი თამაშებში სასურველ შედეგებს მივაღწიოთ".

## რჩეული

შოთა ჯიქია

საკმაოდ სწრაფი და შედეგიანი თავდამსხმელია, ამ მატჩში კარგად ურთიერთმოქმედებდა პარტნიორებთან და მეტოქის დაცვასაც დაძაბულობაში ამყოფებდა. გოლიც გაიტანა და საგოლე პასიც მიითვალა.

**მერაბ გრძელიძე**
ბორჯომიდან



ზურაბ ხიზანიშვილმა ყოფილ თანაგუნდელ ბარი ფერგიუსონს და მწვრთნელს პასუხი თამაშით გასცა

ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან

# ამ მოგებით მაკლიშს პასუხი გავეცი

**იყო დრო როცა, ზურაბ ხიზანიშვილი "რეინჯერსში" თამაშობდა. მაშინ ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი ალექს მაკლიში გახლდათ, ვინც დღეს შოტლანდიის ნაკრებს უდგას სათავეში. ქართველი სწორედ მისი მწვრთნელობისას აღმოჩნდა სათადარიგოთა სკამზე. გლაზგოური კარიერის ბოლო პერიოდში ალექს მაკლიში ხიზანიშვილს თავის წარმოჩენის შანსს აღარ აძლევდა. ამიტომაც ქართველმა მცველმა გაცლა ამჯობინა და ჯერ იჯარის წესით გადავიდა "ბლექბერნში", მერე კი ინგლისურმა კლუბმა ის სულაც გამოისყიდა.**

**ეს მოკლე ისტორიული ექსკურსი იმისთვის დაგვჭირდა, რომ ნათლად წარმოგვეჩინა – შოტლანდიასთან მატჩი ზურაბ ხიზანიშვილისთვის ერთ-ერთი რიგითი თამაში ნამდვილად არ ყოფილა. ზურას საიმედო თამაში ერთგვარი მესიჯი იყო მაკლიშისთვის. ყოველ შემთხვევაში, ასე თვლის თავად ფეხბურთელი.**

**- ზურა, საუბარი შოტლანდიასთან 17 ოქტომბრის თამაშით დავიწყოთ...**

- მატჩი ძალზე დაძაბული და საინტერესოდ წარიმართა. ისეთი თამაში იყო, რომ დარწმუნებული ვარ გულშემატკივარმა დიდად ისიამოვნა. განსაკუთრებით მინდა გამოვყო სამი ახალბედა ფეხბურთელი. მაკარიძემ, ყენიამ და მჭედლიძემ ჩინებულად ჩაატარეს შეხვედრა. მჭედლიძემ ეროვნულ გუნდში მეორე მატჩი ჩაატარა და პირველი გოლი მიითვალა. ამ ტრიოს ვულოცავ კარგ თამაშს და ვისურვებდი, რომ ასე გაეგრძელებინოთ.

**- მატჩის შემდეგ ალექს მაკლიშს რაზე ესაუბრე?**

- არა მარტო მას, ფეხბურთელებსაც და შოტლანდიელ ჟურნალისტებსაც ვესაუბრე. მართალი გითხრათ ყველანი გაკვირვებულები იყვნენ. მაკლიშმა აღნიშნა, იმას რაც თბილისში მოხდა, ყველაზე ცუდ სიზმარშიც კი ვერ წარმოვიდგენდიო.

**- ჯგუფის ლიდერი სწორედ საქართველოს ნაკრებმა შეცვალა. ალბათ, შენ და ნაკრების ყველა ფეხბურთელი ამაყად გრძნობთ თავს...**

- რა თქმა უნდა. საფეხბურთო მსოფლიოს სენსაცია თუ არა, არც თუ მცირე მოულოდნელობა შევთავაზეთ. შოტლანდიაში დიდხანს ემახსოვრებათ 17 ოქტომბრის თბილისური მატჩი.

**- მაკლიშმა მატჩის წინა დღეს აღნიშნა, ხიზანიშვილი ჩემი ყოფილი შეგირდია და მისი პლუს-მინუსები კარგად ვიცი. თუმცა ზურაც კარგად იცნობს შოტლანდიის ნაკრებს და ვნახოთ, ხვალ ვინ აჯობებსო...**

- როგორც აღმოჩნდა, ჩვენ ვაჯობეთ. შოტლანდიელებმა ცდა არ დააკლეს, ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ, ჩვენ უკეთ ვიყავით ამ კონკრეტული მატჩისთვის მომზადებულები. ამასთან მწვრთნელის დავალებებიც შევასრულეთ, წუნი მეტოქეზე ნაკლები გვქონდა და დამსახურებულადაც მოვიგეთ.

**- "რეინჯერსში" ყოფნისას ერთი პერიოდი მაკლიში არ გათამაშებდა. ამ მოგებით მას ალბათ ერთგვარი მესიჯიც კი გაუგზავნე...**

- სწორი შენიშვნაა. შოტლანდიასთან მატჩი ჩემთვის რიგითი თამაში ნამდვილად არ ყოფილა. ჩვენი მოგება და საერთოდ ჩემი თამაში ამ შეხვედრაში ჩემი პასუხი იყო ალექს მაკლიშისადმი.

**- სხვათა შორის, წინა დღეს სასტუმრო "შერატონ მეტეხში პალასში" შოტლანდიელმა ჟურნალისტებმა მკითხეს, მაკლიშსა და ხიზანიშვილს შორის, "რეინჯერსში" ბოლოს მთლად თბილი დამოკიდებულება ნამდვილად არ იყო და საინტერესოა რას ამბობს ხიზანიშვილიო...**

- არაერთმა მომმართა ამ კითხვით. მაკლიშს ამ მოგებითა და პირადად ჩემი თამაშით პასუხი გავეცი. "რეინჯერსში" ყოფნისას ის, როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ აფასებდა ჩემს შესაძლებლობებს. დღეს ალბათ, დაინახა თუ რა დონეზე შემიძლია თამაში.

**- ერთ თვეში ლიტვას ვუმასპინძლებთ. ეს თამაშიც უნდა მოვიგოთ – ასეთია ქომაგთა განწყობა...**

- დიახ, ეს მატჩი უცილობლად უნდა მოვიგოთ და 13 ქულას დავაგროვებთ. ეს მაჩვენებელი კი იმ ჯგუფში, სადაც საფრანგეთი, იტალია, შოტლანდია და უკრაინაა, ურიგო ნამდვილად არ არის. შოტლანდიასთან მატჩში, გამარჯვების გარდა, ისიც არანაკლებ გამოსარჩევია, რომ თაობა გამოჩნდა, ხალხს იმედი ჩაესახა, რომ შეგვიძლია კონკურენტუნარიანი, ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება. მომავალ შესარჩევ ციკლამდე ეს მართლაც შესაძლებელია. იქამდე თითქმის წელიწადია დარჩენილი და ეს პერიოდი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

**- როგორ ფიქრობ, არ შეგვეძლო უფრო მეტი ქულის დაგროვება?**

- შეგვეძლო, როგორ არა, მაგრამ ამასაც თავისი ახსნა და მიზეზები აქვს. სამწუხაროდ, დღეს 10 ქულა გვაქვს და განვლილ მატჩებზე რაც არ უნდა ვისაუბროთ, წარსულს მაინც ვერ შევცვლით.

**- რა მიზეზებს გულისხმობ?**

- ჯერ ერთი, შესარჩევ ციკლში ოპტიმალური შემადგენლობნით არცერთი მატჩი არ ჩაგვიტარებია. თუმცა ამას ვინ ჩივის, თამაში არ ყოფილა ტრავმებისა და დისკვალიფიკაციის გამო, მინიმუმ 3-4 ფეხბურთელი არ გვკლებოდა. ამას გარდა, რამდენიმე შეხვედრაში, ბოლო წუთზე გავუშვით დასანანი გოლები და ქულები იმ მატჩებში დავკარგეთ, რომელშიც ამას ნამდვილად არ ვიმსახურებდით.

**დავით ცაბაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაწყდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მალხაზ ასათიანთან

# ამ ბავშვებმა გამაოცეს!

## თუკი ასე გააგრძელებენ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე ვითამაშებთ

მალხაზ ასათიანმა ისევ გაიბრწყინა. შოტლანდიასთან ის ისევ "ის" მონატრებული ასათიანი იყო. მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის "ლოკომოტივის" მცველს გავესაუბრეთ.

**- მალხაზ, დამეთანხმები, საქართველოს ნაკრებს დიდი ხანია ისეთი გამართული და აგრესიული ფეხბურთი არ უჩვენებია და გულშემატკივრებსაც გული აუცრუვდათ. ასეთი აფეთქება რას მივაწეროთ, თქვენში თავმოყვარეობამ გაიღვიძა?**

- ძნელი სათქმელია.. ჩვენ ყველას გვიხარია, ადრე თუ გვიან გულშემატკივრები რომ გავახარეთ. როგორც იქნა, მოგება შევძელით. ეტყობა, მონდომებაც იყო და სხვა ფაქტორებიც.

უცებ ყველა ავთამაშდით, ყველაფერი გამოგვდიოდა. ეს 17 წლის ბიჭები ისე გამოიყურებოდნენ, ყველა კმაყოფილი დავრჩით და მათ მადლობა მინდა ვუთხრა. კარგი ბავშვები იზრდებიან.

საერთოდაც, მადლობა მთელ გუნდს ეკუთვნის. ყველა ერთმანეთს გვერდში დავუდექით და ბევრი სამუშაოც არ ყოფილა. შოტლანდიელების გამკლავება ასე უფრო გაგვიიოლდა. მომავალშიც ასე უნდა გავაგრძელოთ.

**- გუნდი თავდაჯერებით, საკუთარი ძალების რწმენითაც ძლიერდება. შენი აზრით, ციკლის დასაწყისში რომელიმე გრანდთანაც ასეთივე გამარჯვება შესაძლებელი იყო?**

- ძნელია ასე საუბარი, მაგრამ ორი აზრი არაა, თავდაჯერებულობა გუნდისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. დღეს კი ჩვენი საუკეთესო შეხვედრა ჩავატარეთ. რა იქნება ხვალ და ზეგ, ვერაფერს გეტყვით. იმედია, ამ მატჩის შემდეგაც იგივე გაგრძელდება.

**- ნაკრების თინეიჯერებს მადლობა გადაუხადე. რას ფიქრობ მათ მომავალზე?**

- კარგი ბავშვები არიან და თუკი მათი პროგრესი ასეთივე ტემპით გაგრძელდება, მე მგონია, საქართველოს ნაკრებს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე ვიხილავთ. დღეს მართლა დამაჯერეს.

**- ეს ყველასთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო. არა მგონია, სამი ჩვიდმეტი წლის ბიჭის ძირითადში დაყენებით თამაშამდე არ გენერვიულა. ძალიან სარისკო ნაბიჯი იყო.**

- არაა დასამალი, მათ ასეთ კარგ თამაშს არ ველოდი. რა თქმა უნდა, მეშინოდა, გამოუცდელი ბავშვებით ასეთ სერიოზულ მეტოქესთან თამაში ძნელია. ყოჩაღ ბიჭებს, ყველა ძალიან გაგვახარეს.

*P.S. გუშინ მალხაზ ასათიანის "მილანში" შესაძლო გადასვლაზე დაწერეს. მსგავსი შინაარსის ინფორმაცია პირველად "ლელომ" ორი თვის წინათ გააჟღერა.*

*ეს ჭორი არაა, სენსაციური ამბავი მაშინ მოსკოვის "ლოკომოტივის" კულუარებიდან შევიტყვეთ, ამიტომაც გაუფორმეს ახალი სამწლიანი კონტრაქტი. თითქოს ალოგიკურია არა? მალხაზი "ლოკომოტივმა" გაზარდა, დიდ სარბიელზე გაიყვანა და მადლიერი ქართველი რკინიგზელებს მადლობას ამგვარი ჟესტით უხდის უხდის. კონტრაქტიან ფეხბურთელში რუსული კლუბი ფულს აიღებს, თავისუფალი აგენტის სტატუსით კი ასათიანში მხოლოდ მცირედ კომპენსაციას მიიღებდა.*

**მერაბ მამულაშვილი**





ჰაინც ტოპმიოლერი

U19. ევროპის ჩემპიონატი. პირველი შესარჩევი ეტაპი

# ნორვეგიასთან გადამწყვეტი მატჩია

## მჭედლიძე ითამაშებს, სანაია საეჭვოა

19-წლამდე ნაკრებებს შორის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ჯგუფურ ეტაპზე, დღეს, მეორე ტურის მატჩები გაიმართება. 12 საათზე, ბოლნისში ჰოლანდია და ლატვია დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. 15 საათზე, მიხეილ მესხის არენაზე კი საქართველო ნორვეგიას ეთამაშება. ჰოლანდიასთან მარცხის შემდეგ, ნორვეგიასთან თამაშს ჩვენი ნაკრებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ნორვეგიის ძლევით, ჯგუფიდან ელიტრაუნდში გასვლის ჩინებული შანსი გვექნება. წაგების შემთხვევაში კი უშანსოდ ვრჩებით. ფრეც არ გვაძლევს ხელს, რადგან თეორიული შანსის ამარალა დავრჩებით და ლატვიაზე უნდა ვიყოთ დამოკიდებულები, რომ მან ჰოლანდიას ქულები აართვას, რაც ნაკლებად დასაჯერებელია.

მეტი თვალსაჩინოებისათვის სჯობს მეორე ტურამდე ჩვენს ჯგუფში არსებულ ვითარებას გადავავლოთ თვალი:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნორვეგია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 2. ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 3. საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 4. ლატვია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

ბუნებრივია, ამ მნიშვნელოვანი მატჩის წინ ჩვენს გუნდში არსებული ვითარებით დავინტერესდით. ჰოლანდიასთან მატჩში გაძევებული ნახევარმცველი **ნიკოლოზ მაისურაძე**, დღეს ნორვეგიელთა წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. სამწუხაროდ, საეჭვოა ფრანგული "ლე მანის" მცველ **ამირან სანაიას** თამაშიც - ჰოლანდიასთან მატჩში დაცვაში საიმედო თამაშით გამორჩეულს, კუნთის პრობლემა აქვს და დღეს დილით გადაწყდება შეძლებს თუ არა თამაშს. სასიხარულოა ის, რომ **ლევან ყენიასთან** ერთად ითამაშებს **ლევან მჭედლიძეც**, რომელსაც ასევე კუნთის პრობლემა ჰქონდა.

*"ჩვენ გავაანალიზეთ ჰოლანდიასთან მატჩი და გარკვეული დასკვნები გავაკეთეთ. ერთი რამ ცხადია, მე-60 წუთამდე, სანამ კაცნაკლულნი დავრჩებოდით, ჰოლანდია დავჯაბნეთ და ვიგებდით კიდეც. თუმცა მაისურაძის გაძევების შემდეგ, მეტოქის სიძლიერემ და რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა და წავაგეთ.*

*ნორვეგიასთან უმნიშვნელოვანესი მატჩი გვაქვს და აუცილებლად უნდა მოვიგოთ. მაქსიმალურად შევეცადეთ, გუნდს პირველ ტურში განცდილი მარცხი დაევიწყებინა. ყენიასთან ერთად მჭედლიძეც ითამაშებს. თუმცა საეჭვოა სანაიას თამაში. მან ჰოლანდიასთან შეხვედრაში დიდი სამუშაო გასწია და თამაში თუ ვერ შეძლო, ეს ჩვენთვის დიდი დანაკლისი იქნება. მთელ გუნდს კარგად აქვს გათავისებული ამ მატჩის მნიშვნელობა და მჯერა, რომ შევძლებთ კიდეც მოგებას"*, - გუშინ "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ჰაინც ტოპმიოლერმა**.

**დავით ცაბაძე**

# ბაია: მეორე ადგილი ესპანეთში

ესპანეთის ქალაქ სანტა-სუსანაში, რომელიც ბარსელონას მახლობლადაა, დასრულდა საერთაშორისო ტურნირი 12-13 წლის ბავშვთა შორის "კოსტა ბრავას თასი". საქართველოს ამ შეჯიბრში სკოლბურთში გამარჯვებული ზუგდიდის პირველი საჯარო სკოლის გუნდი "ბაია" წარმოადგენდა.

ტურნირი ძალზედ პრესტიჟულია. ესპანეთში მყოფი პროფესიული ლიგის გენერალური მდივნის, **პაატა ბურჯალიანის** თქმით, წლეულს ესპანური, გერმანული, ფინური, შვედური, დანიური, რუსული და სხვა ქვეყნის გუნდები მონაწილეობდნენ.

*"ტურნირის ორგანიზატორების ოფისში ვნახე იმ ფეხბურთელთა სურათები, რომლებსაც ამ ტურნირში უთამაშიათ - რონალდო, ტორესი, ანხელი, ნადალი, ლუნგბერგი - და დავრწმუნდი, რომ ძალიან სოლიდური გათამაშებაა...*

*ზუგდიდის "ბაია" საქართველოში გამარჯვების შემდეგ, ამბროლაურის, ბოლნისისა და თბილისის სკოლებიდან თითო საუკეთესო მოთამაშით გაძლიერდა. თამაშები 20-წუთიანი იყო და გუნდები დღეში ორ-ორ მატჩს ატარებდნენ.*

*პირველ დღეს დანიურ გუნდებს შევხვდით, პირველი 2:1 მოვიგეთ, მეორე 1:3 წავაგეთ. მერე შვედებს ვძლიეთ (2:1) და ამ მატჩით "ბაიამ" საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. ბავშვებმა გამართული, ლამაზი, ტექნიკური ფეხბურთით ყველა მოხიბლეს. ბოლოს ჯგუფური შეხვედრა ბერლინის "ჰერტას" საბავშვო სკოლასთან 0:7 წავაგეთ, რადგან ნახევარფინალისთვის ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელები დავასვენეთ. მერე მოხდა კურიოზი. "ჰერტა" ნახევარფინალში დაგვიწყვილეს, 2:1 მოვუგეთ და ფინალში გავედით. იქ ის დანიური გუნდი შეგვხვდა, რომელთანაც ჯგუფში 1:3 წავაგეთ. ფინალიც დავთმეთ 0:4 და მეორე ადგილი დავიკავეთ.*

*ზუგდიდის "ბაიას" გამოსვლა წარმატებული რომ იყო, ტურნირის დირექტორის რეაქციით დადასტურდა. მან მონაწილეობისთვის მადლობა გადაგვიხადა. კაცი გაოცებული დარჩა, ფავორიტად ყველა ბერლინის "ჰერტას" თვლიდა, უნდა გენახათ, რა გამართულად თამაშობდნენ, მაგრამ 2:1 მოვუგეთ.*

*ჩვენი ორი ფეხბურთელი გამოარჩიეს. ცოტნე სამუშიამ პრიზი ფეარ-ფლეის პრინციპების დაცვისთვის მიიღო, აჩიკო მესხი კი (ბოლნისელი ბავშვია), ყველაზე ტექნიკურ ფეხბურთელად დაასახელეს. მან ხალხი გააოცა, პატარა მარადონას ეძახდნენ და ვფიქრობ, ძალიან დიდი მომავალი აქვს."*

**მერაბ მამულაშვილი**



## ფეხბურთელთა უმაღლესი მომზადება

# არგენტინაში,

## დიეგო მარადონას სამშობლოში

16, 17, 18, 19 წლის ასაკის ფეხბურთელების საყურადღებოდ!!!

მათ, ვისაც სურთ ჯერ აიმაღლონ ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური დონე არგენტინაში, და შემდეგ გარკვეული პერიოდი ითამაშონ იქაური საფეხბურთო კლუბებში, მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოს გაემგზავრებიან არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში. ფეხბურთელებს მოამზადებს წარსულში ცნობილი ფეხბურთელი და ამჟამად მწვრთნელი ედუარდო დელგადო.

მომზადების პერიოდი 6 თვიდან ერთ წლამდეა. ამ პერიოდში ფეხბურთელებს ექნებათ ამხანაგური თამაშები, რომლის დროსა მათზე მოხდება დაკვირვება. სრულყოფილი მომზადების შემდეგ, ედუარდო დელგადო ფეხბურთელებს წარადგენს არგენტინის კლუბებში, სადაც გააგრძელებენ ოფიციალურ თამაშებს.

არგენტინის მხარე მომზადების ხარჯებს არ უზრუნველყოფს. ასევე, არგენტინის ვიზების, მგზავრობის, მომზადებისა და ადგილზე ცხოვრების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა მიერ.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მობრძანდით არგენტინის წარმომადგენელთან მიმდინარე წლის 25 ოქტომბრამდე, მისამართზე: ლეონიძის ქ №4 (ყოფილი კიროვის ქუჩა თავისუფლების მოედანთან), ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ.

გასაუბრებისთვის მსურველები წინასწარ უნდა ჩაეწერონ არგენტინის წარმომადგენელთან, შემდეგ ტელეფონზე: 899 23 55 20.



ეროვნული ბიბლიოთეკა

წამსვლელი კაცი

# დროგბა: აბრამოვიჩმა აიძულა მოურინიო, გადამდგარიყო...

## ავანტიურა, რომელიც არ შედგა: კოტდივუარელმა ფორვარდმა წასვლა გადადო

როგორც იცით, **დიდიე დროგბამ** "ჩელსიდან" აზარგების მტკიცე სურვილი გამოთქვა. ის არ მალავს, რომ ამ გადაწყვეტილებაზე ის კარგა ხანს ფიქრობდა და რომ ამის მთავარი მიზეზი **ჟოზე მოურინიოს** გადადგომა შეიქმნა. გუშინ მან ვრცელი ინტერვიუ მისცა "ფრანს ფუტბოლს" და კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ "სტემფორდ ბრიჯზე" ბოლო სეზონს ატარებს. თუმცა მან გეგმები მცირედით შეცვალა. თუ თავიდანვე ფიქრობდა, რომ "ჩელსის" იანვარშივე დატოვებდა, ახლა თვლის, რომ ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღო და გუნდში ზაფხულამდე დარჩება...

მისი ინტერვიუს დიდი ნაწილი მოურინიოს თემას დაეთმო. მან თქვა ის, რაც ყველამ იცოდა, მაგრამ ხმამაღალი საუბრისგან თავს იკავებდა: *"რომან აბრამოვიჩმა აიძულა მოურინიო, გადამდგარიყო. ეს თავიდანვე ვიცოდი. უზომოდ გავბრაზდი. სიმართლე გითხრათ, "ვალენსიასთან" მატჩში მოედანზე გასვლა არც მინდოდა. ვფიქრობდი, რომ სხვა გუნდში გადასვლის შემთხვევაში, ჩემპიონთა ლიგაში თამაშის საშუალება მექნებოდა".*

მაგრამ დროგბა ამ ავანტიურაზე არ წავიდა: *"როცა რაღაცაზე ძალიან გაბრაზებული ხარ, არ არის გამორიცხული, ასეთ დროს იმპულსური გადაწყვეტილება მიიღო. მეც ასე დამემართა. ახლა მიმაჩნია, რომ სწორად მოვიქეცი".*

შემდეგ, კოტდივუარელი ფორვარდი იხსენებს იმ დღეს, როცა მოურინიომ წასვლა გადაწყვიტა: *"ჟოზე მოვიდა ჩემთან და გამიმხილა, რომ გადადგომას აპირებდა. პრინციპში, იმ მომენტში გადაწყვეტილება მას უკვე მიღებული ჰქონდა, თუმცა კლუბმა განცხადება მოგვიანებით გააკეთა... მოურინიოს სიტყვებმა შოკში ჩამაგდო. არ მეგონა, რომ ისეთი ძლიერი ადამიანი, როგორიც ჟოზეა, ასეთი ფორმით დატოვებდა "ჩელსის". როცა ის გასახდელში დასამშვიდობებლად შემოვიდა, სულ რაღაც 5 წუთი ილაპარაკა. ეს ძალიან მძიმე მომენტი იყო. ასევე ძალიან მძიმე საყურებელი იყო, როგორ იღებდა თავის ნივთებს პატარა კარადიდან... ჩემ გარშემო ზოგიერთი ფეხბურთელი ყვიროდა, იყო ცრემლებიც... მერე ჩამოგვიარა და ყველა გადაგვკოცნა... ყველა, გარდა რამდენიმე ფეხბურთელისა. ბოლოს კი დაგვემშვიდობა და ყველას წარმატება გვისურვა, იმათაც კი, ვინც მას ულალატა. ამის შემდეგ ერთი წამიც არ დაუყოვნებია, მაშინვე გავიდა. ცოტა ხანიც რომ დარჩენილიყო, ნამდვილად იტირებდა".*

დროგბა გაკვირვებული დარჩა იმით, რომ გასახდელიდან მოურინიოს გასვლისთანავე, ფოიერვერკი მოეწყო: *"ისეთი ამბავი დატრიალდა, მეგონა იქაურობა აფეთქდებოდა. თავი მარტო ვიგრძენი, თითქოს დავობლდი. იმ ბავშვს ვგავდი, რომელიც მამამ მიატოვა".*

დაბოლოს, დროგბა ადასტურებს, რომ ლოიალურია კლუბის მიმართ და რომ სეზონის ბოლომდე მის სამსახურში იქნება, მერე კი აუცილებლად წავა. ამ მხრივ, ის უკვე ჩამოყალიბდა, თუმცა ჯერ არ იცის, სად პოვებს ახალ თავშესაფარს. ვარიანტები აქვს და ერთობ შთამბეჭდავიც: "ბარსელონა", "რეალი", "მილანი", "ინტერი"...



დიდიე დროგბა

ინგლისი. პრემიერლიგა. X ტურის წინ

# ლივერპულური დერბი ტორესის გარეშე?

## ლემანი სკამზე, ბოლტონს დროებითი მწვრთნელი გამოიყვანს...

**დღეს**

ევერტონი–ლივერპული
არსენალი–ბოლტონი
ბლექბერნი–დერბი
ფულჰემი–დერბი
მანჩესტერ სიტი–ბირმინგემი
მიდლსბრო–ჩელსი
ვიგანი–პორტსმუთი
ასტონ ვილა–მანჩესტერ იუნ.

**ხვალ**

ვესტ ჰემი–სანდერლენდი

**ზეგ**

ნიუკასლი–ტოტენჰემი

ტურის უმთავრეს მატჩს "გუდისონ პარკი" უმასპინძლებს. "ევერტონის" მშობლიურ არენაზე 206-ე ლივერპულური დერბი გაიმართება. **რაფა ბენიტესმა** შეგირდებს სრული კონცენტრაციისაკენ მოუწოდა. მიმომხილველები დაძაბულ პაექრობას ელიან. ტრადიციისამებრ, თამაშის წინ მეტოქეებმა ერთმანეთს კბილი გაჰკრეს. ბენიტესმა "ევერტონს" პატარა კლუბი უწოდა. ევერტონელთა კაპიტანმა **ალან სტაბსმა** კი უპასუხა: თუ "ლივერპული" ჩვენზე დიდია, გაჩემპიონებას რატომ ვერ ახერხებსო. "ლივერპულს" გამარჯვება სჭირდება. მან ბოლო ოთხი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგო და ლიდერ "არსენალს" საგრძნობლად ჩამორჩა. ბენიტესს "გუდისონზე" შარშანდელი სტუმრობაც კარგად ახსოვს. მისი შეგირდები სამი უპასუხო გოლით დამარცხდნენ.

სტუმართა შემადგენლობაში საეჭვოა **ფერნანდო ტორესის** გამოჩენა. ის ესპანეთის ნაკრებში ყოფნისას დაშავდა. ბენიტესი ექიმების დასკვნას ელოდება. ხუთშაბათს და პარასკევს ტორესმა მსუბუქი დატვირთვით ივარჯიშა. მწვრთნელი გარისკვას არ აპირებს. ფერნანდომ ამ სეზონში (ყველა ტურნირზე) შვიდი გოლი შეაგდო. მანვე გაათანაბრა ანგარიში "ტოტენჰემთან" ორი კვირის წინანდელი მატჩის მიწურულს (2:2). დღეს მერსისაიდულ დერბიში დებიუტი ექნებათ **ალვარო არბელოას, ანდრეი ვორონინს, რაიან ბაბელს, იოსი ბენაიუნსა** და **ხავიერ მასკერანოს**. აქვე გეტყვით, რომ ტერფის ტრავმა მოიშუშა **ჩაბი ალონსომ**. დღეს ის, შეიძლება, განაცხადში შეიყვანონ. ანალოგიური ტრავმა მოირჩინა "ევერტონის" ავსტრალიელმა ნახევარმცველმა **ტიმ კაჰილმა**. ისიც განაცხადში მოხვედრას აპირებს.

ლიდერ "არსენალს" **რობინ ვან პერსი** დააკლდება. "მეთოფეები" უმისოდაც იოლად უნდა გაუსწორდნენ კრიზისში მყოფ "ბოლტონს". ვან პერსი ოთხშაბათს, ჰოლანდია-სლოვენიის მატჩისას დაშავდა. მან მუხლი იტკინა და ექიმებმა ერთთვიანი შვებულება გამოუწერეს. ვან პერსიმ "არსენალის" ბოლო ოთხ მატჩში ხუთი გოლი გაიტანა. სანაკრებო შეკრებიდან ტრავმით დაბრუნდა შვეიცარიელი მცველი **ფილიპ სენდეროსიც**. ის ორ კვირას დაისვენებს. გამოჯანმრთელდნენ გერმანელი მეკარე **იენს ლემანი,** ფრანგი მცველი **ვილიამ გალასი** და ჩეხი ნახევარმცველი **ტომაშ როსიცკი**. ლემანის დაბრუნების მიუხედავად, ძირითადში **მანუელ ალმუნია** ითამაშებს.

ყოფილი მწვრთნელის, **სემ ელერდაისის** დროს, "ბოლტონმა" "არსენალი" ბოლო სამ სეზონში სამჯერ დაამარცხა. მიმდინარე ჩემპიონატში ბოლტონელებმა სტუმრად ჩატარებულ ოთხ შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვეს. ისინი ბოლოდან მეორე ადგილზე იმყოფებიან, ოთხშაბათს კი უმწვრთნელოდაც დარჩნენ. **სემი ლის** კარისკენ მიუთითეს. მის ნაცვლად შოტლანდიელ სპეციალისტს, **არჩი ნოქსს** გაუფორმეს დროებითი კონტრაქტი. "ბოლტონის" მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ვაკანსია გამოცხადდა. მიმომხილველები **კრის კოულმენის, გარი მეგსონის, გრემ საუნესის** ან **გლენ ჰოდლის** დანიშვნას ელიან. კოულმენი "რეალ სოსიედადის" დამრიგებელია. მეგსონი "ლესტერში" მოღვაწეობს, საუნესი და ჰოდლი უმუშევრები არიან. "ბოლტონის" ბოსმა **ფილ გარტსაიდმა** გადაწყვეტილება უახლოეს 24 საათში უნდა მიიღოსო, გვაუწყებს "სანი". "ემირიტს სთედიუმზე" გუნდს ნამდვილად ნოქსი გაუძღვება. საეჭვოა "ბოლტონის" ორი საუკეთესო ფეხბურთელის, ნახევარმცველ **კრისტიან ვილჰელმსონისა** და თავდამსხმელ **ნიკოლა ანელკას** ("არსენალის" ყოფილი ვარსკვლავი) თამაში.

ჩემპიონი "მანჩესტერ იუნაიტედი" "ასტონ ვილას" ესტუმრება. სტატისტიკოსებმა დაიანგარიშეს, რომ "ეშმაკებმა" ბოლო რვა სანაკრებო პაუზის შემდეგ გამართული რვავე კალენდარული მატჩი მოიგეს. "მენიუ" ფავორიტად მიიჩნევა. მას პრემიერლიგაში 19 აგვისტოს შემდეგ არ გაუშვია გოლი. მართალია, ცოტასაც იტანდა, მაგრამ ბოლო ტურში "ვიგანი" ოთხჯერ დაამწუხრა და ამ მხრივაც გამოასწორა მდგომარეობა. "იუნაიტედს" მოგებათა ექვსმატჩიანი სერია უმაგრებს ზურგს. გამოჯანმრთელდა ჰოლანდიელი გოლკიპერი **ედვინ ვან დერ სარი**. მწყობრშია ფრანგი ფორვარდი **ლუის სააც**. ვერ ითამაშებენ **მაიკლ ქერიკი** და **ოუენ ჰარგრივსი**. **გარი ნევილს** კი თადარიგში ვიხილავთ. მანჩესტერელთა კაპიტანს მარტის შემდეგ არ უთამაშია. "ვილას" პრობლემები აქვს. ბოლო ექვსი შეხვედრიდან გუნდმა მხოლოდ ერთი მოიგო. სამუშაო ვიზასთან დაკავშირებული პრობლემები მოაგვარა ტოგოელმა **მუსტაფა სალიფუმ**. ის აგვისტოში შეიძინეს, მაგრამ სადებიუტო მატჩს მხოლოდ დღეს გამართავს.

"ჩელსი" "მიდლსბროს" ესტუმრება და შეეცდება, სტუმრად ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგოს. ორი კვირის წინ "არისტოკრატებმა" "ბოლტონი" დაამარცხეს (2:1). ლონდონელებს ვერ დაეხმარება კაპიტანი **ჯონ ტერი**. სახის ტრავმისა და ოპერაციის შემდეგ ის ინგლისელთა შეკრებაზე გაემგზავრა, მაგრამ იქ მუხლის ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. ტერი ისევ საოპერაციოა. ის გაურკვეველი ვადით ჩამოშორდა მინდორს. ორი დღის წინ "ფრანს ფუტბოლთან" საუბრისას **დიდიე დროგბამ** საჯაროდ განაცხადა, რომ ლონდონიდან აზარგება სურს. ვარაუდობენ, რომ მისი კომენტარი კიდევ უფრო გააღრმავებს "ჩელსიში" არსებულ კრიზისს. "არისტოკრატებს" საუკეთესო ბომბარდირისათვის არ უპასუხიათ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 8 | 7 | 1 | 0 | 19-6 | 22 |
| 2. მანჩესტერ იუნ. | 9 | 6 | 2 | 1 | 11-2 | 20 |
| 3. მანჩესტერ სიტი | 9 | 6 | 1 | 2 | 14-7 | 19 |
| 4. ლივერპული | 8 | 4 | 4 | 0 | 14-4 | 16 |
| 5. პორტსმუთი | 9 | 4 | 3 | 2 | 17-12 | 15 |
| 6. ბლექბერნი | 8 | 4 | 3 | 1 | 9-6 | 15 |
| 7. ჩელსი | 9 | 4 | 3 | 2 | 8-8 | 15 |
| 8. ასტონ ვილა | 8 | 4 | 2 | 2 | 12-8 | 14 |
| 9. ნიუკასლი | 8 | 4 | 2 | 2 | 13-10 | 14 |
| 10. ევერტონი | 9 | 4 | 1 | 4 | 12-11 | 13 |
| 11. ვესტ ჰემი | 8 | 3 | 1 | 4 | 9-8 | 10 |
| 12. რედინგი | 9 | 3 | 1 | 5 | 10-18 | 10 |
| 13. ბირმინგემი | 9 | 2 | 2 | 5 | 8-12 | 8 |
| 14. ვიგანი | 9 | 2 | 2 | 5 | 8-12 | 8 |
| 15. მიდლსბრო | 9 | 2 | 2 | 5 | 10-16 | 8 |
| 16. სანდერლენდი | 9 | 2 | 2 | 5 | 10-16 | 8 |
| 17. ტოტენჰემი | 9 | 1 | 4 | 4 | 16-18 | 7 |
| 18. ფულჰემი | 9 | 1 | 4 | 4 | 12-16 | 7 |
| 19. ბოლტონი | 9 | 1 | 2 | 6 | 9-14 | 5 |
| 20. დერბი | 9 | 1 | 2 | 6 | 5-22 | 5 |



ფერნანდო ტორესი

### სტონტონს დათხოვნა ემუქრება

ირლანდიის ნაკრების თავკაც **სტივ სტონტონს** სამსახურიდან დათხოვნა ემუქრება. ოთხშაბათს ირლანდიელებმა კვიპროსს უმასპინძლეს და უსახურ 1:1-ს დასჯერდნენ. **სტონტონის** შეგირდებმა ევროპის ჩემპიონატზე გასვლის თეორიული შანსიც დაკარგეს. გულშემატკივრებმა უკმაყოფილება გამაყრუებელი სტვენით გამოხატეს. ნამატჩევს ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციის თავმჯდომარე **ჯონ დელენეიმ** განაცხადა, რომ ალმასკომი უახლოეს დღეებში შეიკრიბება. ასოციაცია ნაკრების თამაშს გააანალიზებს და საჭირო დასკვნებს გამოიტანს. მიმომხილველები კრიზისის დაძლევის ერთადერთ გზად სტონტონის გათავისუფლებას მიიჩნევენ.

### აბრამოვიჩმა ნაკრები დააჯილდოვა

ინგლისთან ნამატჩევს რუსეთის ფეხბურთის აკადემიამ ნაკრების მოთამაშეებს პრემიები ჩამოურიგა. თითოეულმა ფეხბურთელმა 35 ათასი ევრო მიიღო. აკადემიას "ჩელსის" ბოსი **რომან აბრამოვიჩი** მფარველობს. თამაშის დასრულებისთანავე ის ფეხბურთელებს გასახდელში ესტუმრა, გამარჯვება მიულოცა და განუცხადა, რომ ისინი და არა ინგლისელები იმსახურებენ ევროპის ჩემპიონატზე თამაშს. ფინალურ სტადიაზე გასვლის შემთხვევაში რუსებს კიდევ უფრო სოლიდური პრემია ელით. თითოეული მოთამაშე 65 ათას ევროს მიიღებს.

### არსენალი ველას დაიბრუნებს

იანვრის ტრანსფერებისას "არსენალი" ახალგაზრდა მექსიკელ თავდამსხმელ **კარლოს ველას** დაიბრუნებს. 18 წლის ფეხბურთელი ლონდონურ კლუბში გასულ ზაფხულს ჩაირიცხა, მაგრამ სამუშაო ვიზა ვერ მიიღო. ველა "ოსასუნაში" გაანათხოვრეს. მალე მექსიკელი ლეგიონერი ესპანეთის მოქალაქე გახდება. ეს კი ევროკავშირის ტერიტორიაზე, მათ შორის, დიდ ბრიტანეთში, უვიზოდ მუშაობის უფლებას მიანიჭებს. თავდაპირველად გადაწყვეტილი იყო, რომ ველა პამპლონურ კლუბში მთელ სეზონს გაატარებდა. უფრო მეტიც, საიჯარო კონტრაქტის გაგრძელებასაც კი აპირებდნენ, მაგრამ **არსენ ვენგერმა** ამ ბიჭის დაბრუნება მოითხოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. VIII ტურის წინ

# ვის ემუქრება სახრჩობელა?

**დღეს**

**რომა-ნაპოლი**
**რეჯინა-ინტერი**

**ხვალ**

**ატალანტა-ტორინო**
**კალიარი-კატანია**
**ფიორენტინა-სიენა**
**ლივორნო-ლაციო**
**მილანი-ემპოლი**
**სამპდორია-პარმა**
**უდინეზე-პალერმო**
**იუვენტუსი-ჯენოა**

ორკვირიანი პაუზის შემდეგ იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტური "რომა"-"ნაპოლის" მატჩით განახლდება. "ჯალოროსის" შინ მხოლოდ ერთი მატჩი აქვს მოგებული. "ოლიმპიკოზე" გამართულ ბოლო შეხვედრაში "რომამ" 1:4 წააგო "ინტერთან" და დროა, ქომაგებს ნალველი გაუქარვოს. ისტორიულად, "ნაპოლი" მისთვის მაინცდამაინც უხერხულ მეტოქედ არ ითვლება. ბოლო გამარჯვებებიდან, შეიძლება, 1997 წლის 6:2 გამოვყოთ. სამხრეთელებმა ზედიზედ ორი მატჩი წააგეს, დედაქალაქელებმა კი წინა ტურში სტუმრად 3:0 მოუგეს "პარმას".

**ლუჩანო სპალეტის** ტრავმირებულები ჰყავს **როდრიგო ტადეი** და **ალბერტო აკვილანი**. სამაგიეროდ, დისკვალიფიკაცია მოიხადა და ძირითადში დაბრუნებისთვის მზადაა **ლუდოვიკ ჟიული**. "ნაპოლის" მწვრთნელი **ედოარდო რეია** კი, ალბათ, სასტარტოში დააყენებს არგენტინელ **რობერტო სოსას**, რომელმაც 3 გოლი აქვს გატანილი და სამივე შეცვლაზე. თავდასხმაში მას მისი თანამემამულე **ესეკიელ ლავესი** შეუწყვილდება.

შაბათსვე, მოგვიანებით, "ინტერს" რეჯოკალაბრიაში აქვს გასვლა. "ნერაძურის" "გრანილოზე" მხოლოდ ერთხელ აქვს წაგებული: 2:1 2000 წლის ოქტომბერში, რასაც **მარჩელო ლიპის** გადადგომა მოჰყვა. ახლა, "რეჯინას" მწვრთნელ **მასიმო ფიკადენტის** ემუქრება გადაყენება. რეალურად, მის გუნდს არ აქვს იმის რესურსი, რომ "ინტერს" სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს. მწვრთნელის მთავარი პრობლემა ფორვარდ **ნიკოლა ამორუზოს** ტრავმაა. ვეტერანის თამაშის ამ დრომდე საეჭვოა. ნახევარდაცვის ლიდერი **ფრანჩესკო მოდესტო** კი დისკვალიფიცირებულია.

"ინტერს" **პატრიკ ვიეირა** უბრუნდება. **მარკო მატერაცი** და **ოლივიე დაკური** ლაზარეთში რჩებიან. მოსალოდნელია, რომ **რობერტო მანჩინიმ** სანაკრებო ბატალიებით გადაღლილი **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** დაასვენოს, მით უმეტეს, რომ შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგის მატჩებია.

"ემპოლისთან" საშინაო მატჩში "მილანი" კვლავ **რონალდოსა** და **კახა კალაძის** გარეშე იქნება. საგულისხმოა, რომ "როსონერის" ჯერ საშინაო მატჩი არ მოუგია. წინა ტურში **კარლო ანჩელოტის** შეგირდებმა გასვლაზე "ლაციო" გაანადგურეს, 5:1. იმ შეხვედრაში პირველი გოლები (დუბლი) გაიტანა **ალბერტო ჯილარდინომ**, რომელიც ხვალ უეჭველად სასტარტოში იქნება. კარში დაბრუნდება **დიდა**, რომელიც ამ დღეებში უეფასგან შეწყალებას ელის.

"ემპოლის" ცუდად მისდის საქმეები. გასულ უიქენდზე, ტოსკანურ დერბიში, მან "სიენასთან" 0:3 წააგო. თუმცა **ლუიჯი კანის** ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ ენდობა. გამოცდილ მწვრთნელს სამილანო შემადგენლობის შერჩევა დისკვალიფიცირებული მცველის **დანიელე ადანის** გარეშე მოუწევს. დაცვაში კიდევ ერთი დანაკლისია **ვიტორიო ტოსტო**, რომელიც ტრავმირებულია.

ტოსკანური დერბია ამ ტურშიც: "ფიორენტინა"-"სიენა". ლიდერის დარად, სერია A-ში ჯერჯერობით არც ფლორენციელებს წაუგიათ. მიზერულია შანსი, რომ ეს სასიამოვნო ტრადიცია მაინცდამაინც "სიენამ" დაარღვიოს. **ჩეზარე პრანდელი** თავდასხმაში კვლავ **ადრიან მუტუსა** და **ჯამპაოლო პაცინის** დააყენებს, მათ უკან კი **ფრანკო სემიოლი** იმოქმედებს. მიუხედავად იმისა, რომ ტრავმისგან განიკურნა **მარტინ იორგენსენი**, ნაკლებადაა მოსალოდნელი, რომ პრანდელიმ ის უმალ ძირითადში გაამწესოს.

"სიენას" პრობლემები აქვს თავდასხმაში. ვეტერანი **ენრიკო კიეზა** და ლიხტენშტაინელი **მარიო ფრიკი** ტრავმებს იშუშებენ. **ანდრეა მანდორლინი** წინა ხაზზე **კრისტიან ბუკისა** და **მასიმო მაკარონეს** შეწყვილებას გეგმავს.

საინტერესო თამაში უნდა იყოს "სამპდორია"-"პარმა". ვერც ერთი მათგანი ხეირიანი სტარტით ვერ დაიკვეხნის. "სამპი" უეფას თასიდანაც გავარდა. "ლუიჯი ფერარისზე", სადაც გასულ შაბათს საქართველოს ნაკრებმა ითამაშა, ორივე გუნდს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე არ ეყოლება. ასე მაგალითად, **ვალტერ მაძარისთვის** სერიოზული დანაკლისია დისკვალიფიცირებული ნახევარმცველის **სერჯო ვოლპის** არყოფნა. ამავე მიზეზით, **დომენიკო დი კარლო** ფორვარდ **ბერნარდო კორადისა** და სენეგალელ მცველ **ფერდინანდ კოლის** ვერ დაიხმარს. პლუს ამას, პარმელებს ტრავმირებული ჰყავთ მცველი **ჯუზეპე კარდონე**, ნახევარმცველი **ლუკა ჩიგარინი** და ხორვატი ფორვარდი **იგორ ბუდანი**.

"უდინეზე"-"პალერმოს" მიიღებს. თუ სიცილიელებმა წააგეს, შესაძლოა, პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ** მწვრთნელი **სტეფანო კოლანტუონო** პოსტიდან დაითხოვოს. ამაზე ორი კვირის წინაც იყო ლაპარაკი, როცა ამბიციურმა "პალერმომ" საკუთარ მოედანზე "რეჯინასთან" ორი ქულა დაკარგა (1:1). მოგეხსენებათ, ძამპარინისთვის მწვრთნელების ცვლა ფრიად სასიამოვნო პროცედურაა და ამიტომ, კოლანტუონო უდინეში მინიმუმ არ უნდა დამარცხდეს. ეს კი მეტად ძნელი იქნება იმ პირობებში, როცა ტრავმირებულია ფორვარდი **ფაბრიციო მიკოლი**, ცენტრალური მცველი **ჯუზეპე ბიავა** კი ერთმატჩიან სასჯელს იხდის. "უდინეზეს" მწვრთნელი **პასკუალე მარინო** კი, ბერგამოული 0:0-ის შემდეგ, თავდასხმაში კვლავ **ანტონიო დი ნატალესა** და **გიან ასამოას** დააყენებს.

"ლივორნო"-"ლაციოს" მატჩში დებიუტი ექნება მასპინძელთა მწვრთნელ **ჯანკარლო კამოლეზეს**, რომელმაც ათი დღის წინათ **ფერნანდო ორსი** შეცვალა. ახალი ცოცხი კარგად გვისო და, ხშირად ყოფილა, რომ ახალდანიშნული მწვრთნელი პირველივე თამაშს იგებს, თანაც ეს პირველი გამარჯვება იქნებოდა თავად "ლივორნოსთვისაც". ეს კი, ცხადია, არ შედის **დელიო როსის** გეგმებში, რომელსაც, თავის მხრივ, ასევე მოგება სჭირდება, "მილანთან" იმ კოშმარული ღამის (1:5) დასავიწყებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისიც შეიძლება "სახრჩობელაზე" ვიხილოთ. დიდი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ "მილანთან" ჩაგდებული მატჩის გამო, ურუგვაელ მეკარე **ნესტორ მუსლერას** სკამზე დასვამენ. ჯერჯერობით, როსი იძულებულია, "მოხუც" **მარკო ბალოტას** ენდოს. კამოლეზეს კი არ ეყოლება დისკვალიფიცირებული მცველი **დავიდ ბალერი**, ხორვატ **დარიო კნეჟევიჩს** კი, რომელიც ბოლოხანს არასაიმედოდ თამაშობს, უკანა ხაზის ცენტრალურ ნაწილში გამოცდილი **ფაბიო გალანტე** ჩაენაცვლება.

"ატალანტა" ზედიზედ მეორე საშინაო მატჩს ატარებს. ამჯერად, მისი მეტოქე იქნება "ტორინო", რომელმაც წინა ტურში პირველი გამარჯვება (1:0 "სამპდორიასთან") იზეიმა. ბერგამოელებს კაპიტანი **კრისტიანო დონი** უბრუნდებათ. თუმცა დისკვალიფიკაციის გამო ნახევარდაცვაში **დიეგო დე აშენტისი** და **თომას მანფრედინი** დააკლდებათ. პორტუგალიელი საყრდენი **კოშტინია** და არგენტინელი მცველი **ლეონარდო ტალამონტი** ჯერაც მკურნალობენ. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდნენ **სიმონე ინძაგი** და **ჯამპაოლო ბელინი**. რაც შეეხება **ვალტერ ნოველინოს**, ის ალვარო რეკობას ტრავმის გამო წუხს. დაცვაში **მარკო დი ლორეტოს** დაბრუნებაა მოსალოდნელი, თუმც **რობერტო სტელონე**, **სიმონე ბარონე** და **ივან ფრანჩესკინი** ლაზარეთში რჩებიან.

"კალიარი"-"კატანიის" დაპირისპირება კუნძულელთა დერბია. სარდინიელებმა კარგად დაიწყეს სეზონი, მაგრამ





კოლანტუონოსა და როსის (ქვემოთ) სამსახურის დაკარგვა ემუქრებათ

მერე რამდენიმე მატჩი ჩაუვარდათ. ასეთ შემთხვევაშიც, "კალიარი" საკუთარ მოედანზე მაინც ფავორიტია. მაგრამ აქვე იმის გათვალისწინებაც გვმართებს, რომ "კატანიამ" ბოლო 3 შეხვედრიდან 2 მოიგო და ერთიც ფრედ ("მილანთან", გასვლაზე) ითამაშა. მისთვის სერიოზული დანაკლისია ნახევარმცველისა და კაპიტნის **დავიდე ბაიოკოს** ტრავმა. "კალიარი" საბრძოლო შემადგენლობითაა.

დაბოლოს, "იუვენტუსი"-"ჯენოა", რომელიც კვირას გვიან საღამოს შედგება. "ბებერ ქალბატონს" დიდი სიფრთხილე მართებს იმ გუნდთან, ვისთან ერთადაც სერია A-ში დაბრუნდა და ვისაც ზედიზედ 3 მატჩი აქვს მოგებული, საერთოდ კი, პირველი ტურის შემდეგ ("მილანთან", 0:3 საკუთარ მოედანზე) აღარ წაუგია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, "იუვენტუსსა" და "ჯენოას" ერთმანეთისგან მხოლოდ 2 ქულა ჰყოფთ. "სინიორას" ტრავმირებული ჰყავს **მაურო კამორანეზი** და **ვინჩენცო იაკუინტა**, თუმცა ეს უკანასკნელი, შეიძლება, განაცხადში მაინც შეიყვანონ. თავდასხმაში **ალესანდრო დელ პიერო** და **დავიდ ტრეზეგე** იქნებიან, ტრავმის შემდეგ კი მოსალოდნელია ნახევარდაცვაში **სერხიო ალმირონის** გამოჩენაც.

"ჯენოა" საბრძოლო შემადგენლობითაა. **ჯან პიერო გასპერინი**, ალბათ, არ უღალატებს ტრადიციას და წინა ხაზზე კვლავ **მარკო დი ვაიოს**, **ჯუზეპე სკულისა** და **მარკო ბორიელოს** გაამწესებს. **კლადიო რანიერი** მეტადრე უკანასკნელს უნდა უფრთხილდეს. "მილანის" ყოფილი ფორვარდი ბოლო ხანებში შესაშური შედეგიანობით გამოირჩევა. ახლა მას 5 გოლი აქვს გატანილი, რაც ორით ნაკლებია, ბომბარდირთა დავაში დაწინაურებულ იბრაჰიმოვიჩისა და ტრეზეგეს მაჩვენებელზე.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 7 | 5 | 2 | 0 | 16-5 | 17 |
| 2. იუვენტუსი | 7 | 4 | 2 | 1 | 16-7 | 14 |
| 3. რომა | 7 | 4 | 2 | 1 | 15-8 | 14 |
| 4. ფიორენტინა | 7 | 3 | 4 | 0 | 13-7 | 13 |
| 5. ჯენოა | 7 | 3 | 3 | 1 | 8-7 | 12 |
| 6. პალერმო | 7 | 3 | 2 | 2 | 10-10 | 11 |
| 7. უდინეზე | 7 | 3 | 2 | 2 | 8-10 | 11 |
| 8. მილანი | 7 | 2 | 4 | 1 | 13-7 | 10 |
| 9. ნაპოლი | 7 | 3 | 1 | 3 | 10-6 | 10 |
| 10. ატალანტა | 7 | 2 | 4 | 1 | 8-8 | 10 |
| 11. კატანია | 7 | 2 | 3 | 2 | 5-6 | 9 |
| 12. სამპდორია | 7 | 2 | 2 | 3 | 5-7 | 8 |
| 13. ტორინო | 7 | 1 | 4 | 2 | 7-9 | 7 |
| 14. ლაციო | 7 | 1 | 4 | 2 | 8-11 | 7 |
| 15. კალიარი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-10 | 7 |
| 16. სიენა | 7 | 1 | 3 | 3 | 7-9 | 6 |
| 17. პარმა | 7 | 1 | 3 | 3 | 7-10 | 6 |
| 18. ემპოლი | 7 | 1 | 2 | 4 | 4-10 | 5 |
| 19. რეჯინა | 7 | 0 | 4 | 3 | 5-13 | 4 |
| 20. ლივორნო | 7 | 0 | 2 | 5 | 6-17 | 2 |

## მუტუ აღიარეს...

"ფიორენტინის" ფორვარდი **ადრიან მუტუ** 2007 წლის შედეგების მიხედვით სერია A-ს საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მას გადაეცემა სპეციალური ჯილდო Guerin d'Oro, რომელიც თავის დროზე ყოველკვირეულმა ჟურნალმა "გუერინ სპორტივომ" დააწესა, ხოლო გამოკითხვას "კორიერე დელო სპორტთან", "გაძეტა დელო სპორტთან" და "ტუტოსპორტთან" ერთად ატარებს.

*"ძალიან გახარებული ვარ, - ამბობს რუმინელი, - იმედი მაქვს, რომ იტალიაში დაბრუნების შემდეგ ნეგატიური იმიჯი საბოლოოდ მოვიშორე და შემიძლია, სხვებისთვის მაგალითადაც ვიქცე. იტალიელ ახალგაზრდებს ვურჩევდი, როგორმე თავი აარიდონ იმ ხაფანგს, რაშიც მე ინგლისში გადასვლის შემდეგ აღმოვჩნდი. ფლორენციაში მეორე სახლი ვიპოვნე და გარწმუნებთ, ამ სახლს დიდხანს არ დავტოვებ".*

მუტუ "ფიორენტინაში" 2006/07 წლების სეზონში "იუვენტუსიდან" 8 მილიონ ევროდ გადავიდა. მანამდე ის "ჩელსიში" იყო, მაგრამ იქიდან კოკაინის სკანდალის გამო გააძევეს და ზედაც 8-თვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს.

## კავენაგი: შეიძლება, კალიარიში...

არგენტინელი ფორვარდი **ფერნანდო კავენაგი**, შეიძლება, იანვარში "ბორდოდან" წავიდეს. გეხსომებათ, გასულ წელს ის საფრანგეთში მოსკოვის "სპარტაკიდან" გადავიდა. "ჟირონდისტებმა" მასში 7 მილიონი ევრო გადაიხადეს. ჯერჯერობით, კავენაგის "ბორდოში" არაფერი გამოსდის. მან მხოლოდ 9 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა. მიუხედავად ამისა, კავენაგის გადაბირებით "კალიარის" პრეზიდენტი **მასიმო ჩელინოა** დაინტერესებული. ამის მიზეზი ისაა, რომ სარდინიელებს თავდასხმაში უჭირთ და თანაც სერია A-ში დასარჩენად იბრძვიან.

## იუვენტუსის ახალი შენაძენი

როგორც რუსული სააგენტო იტარ-ტასი იუწყება, "იუვენტუსმა" 14 მილიონ ევროდ მოსკოვის "ლოკომოტივის" მცველი **ბრანისლავ ივანოვიჩი** იყიდა. ის, რომ ამ ტრანსფერის ალბათობა დიდი იყო, უკვე ვწერდით. ნათქვამი იყო ისიც, რომ "ბებერი ქალბატონი" ამ ფეხბურთელში 10 მილიონ ევროზე მეტის გადახდას არ აპირებდა. როგორც ხედავთ, რკინიგზელებმა სარფიანად ივაჭრეს და თვით "იუვესაც" კი უკან დაახევინეს. "ლოკომოტივის" პრეზიდენტმა **იური სიომინმა** კომენტარისგან თავი შეიკავა, აღნიშნა რა, რომ ყველა სატრანსფერო გარიგებაზე კლუბი ოფიციალურ განცხადებას სეზონის დასრულებისთანავე გააკეთებს.

დაპირისპირება

# დომენეკი vs იტალია, სერია მეორე

**რაიმონ დომენეკი** არ ცხრება. იტალიურ ფეხბურთზე შეტევა მას თავის დროზე დისკვალიფიკაციად დაუჯდა. თითქოს სხვა საქმე არ აქვსო, ფრანგების მწვრთნელი კვლავ იცლის კალჩოსთვის და მისი მისამართით ახალ-ახალ შენიშვნებს აკეთებს. დომენეკი "სან სიროს" მატჩსაც (იტალია-საფრანგეთი 0:0) იხსენებს და ამტკიცებს, რომ "სკუადრა აძურა" ყოველთვის ფრეზე თამაშობს.

*"რაც შეეხება შოტლანდია-იტალიის შეხვედრას, რომელიც ნოემბერში გაიმართება, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ის ფრედ დასრულდება, რადგან ეს არის ის, რაც იტალიელებს ყველაზე კარგად ეხერხებათ. ისინი ყოველთვის ასე თამაშობენ, რადგან სხვანაირად არ შეუძლიათ. ტოტალიზატორის მოყვარული რომ ვიყო, ფსონს აუცილებლად ფრეზე დავდებდი".*

ლოგიკურად, შოტლანდიასთან **რობერტო დონადონის** მართლაც არ აწყობს რისკის გაწევა, რადგან წაგების შემთხვევაში მისი გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსს მინიმუმამდე დაიყვანს. ხოლო თუ საფრანგეთის ნაკრები კიევში მოიგებს, ეს შანსიც მოკვდება. ამდენად, დონადონი რთულ სიტუაციაშია. მაგრამ დომენეკსაც ფრე აწყობს კიევში. თუ, ვთქვათ, იტალია გლაზგოში წააგებს, ხოლო უკანასკნელ ტურში ფარერებს მოუგებს, ფრანგებთან საერთო ბალანსში მაინც აგებენ (1:3, 0:0) და მესამე ადგილზე დარჩებიან. დომენეკი კომენტარს ასე ამთავრებს:

*"ჩვენ კიევში ფრეც შეიძლება გვეყოს, მაგრამ საფრანგეთის ნაკრები სხვაა, მისი სტრატეგია ყოველთვის მოგებაზეა გათვლილი და კიევშიც ამისთვის ჩავალთ. ფარერებთან, ლიტვასთან და უკრაინასთან 3-3 ქულა გვქონდა დაგეგმილი და აქედან გამომდინარე, ჩვენთვის არაფერი იცვლება".*

ცხადია, იტალიელები დომენეკის მორიგ გამოხდომას უპასუხოდ არ დატოვებენ.



რაიმონ დომენეკი იტალიას საშვილიშვილოდ გადაეკიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. X ტურის წინ

# როდის ნაიფორხილებს ბავარიული გიგანტი?

## თავხედი კარლსრუე არმინიასაც ემუქრება...

**გუშინ**

კოტბუსი–დუისბურგი

**დღეს**

ვერდერი–ჰერტა
ლევერკუზენი–ბორუსია
ნიურნბერგი–აინტრახტი
ჰამბურგი–შტუტგარტი
ბოხუმი–ბაიერნი
ჰანზა–შალკე

**ხვალ**

ჰანოვერი–ვოლფსბურგი
კარლსრუე–არმინია

ამიერიდან, მთელი გერმანია "ბაიერნის" ნაფორხილებას ელის. ერთი სიტყვით, ბუნდესლიგაში ტრადიციული სურათი ყალიბდება: "ბაიერნი" და დანარჩენები. დღეს, **ოტმარ ჰიტცფელდის** გუნდი "ბოხუმს" სტუმრობს და ცხადია, ძალიან ცოტას თუ ეპარება ეჭვი იმაში, რომ მიუნხენელები "რურშტადიონიდან" 3 ქულით ხელდამშვენებულები დაბრუნდებიან. **მარსელ კოლერის** გუნდი ამ შეხვედრაში განწირული კი ჩანს, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ "ბოხუმს" მიმდინარე სეზონში საკუთარ მოედანზე თამაში არ წაუგია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ "ბოხუმმა" რეკორდმაისტერს სულ 16-ჯერ უმასპინძლა და ამ 16 მატჩიდან მხოლოდ ერთის მოგება შეძლო. "ბაიერნს" **მიროსლავ კლოზე** გამოუჯანმრთელდა - ასე რომ, "ბოხუმს" ბავარიული გიგანტის ტოპდუეტი (კლოზე-**ტონი**) შეუტევს.

ძალიან დამაინტრიგებელია "ჰამბურგისა" და "შტუტგარტის" ჯახი. უნდა ითქვას, რომ სანაკრებო პაუზამ ორივე გუნდს საკადრო პრობლემები გაუჩინა, განსაკუთრებით კი HSV-ს. თავად განსაჯეთ, **ჰუუბ სტევენსი** დღეს ვერც **ნაიჯელ დე იონგს** დაიხმარს და ვერც გუნდის თავ **რაფაელ ვან დერ ვაარტს**. ჰოლანდიის ნაკრებიდან ორივე მათგანი ტრავმირებული დაბრუნდა, რაც ჩრდილოგერმანული კლუბისთვის წარმოუდგენლად დიდი დანაკლისია. ტრავმირებულია **გერეროც**, რის გამოც, სტევენსს იმპროვიზირება მოუწევს. "შტუტგარტის" თავკაც **არმინ ფეეს** კი ორი ცენტრალური მცველი აკლია: **მეტიუ დელპიერი** და კაპიტანი **ფერნანდო მეირა** (ეს უკანასკნელი დისკვალიფიცირებულია). შესაბამისად, დიდი შანსია, რომ დღეს ბუნდესლიგაში დებიუტი ჰქონდეს ახალგაზრდა **პისოტს**, რომელიც ფეემ იუნიორებიდან აიყვანა.

"შალკე", რომელმაც ორი კვირის წინათ სეზონის პირველი მარცხი განიცადა (შინ, "კარლსრუესთან"), დღეს როსტოკში ჩადის. წინა ტურში "ჰანზამაც" წააგო, ოღონდ სამმატჩიანი მოგებათა სერიის შემდეგ და **ფრანკ პაგელსდორფის** შეგირდებმა ისიც იციან, რომ "შალკეს" ამ სეზონში არცერთი გასვლითი შეხვედრა არ წაუგია. მიუხედავად იმისა, რომ მეკლენბურგელებს კაპიტანი **ბაინლიხი** უბრუნდებათ, პაგელსდორფის გუნდი ამ თამაშში მაინც აუტსაიდერად არის შერაცხული. "შალკეს" დამრიგებელ **მირკო სლომკას** იმედი ჰქონდა, რომ **კრისტიან პანდერი** გამოჯანმრთელებას მოასწრებდა, მაგრამ "კიკერის" ინფორმაციით, მარცხენა მცველის ასპარეზობა თითქმის გამორიცხულია. როსტოკელთა მხრიდან ყველაზე მოტივირებული ფორვარდი **ვიქტორ აგალი** იქნება, რომელიც ერთ დროს "შალკეს" ღირსებას იცავდა და რომელსაც ამ სეზონში გოლი ჯერ არ გაუტანია.

ბრემენში, "ვერდერი" "ჰერტას" დაუხვდება. **თომას შააფი** კმაყოფილია იმით, რომ მეკარე **ტიმ ვიზე** გამოჯანმრთელდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრემენული კლუბის უკანა ხაზს მეტი სიმტკიცე და თავდაჯერება ექნება, რადგან ვიზეს შემცვლელი **ფანდერი** ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. "ჰერტა" კი, როგორც ამ გუნდის თავკაცი **ლუსიენ ფავრი** ამბობს, მინი-კრიზისშია (მხოლოდ ერთი ქულა ბოლო სამ შეხვედრაში) და დედაქალაქელები ვალდებულები არიან, ბრემენში მინიმუმ ქულა აიღონ. დორტმუნდის "ბორუსია" ლევერკუზენში ჩადის და ხვდება გუნდს, რომელმაც ბოლო ორი თამაში წააგო და იმისათვის, რომ სატურნირო ცხრილის იმ ნაწილში არ ჩარჩეს, საიდანაც არსად გადიან და არც ვარდებიან, "ბაიერი" ვალდებულია, ეს მატჩი მოიგოს. სტატისტიკა "ფარმაცევტების" მხარესაა: "ბაი-არენაზე" ამ ორი გუნდის ბოლო 15 დაპირისპირებიდან BVB-მ მხოლოდ ერთხელ იმარჯვა. **თომას დოლი** დისკვალიფიცირებულ **კრისტიან ვიორნსს** ვერ დაიხმარს, რომელსაც **რობერტ კოვაჩი** შეცვლის. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი, 1996-დან 2001 წლამდე "ლევერკუზენის" ღირსებას იცავდა.



ბაიერნი ბუნდესლიგის ერთპიროვნული ლიდერია

გერმანიის თასის მფლობელ "ნიურნბერგს" შვიდმატჩიანი მოუგებელი სერია აქვს და ბოლოსწინა ადგილზეა. **ჰანს მაიერის** სამწყსო დღეს იმ გუნდს მასპინძლობს, რომელიც ბოლო წლებში ფრანკებისთვის კერკეტი კაკალია: ფრანკფურტის "აინტრახტს". თავად განსაჯეთ, "ნიურნბერგმა" საკუთარ კედლებში ამ გუნდის დამარცხება ბოლოს 1986/87 წლების სეზონში შეძლო. თუმცა მაიერს შეუძლია, თავის შეგირდებს გერმანიის თასის ნახევარფინალური მატჩის ვიდეოჩანაწერი აჩვენოს - მატჩისა, რომელშიც ფრანკებმა ჰესენელები 4:0 გაანადგურეს.

ხვალ კი, "თავხედი" "კარლსრუე" ბილეფელდის "არმინიას" მასპინძლობს და, როგორც მეორეადგილოსანი, რა თქმა უნდა, ფავორიტად მიიჩნევა. მით უმეტეს, რომ "არმინიამ" ზედიზედ ოთხი თამაში წააგო და ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. KSC-ს **ბრედლი კარნელი** გამოუჯანმრთელდა, მაგრამ "კიკერის" აზრით, **ედე ბეკერი** მაინც იმ შემადგენლობას ენდობა, რომელმაც ორი კვირის წინათ "შალკე" დაამარცხა, ანუ, "კიკერი" **ალექსანდრე იაშვილს** ძირითად შემადგენლობაში მოიაზრებს. ხვალვე, "ჰანოვერი" "ვოლფსბურგს" დაუხვდება. მასპინძელთა ფორვარდი **მაიკ ჰანკე** ალესილია და უნდა, რომ ყოფილ გუნდს, სადაც, როგორც თვითონ ამბობს, არ დააფასეს, მინიმუმ ერთი გოლი გაუტანოს...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 9 | 7 | 2 | 0 | 25-3 | 23 |
| 2. კარლსრუე | 9 | 6 | 0 | 3 | 13-11 | 18 |
| 3. ვერდერი | 9 | 5 | 2 | 2 | 21-14 | 17 |
| 4. ჰამბურგი | 9 | 5 | 2 | 2 | 12-7 | 17 |
| 5. შალკე | 9 | 4 | 4 | 1 | 15-8 | 16 |
| 6. ჰანოვერი | 9 | 5 | 1 | 3 | 13-13 | 16 |
| 7. აინტრახტი | 9 | 4 | 3 | 2 | 11-9 | 15 |
| 8. ლევერკუზენი | 9 | 4 | 2 | 3 | 12-6 | 14 |
| 9. ჰერტა | 9 | 4 | 1 | 4 | 11-12 | 13 |
| 10. ვოლფსბურგი | 9 | 3 | 3 | 3 | 13-13 | 12 |
| 11. დორტმუნდი | 9 | 4 | 0 | 5 | 14-17 | 12 |
| 12. შტუტგარტი | 9 | 3 | 1 | 5 | 10-14 | 10 |
| 13. არმინია | 9 | 3 | 1 | 5 | 12-22 | 10 |
| 14. ბოხუმი | 9 | 2 | 3 | 4 | 12-15 | 9 |
| 15. ჰანზა | 9 | 3 | 0 | 6 | 10-14 | 9 |
| 16. დუისბურგი | 9 | 2 | 0 | 7 | 10-16 | 6 |
| 17. ნიურნბერგი | 9 | 1 | 3 | 5 | 9-16 | 6 |
| 18. კოტბუსი | 9 | 0 | 4 | 5 | 5-18 | 4 |

ჰამბურგი

# ვან დერ ვაარტი: სამი კვირა ლაზარეთში

როდესაც "ჰამბურგის" კაპიტანი **რაფაელ ვან დერ ვაარტი** ჰოლანდიის ნაკრების შეკრებაზე გაემგზავრა, HSV-ს ფანებმა ლამის ლოცვა დაიწყეს, ოღონდაც ტრავმირებული არ დაგვიბრუნდესო. მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო - მოხდა ის, რისიც მთელ ქალაქს ყველაზე მეტად ეშინოდა: ვან დერ ვაარტი დაშავდა და მინიმუმ 3 კვირას ლაზარეთში გაატარებს. ეს ჰოლანდიისა და სლოვენიის მატჩის 27-ე წუთზე მოხდა: რაფაელს ბურთის ფლანგიდან ფლანგზე გადატანა სურდა, როცა კუნთი საშინლად ასტკივდა.

*"საშინელი გრძნობა იყო. აშკარად ვიგრძენი, როგორ გაწყდა რაღაც კუნთში. ასეთი ტრავმა არასდროს მიმიღია. ნერვები დაწყვეტაზე მაქვს,"* - განუცხადა რაფაელმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს. მოგვიანებით, ჰამბურგში მას საბოლოო დიაგნოზი დაუსვეს: მინიმუმ სამკვირიანი პაუზა, რაც იმას ნიშნავს, რომ "ჰამბურგის" კაპიტანი 6 ოფიციალურ მატჩს გამოტოვებს: "შტუტგარტთან", "ბრანთან" (უეფას თასი), "დუისბურგთან", "ფრაიბურგთან" (გერმანიის თასი), "ჰერტახთან" და "შალკესთან".

HSV-ს მთავარი მწვრთნელი **ჰუუბ სტევენსი** მოჩვენებით სიმშვიდეს ინარჩუნებს და ამბობს: *"ჩვენ სხვა ფეხბურთელებიც გვყავს. რაკი ვან დერ ვაარტი დაშავდა, მის პოზიციაზე რამდენიმე კანდიდატია: ტროხოვსკი, სამი, ბენ-ჰატირა."* თუმცა "ჰამბურგის" დამრიგებელმა ძალიან კარგად იცის, რომ ვან დერ ვაარტის ღირსეული შეცვლა შეუძლებელია. თანაც, ჰოლანდიელი ხომ იდეალურ ფორმაში იყო. რაფაელს ბოლო 7 თამაშში 7 გოლი ჰქონდა გატანილი, რითაც ორიოდ კვირის წინ ლეგენდარული **უვე ზეელერის** რეკორდი გაიმეორა და ახლა, ამ რეკორდის გაუმჯობესებაზე ფიქრობდა. მაგრამ როგორც ხედავთ, ეს მინიმუმ 3 კვირით გადაიდო...



რაფაელმა შევბულება გამოიწერა



თომას შააფი

ვერდერი

# შააფის ახალი კონტრაქტი

## თომასი 2010 წლამდე მუსიკოსი იქნება

ბრემენის "ვერდერმა" მთავარ მწვრთნელ **თომას შააფს** ახალი ხელშეკრულება გაუფორმა, რომელსაც ვადა 2010 წლამდე აქვს. როგორც იცით, "მუსიკოსთა" დამრიგებელს კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს უმთავრდებოდა. ეს ინფორმაცია "ვერდერის" ბოსებმა გუშინ დაადასტურეს. 46 წლის შააფი "ვერდერს" 1999 წლიდან წვრთნის და მას მერე, ბრემენული კლუბი ერთხელ გერმანიის ჩემპიონი გახდა (2004), ორჯერ კი გერმანიის თასი მოიგო (1999, 2004).

*"ის, რომ "ვერდერი" ბოლო წლებში გერმანიის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად ჩამოყალიბდა, პირველ რიგში, თომას შააფის დამსახურებაა. მიხარია, რომ მასთან ახალი კონტრაქტი გავაფორმეთ,"* - ეს ბრემენული კლუბის გენერალური მენეჯერის **კლაუს ალოფსის** სიტყვებია. თვითონ მწვრთნელი ამბობს, რომ გუნდის გამოცვლაზე არ უფიქრია. კითხვაზე, ჰქონდა თუ არა სხვა წინადადებები, თომასმა ასეთი პასუხი გასცა: *"მე მხოლოდ "ვერდერთან" ვაწარმოებდი მოლაპარაკებებს. ჩვენ წინ დიდი მიზნები გვაქვს."*

შააფი "ვერდერს" 1972 წლიდან ემსახურება (ჯერ ფეხბურთელის რანგში ემსახურა, მერე კი მწვრთნელისა). თომასს ბრემენული კლუბის მაისურით ბუნდესლიგაში 262 მატჩი აქვს ჩატარებული. 1987-დან 1995 წლამდე ის "ვერდერის" ბავშვთა გუნდის დამრიგებელი გახლდათ, რის შემდეგაც მოყვარულთა გუნდის მწვრთნელი გახდა. 1999 წელს, პირველი გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე მან **ფელიქს მაგათი** შეცვალა და პირველსავე სეზონში გუნდი ჯერ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებისგან იხსნა, მერე კი გერმანიის თასი მოაგებინა. შააფის ხელში "ვერდერმა" ყველაზე დიდი ტრიუმფი 2003/04 წლების სეზონში იზეიმა: "მუსიკოსებმა" დუბლი შეასრულეს (ჩემპიონობა და თასი). აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო 4 წელიწადია, "ვერდერი" ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს...

## ბექჰემი დაბრუნდა

**დევიდ ბექჰემი** დაბრუნდა. ხუთშაბათს ინგლისელმა გალაქტიკომ ნიუ იორკში "რედ ბულის" წინააღმდეგ ითამაშა. ეს მისი პირველი მატჩი იყო 29 აგვისტოს შემდეგ. თვენახევრის წინ ის მექსიკურ "პაჩუკასთან" სუპერლიგის ფინალში დაშავდა და ხანგრძლივი შვებულება გამოიწერა. "რედ ბულთან" მატჩში ბექზი 68-ე წუთზე, შეცვლაზე გამოიყვანეს. იმ მომენტისათვის ანგარიში 1:1 იყო. 22 წუთში დევიდმა ხუთი კუთხური ჩააწოდა. "გალაქსიმ" გამარჯვების გოლი ვერ შეაგდო. ამის მიუხედავად, გუნდმა ფლეი ოფში გასვლის შანსი მაინც შეინარჩუნა. ბოლო ტურში მან შინ "ჩიკაგო ფაიერს" უნდა მოუგოს და სხვა შეხვედრების შედეგებს დაელოდოს. აღსანიშნავია, რომ დევიდის არყოფნაში გუნდმა ზედიზედ ხუთ შეხვედრაში გაიმარჯვა. რეგულარული სეზონი კვირას დასრულდება. 13 ივლისს, "გალაქსიში" გადასვლის შემდეგ ბექჰემმა ექვს მატჩში იასპარეზა, აქედან ოთხ შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში იყო. მისი ამერიკული კარიერა 306 წუთს და ერთ გოლს მოიცავს.

## მანჩესტერის თინეიჯერული ტრანსფერები

"მანჩესტერ იუნაიტედმა" ორწლინახევრიანი კონტრაქტი გაუფორმა "ბოკა ხუნიორსის" შემტევ ნახევარმცველ **მიგელ ტევესს**. 17 წლის წლის მიგელი "ემმაკების" ვარსკვლავ **კარლოს ტევესის** ძმაა. ის მანჩესტერში ორკვირიან სინჯებზე იმყოფებოდა. მეორე მწვრთნელმა **კარლოს კეიროშმა** ყმაწვილს საუკეთესო რეკომენდაცია გაუწია. **სერ ალექს ფერგიუსონს** ისღა დარჩენოდა, ტევესი-უმცროსი "იუნაიტედში" ჩაერიცხა. ინგლისური სააგენტოების ცნობით, კარლოსის მსგავსად, მიგელის სატრანსფერო უფლებებიც სკანდალურად ცნობილ ბრიტანელ ბიზნესმენ **კია ჯურაბჩიანს** ეკუთვნის. გარიგების პირობები უცნობია. ამასობაში, "მენიუმ" კიდევ ერთ თინეიჯერს, **რენსფორდ ოსეეს** დაადგა თვალი. ოსეე განის 17-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელია. მან 17-წლამდელთა მუნდიალზე ექვსი გოლი გაიტანა, მის გუნდმა კი მე-4 ადგილი დაიკავა.

## დანიელი ყმაწვილი ჩელსიში

"ჩელსიმ" დანიური "მიდტიულანდის" ცენტრალური მცველი **სიმონ კიაერი** ამოიღო მიზანში. ის 18 წლისაა. ლონდონელები მზად არიან, 4.5 მილიონი ევრო გადაიხადონ. ზაფხულის ტრანსფერებისას კიაერს მადრიდის "რეალი" ეპატიჟებოდა. კლუბმა, რომელმაც შემადგენლობის გასაძლიერებლად 125 მილიონი ევრო დახარჯა, კიაერის ტრანსფერზე ეკონომიის გაკეთება გადაწყვიტა. მადრიდელებმა "მიდტიულანდს" მხოლოდ 750 ათასი ევრო შესთავაზეს. "რეალი" უარით გაისტუმრეს. "ჩელსის" კი წარმატების კარგი შანსი აქვს. სიმონზე პრეტენზიას აცხადებს "მიდლსბროც". ფეხბურთელის აგენტი რივერსაიდელთა ყოფილი მცველი **მიკელ ბეკია**.

## მილანი სუასოს იჯარით აიყვანს?

"მილანმა" ინტერელი **დავიდ სუასოს** შეძენა გადაწყვიტა. "როსონერი" ჰონდურასელ თავდამსხმელს ჯერ კიდევ აგვისტოში ეკურკურებოდა. მილანელებმა ფეხბურთელთან კონტრაქტის პერსონალური დეტალები შეათანხმეს. "კალიარი" გარიგებაზე თანახმა იყო. ამ დროს "ინტერი" გააქტიურდა. სარდინიელებს კი "ნერაძურისათვის" სიტყვა ჰქონდათ მიცემული, რომ სხვებზე უწინ მათ წინადადებას განიხილავდნენ. საბოლოოდ, სუასო "ინტერში" ჩაირიცხა, მაგრამ დროის უმეტეს ნაწილს თადარიგში ატარებს. "მილანი" თანაქალაქელთან საიჯარო კონტრაქტის გაფორმებას აპირებს.

სევილია. კრიზისის მიზეზები

# რა დაემართათ ანდალუსიელებს?

## ესპანელი მიმომხილველების დასკვნა: მალე სევილიური მანქანა უწინდელივით ამუშავდება...

**ამ სეზონში "სევილია" საკუთარ თავს არ ჰგავს. ხუანდე რამოსის გუნდი, რომელსაც ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, ვერა და ვერ ახერხებს ძალების მოკრებას და შარშანდელ დონეზე გასვლას. გაზეთი "მარკა" კრიზისის მიზეზებში გარკვევას შეეცადა. ჟურნალისტმა მანუელ მალაგონმა ვითარება გაანალიზა. ის ეძებდა პასუხს კითხვაზე, შეუძლია თუ არა გუნდს პრობლემების უმოკლეს დროში მოგვარება.**

ყველასათვის ნათელია, რომ "სევილია" აღარაა ის გუნდი, რომელმაც გასულ სეზონში უეფასა და ესპანეთის თასები მოიპოვა. უფრო მეტიც, ის აღარაა ის გუნდი, რომელმაც მიმდინარე სეზონის დასაწყისში ესპანეთის სუპერთასზე მადრიდის "რეალი" გაანადგურა, ათენის აეკ-ს ერთი ამოსუნთქვით მოუგო და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გააღწია. ანდალუსიელებმა პრიმერა დივიზიონიც შთამბეჭდავად დაიწყეს. მათ ორი ტურის შემდეგ ექვს ქულას მოუყარეს თავი, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ოთხჯერ დამარცხდნენ. წააგეს "არსენალთან" ჩემპიონთა ლიგის პირველი მატჩიც. სევილიელი დირექტორები ანერვიულდნენ. ასეთ შედეგებს აჩვენებდა გუნდი, რომელიც ერთი წლის წინ მსოფლიოს საუკეთესო კლუბობაზე აცხადებდა პრეტენზიას. "სევილიის" კრიზისს რამდენიმე მიზეზი აქვს. მოდით, თითოეული მათგანი მიმოვიხილოთ.

ანტონიო პუერტას გარდაცვალება. ახალგაზრდა ფეხბურთელის დაღუპვამ "სევილია" შოკში ჩააგდო. ტრაგიკულმა შემთხვევამ გუნდის ფსიქოლოგიაზე დამთრგუნველად იმოქმედა. პუერტას გამოკლება სპორტული თვალსაზრისითაც აუნაზღაურებელი დანაკლისი აღმოჩნდა. ანდალუსიელებმა მარჯვენა ფლანგზე მოისუსტეს. ზაფხულის ტრანსფერებისას გუნდმა **დავიდ კასტედო** გაყიდა. ტრავმებით გაწამებულმა **ადრიანომ** კი მეგობრებს ფეხი ვერა და ვერ აუწყო. სენიორ რამოსმა მარჯვენა ფლანგზე **ივიცა დრაგუტინოვიჩი** გადაისროლა. სერბი ლეგიონერი ცენტრალური მცველია, თანაც ესპანური ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველი. მაგრამ ერთდროულად ორ პოზიციაზე ხომ ვერ ითამაშებს? მისი ფლანგზე გადაყვანა იმას ნიშნავდა, რომ დაცვის ცენტრში "სევილიას" უძლიერესი ფეხბურთელი გამოაკლდა.

დანიელ ალვეშის ჩაშლილი ტრანსფერი. ბრაზილიელი მცველი მთელი ზაფხულის განმავლობაში "სევილიიდან" წასვლას ცდილობდა. მას "ჩელსიში" უხმობდნენ. ანდალუსიელებმა ტრანსფერის ჩასაშლელად ყველაფერი იღონეს. ფეხბურთელსა და მთავარ მწვრთნელს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. **ალვეშმა** ვარჯიშსა და თამაშზეც კი უარი განაცხადა. ის გუნდს პუერტას დაღუპვის შემდეგ დაუბრუნდა. მაგრამ ალვეში საკუთარი თავის აჩრდილია. გასულ სეზონში მას მსოფლიოს საუკეთესო მარცხენა ფლანგელად მიიჩნევდნენ. წელს ის აღარ ერთვება შეტევებში, აღარ ეხმარება **ხესუს ნავასს** და დაცვაშიც ბევრ შეცდომას უშვებს. "სევილიას" ალვეშის შენარჩუნება ძვირად დაუჯდა. მისი ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელი ფაქტობრივად გამოუსადეგარია.

ხავი ნავაროს ტრავმა. ეს ფეხბურთელი სევილიელთა კაპიტანია. **ნავარო** დაცვის ბურჯი გახლავთ. ამავე დროს, გუნდის ნამდვილი ლიდერი. ის თანაგუნდელებისათვის ცენტრალურ მცველზე მეტია. კრიზისულ პერიოდში "სევილიას" ის ჰაერივით სჭირდება, ის კი დაშავებულია. იმისათვის, რომ ხავი ნავაროს მნიშვნელობა თვალნათლივ წარმოვიდგინოთ, 2005-06 წლების სეზონს გავიხსენებთ. ორი წლის წინ, ესპანეთის ჩემპიონატის მე-12 ტურში, ნავარო მძიმედ დაშავდა. 12 შეხვედრაში ანდალუსიელებს მხოლოდ 6 გოლი ჰქონდათ გაშვებული. ნავაროს გარეშე ჩატარებულ მომდევნო 6 შეხვედრაში მათ 12 გოლი გაუშვეს. წელსაც იგივე მეორდება. ხუანდე რამოსი ხავი ნავაროს შეცვლას ვერ ახერხებს.

სუსტად თამაშობენ სხვა მცველებიც. თითოეული მათგანისაგან გაცილებით მეტს ელოდნენ. ამ სეზონში "სევილია" პრიმერას ერთადერთი კლუბია, რომელმაც ყველა ტურში გაუშვა გოლი. დრაგუტინოვიჩის მარჯვენა მცველად გარდაქმნა, **ბულარუზის**, **ფაციოსა** და **მოსკერას** არასტაბილურობა, ალვეშის ჩავარდნა და მეკარე **პალოპის** თამაშის გაუარესება "სევილიის" თავდაცვისუნარიანობას საგრძნობლად აქვეითებს. არადა, დაცვა ბოლო წლების "სევილიის" კოზირი იყო.



სევილიელებმა კრიზისი მალე უნდა დაძლიონ

ფსიქოლოგიური გადაღლილობა. ანდალუსიელებს მოთელვის დრო არ ჰქონდათ. ისინი სეზონის დაწყებისთანავე უპრინციპულეს ორთაბრძოლებში ჩაებნენ. პირველი თვის განმავლობაში გუნდმა ესპანეთის სუპერთასზე, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებსა და ევროპის სუპერთასზე ითამაშა. ამას გარდა, პრიმერა დივიზიონისა და ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურებიც არ უნდა ჩაეგდო. მიზნის მიღწევა ადვილი არ გახლდათ. თითოეული მატჩი ბოლომდე დახარჯვას მოითხოვდა. ფეხბურთელები სწრაფად დაიღალნენ. ფსიქოლოგიური პრობლემების თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. "სევილია" არ არის რომელიმე უმდიდრესი ევროპული გრანდი, რომელსაც შეიძლება ორი თანაბარი ძალის შემადგენლობა ჰყავდეს. არნახულ დატვირთვებს ანტონიო პუერტას ტრაგედიაც დაემატა.

კანუტე. კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი **ფრედერიკ კანუტეა**, უფრო სწორად, "სევილიის" თავდასხმის დამოკიდებულების ხარისხი ამ ფეხბურთელზე. თუ მალელ ლეგიონერს თამაში არ მისდის, მის ფუნქციებს ვერავინ ითავსებს. გუნდის იერიშებს კი ავტომატურად აკლდება ეფექტურობა და სიმწვავე. არადა, ხესუს ნავასის, **ლუიშ ფაბიანოსა და დუდას** სახით, სენიორ რამოსს საკმაოდ მაღალი დონის ფორვარდები ჰყავს.

უიღბლობა. სევილიელთა სუსტი ასპარეზობა ნაწილობრივ უიღბლობასაც უნდა მივაწეროთ. "ესპანიოლსა" და "სარაგოსასთან" მატჩებში, დაშვებული შეცდომების მიუხედავად, ანდალუსიელები გაცილებით მეტს იმსახურებდნენ.

დასკვნა. ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გათვალისწინებით, გასაკვირი აღარაა, რომ დღევანდელი "სევილია" არაფრით ჰგავს ერთი წლის, თუნდაც ექვსი თვის წინანდელ "სევილიას" - ძლიერ, შეუბრალებელ გუნდს, რომელიც ნებისმიერი დონის მეტოქეს ნაკუწებად აქცევდა. კრიზისი სახეზეა. რადიკალური ზომების მიღება კი გაუმართლებლად მიგვაჩნია. გუნდმა თითქმის მთლიანად შეინარჩუნა შემადგენლობა. საკმარისია სამი ოთხი შედეგიანი თამაში და სევილიური მანქანა უწინდელივით ამუშავდება.

**მანუელ მალაგონი**
მარკა



რობერ პირესი

ინტერვიუ რობერ პირესთან

# ანრი ვილიარეალს გოლს ვერ გაუტანს

**ყვითლების ფრანგი ვარსკვლავი ბარსელონასთან "პაექრობის წინ ძალიან ოპტიმისტურადაა განწყობილი და სჯერა, რომ მისი გუნდი არ წააგებს. დღეს, "ელ მადრიგალზე", პრიმერა დივიზიონის მერვე ტურის ცენტრალური შეხვედრა გაიმართება. მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი "ვილიარეალი" მარადიულ ფავორიტ "ბარსელონას" უმასპინძლებს. სპეციალისტები რობერ პირესისა და ტიერი ანრის ორთაბრძოლას მოუთმენლად ელიან. ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ ფრანგი ვარსკვლავები შეხვედრას დამატებით ინტრიგას შესძენენ. პირესი იმედიანადაა განწყობილი. მას სჯერა, რომ "ვილიარეალი" ძლევამოსილ მეტოქეს არ შეუშინდება და სამ ქულას მოიპოვებს. რობერი მიიჩნევს, რომ მისი გუნდი საკუთარ სტადიონზე ესპანური ფეხბურთის ორივე გრანდთან არ დამარცხდება. მოგეხსენებათ, სეზონის დასაწყისში მანუელ პელეგრინის ბიჭებმა "რეალთან" კატასტროფული ანგარიშით, 0:5 წააგეს.**

**- პირეს, უდიდესი გამოცდილება გიმაგრებთ ზურგს. თქვენს ბიოგრაფიაში თუ ჩავიხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ უთვალავი რაოდენობის უპრინციპულესი მატჩი ჩაგიტარებიათ. საინტერესოა, ასეთი ადამიანისთვის "ბარსელონასთან" მოახლოებული მატჩი რამდენად ემოციურია?**

- რა თქმა უნდა. ერთი მხრივ, მორიგ კალენდარულ შეხვედრას ჩავატარებთ, მაგრამ ეს მაინც განსაკუთრებული შემთხვევაა, რადგან ჩვენი მეტოქე "ბარსელონაა". გეთანხმებით, 34 წლისას მართლაც უდიდესი პროფესიული გამოცდილება დამიგროვდა. შესაძლოა, სხვას ჩემს ადგილზე ენთუზიაზმი დაეკარგა, მაგრამ მერწმუნეთ, ეს საშიშროება მე არ მემუქრება. ზუსტად ისეთივე მონდომებული ვარ, როგორიც კარიერის დასაწყისში. მოტივაცია ნამდვილად არ მაკლია, "ბარსას" წინააღმდეგ თამაში ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა.

**- "ბარსელონის" მომხიბვლელი სტილის შესახებ ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ, შესაძლოა, უცხოეთში ბევრმა არ იცოდეს, რომ "ვილიარეალიც" დაახლოებით ანალოგიურ ფეხბურთს თამაშობს. ბურთთან ხშირი შეხება, კომბინაციური შეტევები, სწრაფი დრიბლინგები, ინდივიდუალიზმი. მოკლედ, საამაყო თქვენც ბევრი გაქვთ. გულშემატკივრებს დაუვიწყარ საღამოს პირდებით?**

- წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია. საამისო გარანტიას ვერავინ გასცემს, მაგრამ წესით, მართლაც ლამაზი თამაში უნდა გამოვიდეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მეორე და მესამე ადგილოსნები ერთმანეთს ეთამაშებიან. ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს. "ვილიარეალს" მშვენიერი შემადგენლობა ჰყავს. "ბარსელონის" არ გვეშინია და გულშემატკივრებს პირობას ვაძლევთ, რომ თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ.

**- როგორ ფიქრობთ, "ვილიარეალისთვის" რა უფრო მომგებიანი იქნება, გახსნილი, შემტევი ფეხბურთის გაჩაღება, გოლების გაცვლა-გამოცვლა თუ ზონების ჩაკეტვა, სანახაობის მეორე პლანზე გადაწევა და შედეგზე პრაგმატული ზრუნვა?**

- გასულ სეზონში ძალიან გაგვიმართლა. მახსოვს, ჩვენმა მეკარემ სასწაულებრივი დარტყმები მოიგერია. პირველ ტაიმში "ბარსამ" პირწმინდად დაგვჩაგრა. სებასტიან ვიერა რომ არა, გოლებით აგვავსებდნენ. შესვენების შემდეგ გამოვცოცხლდით და ჩვენც შევუტიეთ. შედეგად, ორი გოლი გავიტანეთ. ვფიქრობ, წლევანდელი თამაშიც ასეთივე სცენარით წარიმართება. "ბარსელონას" უბრალოდ არ შეუძლია, არ შეუტიოს. ვფიქრობ, ჩვენ კონტრიერიშებზე უნდა ავაგოთ ტაქტიკა.

**- გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თქვენ არა მარტო თქვენი ქალაქის, არამედ მადრიდის მოსახლეობის უმრავლესობა გიქომაგებთ. მიზეზს განმარტება არ სჭირდება.**

- სიმართლე გითხრათ, სხვებზე ნაკლებად ვფიქრობთ. ჩვენ ჩვენი ამოცანები უნდა გადავჭრათ. კონკრეტული მიზნები გვაქვს. გვსურს კონკურენტუნარიანობა მაქსიმალურად დიდხანს შევინარჩუნოთ და სეზონის ბოლოს სერიოზულ წარმატებას მივაღწიოთ.

**- საქმეს ისეთი პირი უჩანს, "ელ მადრიგალზე" რონალდინიო არ ითამაშებს. როგორ გგონიათ, ეს თქვენთვის უკეთესი იქნება?**

- თუ მესი და ანრიც არ იქნებიან, მით უკეთესი (იცინის). რა თქმა უნდა, ვხუმრობ. როგორ გითხრათ, ასეთ საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას არ ვაქცევ. მთავარია, ჩვენ შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვამჟღავნოთ. "ბარსელონას" უდიდეს პატივს ვცემთ. მნიშვნელობა არა აქვს კატალონიელები რონალდინიოსთან ერთად გამოვლენ მოედანზე, თუ მის გარეშე. სტუმრებისადმი პატივისცემასა და დაფასებაზე ეს გავლენას არ იქონიებს.

**- ტიერი ანრის თქვენზე კარგად არავინ იცნობს. თქვენი აზრით, ის ყველასგან გამორჩეული ფეხბურთელია?**

- მე ვიტყოდი, რომ ის გენიალური ფორვარდია. მას ისეთივე ვარსკვლავად მივიჩნევ, როგორც სამუელ ეტოოსა და დიდიე დროგბას. მართალია, ანრის ჯერჯერობით ნაკლებად უმართლებს, მაგრამ თავისუფლად ხელეწიფება სეზონის ბოლოს პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული მოიპოვოს. ანრის ერთი აფეთქება სჭირდება. საკმარისია, ერთხელ გაიხსნას და მას ვერავინ შეაჩერებს. სხვათა შორის, ერთი რამ დაზუსტებით ვიცი, "ვილიარეალს" ის გოლს ვერ გაუტანს (იცინის), მაგრამ ზოგადად, ყველა პირობა აქვს, რომ პიჩიჩის ჯილდოს დაესაკუთროს.

**- შთაბეჭდილება მრჩება, რომ ანრის სერიოზული პრობლემები აქვს. ის ვერა და ვერ მიუახლოვნა ოპტიმალურ ფორმას. როგორ ფიქრობთ, საამისოდ ბევრი მუშაობა სჭირდება?**

- თავადაც იცის, რომ დღესდღეობით შესაძლებლობების მაქსიმუმს ვერ ამჟღავნებს, მაგრამ ის იმდენად ძლიერი და სახიფათო ფორვარდია, საკუთარი უნარების 80 პროცენტიც რომ გამოავლინოს, "ბარსელონას" უდიდეს წარმატებებს მოიტანს. ტიერის ხშირად აკრიტიკებენ, მაგრამ რატომღაც ავიწყდებათ, რომ 6 თვის განმავლობაში უმძიმეს ტრავმას იშუშებდა. გარდა ამისა, კლუბი და ქვეყანა გამოიცვალა. ეს დამატებით პრობლემებს ქმნის. ადაპტაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას ყოველთვის დიდი დრო სჭირდება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩემი მეგობარი "ვილიარეალს" ვერ გაუტანს, მაგრამ ამ თამაშის შემდეგ ყველა ნახავს, თუ რამხელა პროგრესის გზას დაადგება ანრი.

**- "რეალთან" 5:0 წააგეთ. არ გეშინიათ, რომ "ბარსელონაც" სერიოზულ პრობლემებს შეგიქმნით?**

- მე დარწმუნებული ვარ, რომ "ვილიარეალი" პრიმერა დივიზიონის ორივე გრანდთან არ დამარცხდება. "რეალმა" უკვე მოგვიგო. ასე რომ, "ბარსელონას" ცუდი დღე ელის (იცინის).

**ილია ნიკოლაიშვილი**



ფრანც ბეკენბაუერი და გიუნტერ ნეტცერი

ერთობლივი ინტერვიუ ფრანც ბეკენბაუერსა და გიუნტერ ნეტცერთან

# ორი ლეგენდა ერთ მაგიდასთან

## გულახდილი საუბარი გერმანულ ფეხბურთზე

**ამას წინათ, მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონის თომას ბერთოლდის ინტერვიუ შემოგთავაზეთ, სადაც ეს უკანასკნელი გერმანული საკლუბო ფეხბურთის კრიზისის გამო წუხდა. გუშინწინ, გამოცემა "ბილდმა" გერმანული ფეხბურთის ორი ცოცხალი ლეგენდა, ფრანც ბეკენბაუერი და გიუნტერ ნეტცერი ერთ მაგიდასთან დასვა და გერმანულ ფეხბურთზე ამსჯელა. 90 წუთიანი საუბრიდან, "ბილდმა" ეს მასალა გამოაქვეყნა:**

**- თვეების განმავლობაში, გერმანიის ნაკრებს ქების მეტი არაფერი დაუმსახურებია. მთელი გერმანია ეიფორიაში იყო. ახლა კი, როცა მიზანს მივაღწიეთ და ევროპის ჩემპიონატის საგზური მოვიპოვეთ, ჩეხეთთან ბუნდესგუნდმა აბსოლუტურად უგულო თამაში აჩვენა და 0:3 განადგურდა. რა მდგომარეობაშია გერმანული ფეხბურთი რეალურად?**

ფრანც ბეკენბაუერი: ეიფორია და სიხარული კარგია, მაგრამ ასეთი დღეებიც არსებობს და ამას ვერსად გავექცევით. ამ ნაგებას მე მხოლოდ და მხოლოდ იმას ვაბრალებ, რომ ჩვენ ავსტრიისა და შვეიცარიის ბილეთი უკვე დაჯავშნული გვქონდა და კმაყოფილები ვიყავით, ჩეხებს კი მოგება ჰაერივით სჭირდებოდათ. თუკი ამ მარცხიდან სწორ დასკვნებს გავაკეთებთ, პრობლემას ვერ დავინახავთ. ჩეხეთთან ნაგება, აზრს ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი შანსების შესახებ, ვერ შემაცვლევინებს.

**- და რას ფიქრობთ, როგორია გერმანიის ნაკრების შანსები?**

ბეკენბაუერი: დააკვირდით, გერმანია ერთადერთი ნაკრებია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მიღებული მუხტი შეინარჩუნა. ინგლისელებს, იტალიელებსა და ფრანგებს მუნდიალის შემდეგ სერიოზული პრობლემები ჰქონდათ. თუ ჩეხეთთან ნაგებას დავივიწყებთ და გავიხსენებთ, თუ რაოდენ დიდებულ ფეხბურთს თამაშობდა ბუნდესნაკრები საკვალიფიკაციო ეტაპზე, მივხვდებით, რომ ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია. გერმანია ევროპის ჩემპიონი უნდა გახდეს.

**- თქვენც ასე ფიქრობთ, ჰერ ნეტცერ?**

გიუნტერ ნეტცერი: ყოველ შემთხვევაში, ფრანცისგან ძალიან განსხვავებული აზრიც არ მაქვს. სრული სიმართლეა ის, რომ გერმანია ევროპის ჩემპიონატის ფავორიტი იქნება. იოახიმ ლიოვმა მოახერხა და გერმანიის ნაკრებს თანამედროვე ფეხბურთის თამაში ასწავლა. მაგრამ ჩემთვის ყველაზე მთავარი ისაა, თუ როგორ წარმოაჩენს თავს გუნდი ამ მარცხის შემდეგ, მომდევნო შეხვედრებში.

**- რაში მდგომარეობს მთავარი პრობლემა?**

ნეტცერი: ბოლო დროს ბუნდესგუნდი ძალიან ძლიერი იყო, უბრალოდ ფუნქციონირებდა, ჩეხეთთან კი, ლიოვის შეგირდებს არაფერი გამოუვიდათ და დიდი ხანია, ასეთი საშინელი ბუნდესგუნდი არ მინახავს. ბოლოს ასეთი ცუდი გერმანია მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, იტალიასთან ამხანაგურ შეხვედრაში ვნახე, რომელიც 1:4 წააგო. ასეთი დონის მატჩებში ნებისმიერ გუნდს გამონაკლისები სჭირდება, რაშიც დიდ ფეხბურთელებს ვგულისხმობ, მართლა დიდ ფეხბურთელებს. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ამ მხრივ ჩვენ დღესაც სერიოზული პრობლემა გვაქვს. იტალიასა და საფრანგეთს ჰყავთ ასეთი "დიდი ფეხბურთელები", ჩვენ კი არა.

ბეკენბაუერი: მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გერმანულმა ფეხბურთმა სერიოზული პროგრესი განიცადა. ბუნდესნაკრები ახლა გაცილებით სწრაფ ტემპში, შემტევ ფეხბურთს თამაშობს. ანუ, ზუსტად ისე, როგორც ჩვენ ვთამაშობდით იმ უხსოვარ დროში. ასე არ არის, გიუნტერ?

ნეტცერი: დიახ, ასეა, ეს მართლაც გენიალური პერიოდი იყო. ასე მეგონა, რომ ბუნდესნაკრებში ჩვენი თაობა თამაშობდა.

**- ვინ უნდა იტვირთოს ასეთი ფეხბურთელის როლი?**

ნეტცერი: ჩვენ ხომ გვყავს დიდი ვარსკვლავი. მიხაელ ბალაკს ვგულისხმობ.

ბეკენბაუერი: ამ მოთამაშეს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ ის რონალდინიოს ან კაკას დონის ფეხბურთელია...

ნეტცერი: ფრანც, ამაში 100 პროცენტით გეთანხმები და ის, რაც ზემოთ ვთქვი, ალბათ მიხვდი, რომ ნახევრად ირონია იყო.

**- მოკლედ, ბალაკი ისევ დიდ გამოცანად რჩება?**

ბეკენბაუერი: ჰო, მას ისევ და ისევ რაღაც აკლია, მიხაელი არ არის ოპტიმალური. ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი მძიმე ტრავმა მიიღო. არადა, ოპერაცია წლის დასაწყისშიც გაიკეთა და წესით, მდგომარეობა აღარ უნდა გართულებულიყო. მოკლედ, ბალაკს რაღაც ვერ აქვს წესრიგში. თანაც, მისი პრობლემა ისაა, რომ რამდენადაც დიდხანს არის ლაზარეთში, მით მეტი დრო სჭირდება იმისათვის, რომ ფორმა აღიდგინოს და რიტმი იპოვოს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მიხაელი უკვე 31 წლისაა...

ნეტცერი: არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მას "ჩელსიში" ჯერ არ უჩვენებია ის თამაში, რომელსაც თავის დროზე "ბაიერნში", უფრო ადრე კი "ლევერკუზენში" აჩვენებდა.

ბეკენბაუერი: ფაქტია, რომ ინგლისურ ფეხბურთთან შეგუება ძალიან გაუჭირდა, რაც მოსალოდნელიც იყო - ბალაკი არ არის სწრაფი ფეხბურთელი, ინგლისში კი ძალიან სწრაფ ფეხბურთს თამაშობენ. "ბაიერნში" თამაშისას, ბურთს რომ მიიღებდა, შეეძლო აქეთ-იქით გაეხედა და კარგად მოეფიქრებინა, რა მოეხერხებინა ბურთისთვის. პრემიერლიგაში კი ამდენს არავინ გაცდის. ასევე მიიღო ტრავმაც: მიუვიდა ბურთი და ჰოპ, მაშინვე ფეხში ჩაარტყეს.

ნეტცერი: ასეა, ინგლისში ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდება.

ბეკენბაუერი: გიუნტერ, პრემიერლიგას ხომ უყურებ? იქ ფეხბურთელები ერთმანეთს პასს კი არ აძლევენ, არამედ ბურთს ერთმანეთს ურტყამენ! ჩვენს დროს, ერთმანეთს პასებს ფეხის ტერფის შიდა ნაწილით ვაძლევდით, პრემიერლიგაში კი, პასი ძლიერი დარტყმით კეთდება. როგორ გინდა, რომ ნელ ტემპში თამაშს შეჩვეულმა ფეხბურთელმა ასეთ დროს ბურთი ნორმალურად მიიღო და დაამუშავო? აი, რა არის ბალაკის პრობლემა: სიზანტე. და სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი, რა პოზიციაზე უნდა ათამაშონ ის "ჩელსიში". მის პოზიციაზე ლონდონელებს ხომ ფრენკ ლემპარდი ჰყავთ, რომელსაც სკამზე არაფრისდიდებით არ დასვამენ.

ნეტცერი: ფაქტია, რომ ბალაკმა არასწორი არჩევანი გააკეთა, როცა "ჩელსიში" გადასვლა გადაწყვიტა.

**- ევროპის ჩემპიონატზე გამოსწორდება?**

ნეტცერი: არა მგონია, რომ ასე მოხდეს, ღმერთმა ქნას, ვცდებოდე. ჯერ ტრავმა აწუხებს და კაცმა არ იცის, როდის დაბრუნდება ან როდის აღიდგენს ფორმას. აღიდგენს კი, საერთოდ?

**- რომელია გერმანიის საუკეთესო მეკარე?**

ნეტცერი: ულაპარაკოდ იენს ლემანი. ის თანამედროვე გოლკიპერია, მცველებს ეხმარება, სწრაფად აწვდის ბურთებს და რაც მთავარია, რეაქციაც შესანიშნავი აქვს.

**- და ვინ მოდის ლემანის შემდეგ?**

ნეტცერი: ლემანის შემცვლელი ტიმო ჰილდებრანდია, მაგრამ მე მანუელ ნოიერს და რენე ადლერსაც ვხედავ. ცხადია, ვხედავ მიხაელ რენზინგსაც.

ბეკენბაუერი: გიუნტერ, ძალიან მიკვირს, მეკარეებში ასე კარგად რომ ერკვევი...

ნეტცერი (იცინის): თუ გინდა, გეტყვი, რომელი მათგანი როდისაა დაბადებული.

**- რამდენად ვარგა ოლივერ კანი?**

ბეკენბაუერი: ოლი აღარ არის ის ოლი, რაც 5-6 წლის წინათ იყო, მაგრამ საკმარისად კარგი მეკარეა იმისათვის, რომ ეს სეზონი ჩაამთავროს, მერე კი, მოგეხსენებათ, კარიერას ასრულებს. ფიზმომზადების პრობლემები აქვს, მაგრამ ეს სავსებით ნორმალურია, რადგან როცა 20 წლის განმავლობაში, ყოველდღიურად 200 დარტყმას იგერიებ, როცა იქნება, ყველა კუნთი ერთად აგტკივდება. მთავარია, რომ კანი შინაგანად არის ის ძველი კანი, რომელიც ზედიზედ ორჯერ გახდა მსოფლიოს საუკეთესო მეკარე.

**- მოიპოვებს თუ არა ლუკას პოდოლსკი ევროპის ჩემპიონატამდე "ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში თამაშის უფლებას?**

ნეტცერი: ეს გამორიცხულია, მაგრამ რაში სჭირდება?

**- თუნდაც იმიტომ, რომ გერმანიის ნაკრების საკვანძო ფიგურაა და სათამაშო პრაქტიკა სჭირდება...**

ბეკენბაუერი: დიახ, ეს მართალია, მაგრამ როგორ გგონიათ, პოდოლსკი კლოზეზე ან ლუკა ტონიზე წინ უნდა დავაყენოთ? გერმანიის ნაკრებში კი, მას მიროს გარდა კევინ კურანიც სჯობია.

ნეტცერი: არ დაგავიწყდეს მარიო გომესიც.

**- მოკლედ, "ბაიერნში" კლოზე/ტონი, ბუნდესგუნდში კლოზე/კურანი/გომესი. რა ქნას საცოდავმა პოდოლსკიმ?**

ნეტცერი: იშრომოს, იბრძოლოს და დაამტკიცოს, რომ კონკურენტებზე ძლიერია. კარგი ფეხბურთელები ამას ყოველთვის ახერხებენ ხოლმე. ნებისმიერი თაობის ტალანტებს ბრძოლა დასჭირდათ იმისათვის, რომ თამაშის უფლება მიეღოთ. ფრანცის გარდა, რაღა თქმა უნდა, ბეკენბაუერი თავიდანვე გენიოსი იყო. ასე არ არის, კაიზერ?

ბეკენბაუერი: მაშაყირებ თუ?

ნეტცერი: არა, რა თქმა უნდა. შენ შენი პოზიცია თვითონ შექმენი, გამოიგონე. ლიბეროს პოზიცია ხომ შენთვის შეიქმნა, შენ კი ლიბეროს პოზიციისთვის დაიბადე. ისე, ფეხბურთი გაცილებით დიდხანს უნდა გეთამაშა. 50 წლამდე!

ბეკენბაუერი: კარგი ერთი, გიუნტერ, ჩემი პროგრესის ტემპს გავიხსენებთ, ისიც მიკვირს, 38 წლამდე რომ შევძელი თამაში. ზარმაცი ნახევარმცველების ნაცვლადაც მე ვშრომობდი...

**გოტფრიდ ლენცი**

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი
VIII ტურის წინ

# რობინიო და ბაპტიშტა დაისაჯნენ

## რონალდინიო შეიწყალეს, თუმცა ის მაინც არ ითამაშებს

**დღეს**

**ვილიარეალი - ბარსელონა**
**დეპორტივო-ვალენსია**
**ესპანიოლი-რეალი**
**ლევანტე-სევილია**

**ხვალ**

**ალმერია- ოსასუნა**
**ვალიადოლიდი-ბილბაო**
**ბეტისი-რასინგი**
**რეკრეატივო-მალიორკა**
**ხეტაფე-მურსია**
**ატლეტიკო-სარაგოსა**

მე-8 ტურის წინ პრიმერა დივიზიონში ორკვირიანი პაუზა იყო გამოცხადებული. საამისო მიზეზი სანაკრებო შეხვედრები იყო. მოგეხსენებათ, ამ გარემოებას ყველაზე მეტად **ჟოან ლაპორტა** განიცდიდა, მაგრამ განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახა, რომ ეროვნული გუნდების პაექრობებმა სამეფო კლუბის ხელმძღვანელობა კიდევ უფრო ალაშფოთა. საქმე ბრაზილიისა და ეკვადორის ეროვნული გუნდების დაპირისპირებას შეეხება. სელესაო სტუმრებს იოლად გაუმკლავდა, მაგრამ ამით მხოლოდ იქაურებმა გაიხარეს. **ბერნდ შუსტერისთვის** კი პენტაკამპეონთა თამაში მხოლოდ და მხოლოდ პრობლემების მომტანი აღმოჩნდა. სამშობლოში ყოფნით გახარებულმა **რობინიომ** და **ჟულიო ბაპტიშტამ** ესპანეთის დედაქალაქში დაბრუნება დააგვიანეს. პირენეული გრანდის გერმანელი დამრიგებელი ამ ფაქტით იმდენად განრისხდა, რომ შეგირდების ახსნა-განმარტებებიც არ მოისმინა. არადა, ბიჭებს საკუთარი არგუმენტების გაზიარება სურდათ. საგანგებო პრესკონფერენციაზე შუსტერმა ბრაზილიელების შესახებ ღიად და დაუფარავად ისაუბრა: *"მე არ მაინტერესებს, რას იტყვიან ისინი. საკმარისზე მეტი დრო ჰქონდათ იმისთვის, რომ ჩამოსულიყვნენ, მაგრამ დააგვიანეს. თეორიულად ყველაფერია შესაძლებელი, ვთქვათ, თვითმფრინავზე დააგვიანეს, მაგრამ რიო დე ჟანეიროდან რამდენიმე რეისი სრულდება. ბოლოსდაბოლოს, შეეძლოთ, ტელეფონი აეღოთ და დაერეკათ. იმ მწვრთნელთა კატეგორიას არ განვეკუთვნები, რომლებიც აგდებულ დამოკიდებულებას იოლად ეგუებიან. დისციპლინის დარღვევა დაუშვებელია. რობინიო და ბაპტიშტა სამაგალითოდ დაისჯებიან. ისინი შემდეგ ტურში არ ითამაშებენ. გამორიცხული არ არის, ხელფასებიც დააკლდეთ. განსაკუთრებით, რობინიომ გამალიზიანა. სანაკრებო შეხვედრებამდე ძალიან მცირე ხნით ადრე მან "რეკრეატივოსთან" თამაში ტრავმის გამო იუარა. შემდეგ კი თვითმფრინავში ჩაჯდა, ოკეანე გადაიფრინა და ზედიზედ ორი მატჩი ითამაშა. თუ ვინმეს ჰგონია, რომ იოლად მომატყუებს, ძალიან შემცდარა."*

შუსტერს სხვა მხრიდანაც შეექმნა პრობლემა. სამეფო კლუბის სამედიცინო შტაბმა შემაშფოთებელი ინფორმაცია გაავრცელა. **არიენ რობენს** ბარძაყის კუნთი ერთდროულად რამდენიმე ადგილზე გაუწყდა. ექიმები ამბობენ, რომ ეს უმძიმესი ტრავმაა და მის განკურნებას თვენახევრიდან სამ თვემდე დასჭირდება. გამორიცხული არ არის, ჰოლანდიელმა ვარსკვლავმა წელს მოედანზე გასვლა საერთოდ ველარ შეძლოს. ტრავმა მიიღო **გაბრიელ ჰაინცემაც**, თუმცა მისი მდგომარეობა ბევრად უფრო მსუბუქია. სხვათა შორის, არგენტინელმაც ბარძაყის კუნთი გაიწყვიტა, მაგრამ მედიკოსები გვარწმუნებენ, რომ ჰაინცეს მხოლოდ ერთ ადგილას გაუწყდა კუნთი და სულ რაღაც ორი კვირა ვერ ივარჯიშებს. ერთადერთი სასიხარულო ამბავი, ის არის, რომ **გუტიმ** და **კანავარომ** მიკროტრავმები მოიშუშეს. ბოლო ვარჯიშები მათ სრული დატვირთვით ჩაატარეს. თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდება, ესპანელი და იტალიელი ძირითად შემადგენლობაში იასპარეზებენ.

ალსანიშნავია, რომ ბრაზილიის ნაკრებიდან საკუთარ კლუბს **რონალდინიოც** ძალიან გვიან დაუბრუნდა, მაგრამ მადრიდისგან განსხვავებით, ამ ფაქტს ბარსელონაში პანიკა არ მოჰყოლია. გაუჩომ **ფრანკ რიიკაარდს** დაგვიანების მიზეზი გულწრფელად აუხსნა. მართალია, ჩვენთვის ეს მიზეზი უცნობია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჰოლანდიელ სპეციალისტს შეგირდის სიტყვებში ეჭვი არ შეუტანია. სხვათა შორის, შაბათის შეხვედრაში ისიც არ ითამაშებს, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ რობინიოსა და ბაპტიშტას მსგავსად გაუჩოც დასაჯეს. უბრალოდ რაიკაარდი მიიჩნევს, რომ რონალდინიო მას "ვილიარეალთან" მატჩზე მეტად, გლაზგოში, საჩემპიონთალიგო დაპირისპირებაში უფრო დასჭირდება. შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, ხომ შეიძლება, ორივე ორთაბრძოლაში ითამაშოსო. თეორიულად კი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გაუჩო რობოტი არ არის. მან რამდენიმე დღეში თითქმის 35 ათასი კილომეტრი დაფარა, ორ სანაკრებო მატჩში იასპარეზა და ძალიან დაიღალა. მოკლედ, ის დაისვენებს. რაიკაარდის განკარგულებაში კი ეს ფეხბურთელები იქნებიან: **ვალდესი, ჟორკერა, პუიოლი, ტურამი, მილიტო, ოლეგერი, სილვინიო, აბიდალი, ჩავი, ინიესტა, კროსასი, დეკუ, მესი, ესკერო, ბოიანი, ჯოვანი, ანრი, გუდიონსენი**.

**ეტოო, ტურე, მარკესი, ძამბროტა** და **ედმილსონი** კვლავ ტრავმირებულები არიან.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 7 | 6 | 1 | 0 | 16-3 | 19 |
| 2. ბარსელონა | 7 | 5 | 2 | 0 | 16-4 | 17 |
| 3. ვილიარეალი | 7 | 5 | 0 | 2 | 11-8 | 15 |
| 4. ვალენსია | 7 | 5 | 0 | 2 | 10-9 | 15 |
| 5. ესპანიოლი | 7 | 4 | 1 | 2 | 10-8 | 13 |
| 6. ატლეტიკო | 7 | 3 | 2 | 2 | 11-7 | 11 |
| 7. მალიორკა | 7 | 3 | 2 | 2 | 13-10 | 11 |
| 8. სარაგოსა | 7 | 3 | 2 | 2 | 11-9 | 11 |
| 9. რასინგი | 7 | 3 | 2 | 2 | 5-7 | 11 |
| 10. მურსია | 7 | 2 | 3 | 2 | 7-6 | 9 |
| 11. ოსასუნა | 6 | 2 | 2 | 2 | 8-7 | 8 |
| 12. ალმერია | 7 | 2 | 2 | 3 | 8-8 | 8 |
| 13. რეკრეატივო | 7 | 2 | 2 | 3 | 7-10 | 8 |
| 14. დეპორტივო | 7 | 2 | 2 | 3 | 4-8 | 8 |
| 15. სევილია | 6 | 2 | 0 | 4 | 11-10 | 6 |
| 16. ბეტისი | 7 | 1 | 3 | 3 | 7-8 | 6 |
| 17. ბილბაო | 7 | 1 | 3 | 3 | 5-9 | 6 |
| 18. ვალიადოლიდი | 7 | 1 | 2 | 4 | 8-15 | 5 |
| 19. ხეტაფე | 7 | 0 | 2 | 5 | 5-13 | 2 |
| 20. ლევანტე | 7 | 0 | 1 | 6 | 3-17 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## კალათბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

# ნუგზარი, სახელად სუპერლიგა

გუშინ, კლუბ "12 მაგიდაში" სუპერლიგის პრეზენტაცია მოეწყო. შეხვედრას ფედერაციის ხელმძღვანელები, 6 მონაწილე გუნდის მწვრთნელ-მოთამაშეები და მედიელები ესწრებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ შარშან სუპერლიგის მენეჯერი იყო **ნიკა ხომასურიძე**, რომელიც ახლა "ჰოლივუდის" სკოლაში სწავლობს და მის ნაცვლად წლეულს სუპერლიგას **გიორგი ზამბახიძე** გაუძღვება.

პრეზენტაცია ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა** გახსნა:

- აქ მობრძანებისთვის ყველას მადლობას მოგახსენებთ და გისურვებთ, რომ მომავალი სეზონი საინტერესო ყოფილიყოს. საქართველოს ჩემპიონატის მატჩები განახლებულ სპორტის სასახლეში გაიმართება, რაც პირველობის მონაწილეთა თამაშის გაუმჯობესების საწინდარი უნდა გახდეს.

ქვეყნის ჩემპიონის "აზოტის" მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** აღნიშნა, რომ გასული სეზონის შემდეგ მისი გუნდიდან 7 კალათბურთელი წავიდა: *"მართალია, უცხოელი ლეგიონერების სახით შევსებაც ღირსეული მივიღეთ, მაგრამ შესათამაშებლად ძალიან ცოტა დრო გვაქვ.ს ვეცდებით, მოკლე ვადაში ბრძოლისუნარიანი გუნდი შევკრათ. ჩვენი მიზანი წელსაც ჩემპიონობა იქნება".*

სუპერლიგის აბრასთან ორი გოგონა პოზირებდა. ისინი წლევანდელი სუპერლიგის სახეები იქნებიან. როცა დავით უსტიაშვილმა საუბარი დაასრულა, **ლევან მოსეშვილმა** უთხრა - სიტყვა რომ მოამთავრე, ამ გოგონებს რატომ არ აკოცეო. გამოცდილი მწვრთნელის რჩევა "მაკაბის" მწვრთნელმა **ჯამლეტ ხუხაშვილმა** შეასრულა. მანამდე კი "ავიას" თავკაცმა ლევან მოსეშვილმა ისაუბრა: *"როგორც იქნა, ჩაბნელებულ ვერის ბაღის დარბაზს თავი დავაღწიეთ. რაგბის ქომაგნი გუნდის წინსვლაზე საუბრობენ, შოტლანდიელთა ძლევამ ხალხს ფეხბურთისკენაც მოუბრუნა გული, ახლა კალათბურთელების ჯერია"...*

ჯამლეტ ხუხაშვილმა "აზოტს" ამერიკელი ლეგიონერების დამატება მოუწონა: *"მიხარია, რომ საქართველოს ჩემპიონატში ისეთი კალათბურთელები ითამაშებენ, რომელთა სანახავად მატჩებზე წასვლა ნამდვილად ეღირება. კარგია, რომ გიორგი შერმადინს ძლიერი მეტოქეების წინააღმდეგობის გადალახვა მოუწევს".*

"ვითას" თავკაცმა, **ზურაბ ტომარაძემ** ხაზი გაუსვა ჩემპიონატის ფორმატის დახვეწილობას: ოთხი წრის შემდეგ კიდევ ორი ტური ჩატარდება. ერთი რუსთავში გაიმართება, მეორე - თბილისში. *"7-წლიანი შესვენების შემდეგ "ვითა" აღვადგინეთ და წინ ნელი ნაბიჯებით მივდივართ. უახლოეს მომავალში ქომაგი ძველებურ, ძლიერ "ვითას" იხილავს".*

"დინამოს" მწვრთნელი **ზაზა ცაგარეიშვილი** დაგვპირდა, რომ ახალგაზრდული შემადგენლობი მიუხედავად მისი გუნდი ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

თსუ-ს დამრიგებელმა **ნუგზარ ჭეიშვილმა** გაგვახსენა, რომ რამდენიმე თვის წინ თსუ-ს არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, თუმცა ყველაფერი კალათბურთისთვის სასიკეთოდ დასრულდა და წელს სტუდენტებს არავისზე ნაკლები გუნდი არ ეყოლებათ.

პრეზენტაციის ბოლოს ბესიკ ლიპარტელიანმა გაჭრა დიდი და გემრიელი ტორტი, რომელსაც თეთრად ეწერა: "სუპერლიგა".

**ვაჟა სიმონიშვილი**

**აზოტი-ენერჯი ინვესტი რუსთავი**

| მოთამაშე | სმ | დ.წ. |
|---|---|---|
| რამაზ გოგოგერიშვილი | 194 | 1974 |
| ზვიად ბაბიაშვილი | 198 | 1978 |
| იოვან სტეფანოვი | 207 | 1983 |
| ანატოლი ბოისა | 195 | 1983 |
| რევაზ დიდია | 203 | 1987 |
| ბესიკ ლეჟავა | 192 | 1986 |
| ლევან ცეკვავა | 189 | 1989 |
| გიორგი გამყრელიძე | 183 | 1986 |
| მიხეილ ჭოჭუა | 194 | 1987 |
| იური დანელიანი | 200 | 1981 |
| გეგი ლიპარტელიანი | 192 | 1985 |
| ბელტონ რივერსი | 193 | 1981 |
| ანვარ ფერგიუსონი | 213 | 1980 |

მთავარი მწვრთნელი - დავით უსტიაშვილი
ასისტენტი - მიხეილ ბერუაშვილი
ექიმი - ბიძინა ჯაგაშვილი
გუნდის უფროსი - ამირან ხაჩიძე

**თბილავიამშენი**

| მოთამაშე | სმ | დ.წ. |
|---|---|---|
| ირაკლი ხოშტარია | 190 | 1976 |
| ნოდარ ბერაია | 192 | 1986 |
| გიორგი ნიკოლაძე | 188 | 1987 |
| ლუკა შანიძე | 200 | 1982 |
| თორნიკე ნინიაშვილი | 202 | 1982 |
| პლასიდე როდუმტა | 212 | 1987 |
| დავით იმნაძე | 204 | 1982 |
| ბიქტორ კვიმსაძე | 195 | 1982 |
| დავით ბარბაქაძე | 204 | 1982 |
| კოტე ტულუში | 193 | 1984 |
| ვახტანგ მინაშვილი | 202 | 1979 |
| ვლადიმერ სუხიშვილი | 205 | 1979 |

მთავარი მწვრთნელი - ლევან მოსეშვილი
ასისტენტი - ვაჟა მხეიძე
ასისტეტი - ვახტანგ მოსეშვილი
ექიმი - გიორგი ნათენაძე
გუნდის უფროსი - ლევან ჭალისური

**თსუ**

| მოთამაშე | სმ | დ.წ. |
|---|---|---|
| შიო ხეცურიანი | 196 | 1983 |
| რიჩარდ მათიაშვილი | 207 | 1989 |
| შალვა კოხრეიძე | 188 | 1986 |
| ლევან ტყეშელაშვილი | 204 | 1984 |
| ლაშა ლოსაბერიძე | 197 | 1981 |
| დავით არწივიძე | 197 | 1983 |
| გიორგი ყველაშვილი | 203 | 1981 |
| მიხეილ ჩიტაშვილი | 189 | 1987 |
| ირაკლი ჯგერენაია | 204 | 1987 |
| ირაკლი კეიდია | 203 | 1983 |
| გიორგი ელანიძე | 197 | 1991 |
| ირაკლი ივანეიშვილი | 197 | 1990 |

მთავარი მწვრთნელი - ნუგზარ ჭეიშვილი
ასისტენტი - ნუგზარ მარკოიშვილი
ექიმი - გიორგი ბასილაია
გუნდის უფროსი - მაია ლომინეიშვილი

**დინამო**

| მოთამაშე | სმ | დ.წ. |
|---|---|---|
| ლექსო ლაფანაშვილი | 196 | 1987 |
| გიორგი გულისაბედაშვილი | 193 | 1988 |
| არჩილ ქლენტი | 183 | 1975 |
| გიორგი კუჭავა | 193 | 1986 |
| ნოდარ სიგუა | 191 | 1987 |
| გიორგი ნანიტაშვილი | 188 | 1990 |
| გულივერ ახალკაცი | 202 | 1976 |
| დავით მაისურაძე | 204 | 1990 |
| რევაზ ათანელიშვილი | 206 | 1986 |
| ლაშა დევიძე | 203 | 1989 |
| ნიკოლოზ წერეთელი | 198 | 1990 |
| ოთარ ფაიქრიძე | 190 | 1985 |
| ნიკოლოზ ნახუცრიშვილი | 198 | 1989 |

მთავარი მწვრთნელი - ზაზა ცაგარეიშვილი

**მაკაბი**

| მოთამაშე | სმ | დ.წ. |
|---|---|---|
| გიორგი შერმადინი | 216 | 1989 |
| სოსო შერმადინი | 208 | 1985 |
| ვიქტორ კოლუაშვილი | 202 | 1985 |
| გივი ვაშაკიძე | 202 | 1985 |
| დავით ხიზანიშვილი | 200 | 1987 |
| ზურაბ კორკოტაძე | 196 | 1983 |
| გიორგი ჯიქია | 194 | 1989 |
| ირაკლი სორდია | 192 | 1985 |
| ირაკლი დოლიძე | 190 | 1986 |
| დავით ბერიშვილი | 180 | 1978 |
| ირაკლი ბერიშვილი | 180 | 1978 |

მთავარი მწვრთნელი - ჯამლეტ ხუხაშვილი
მწვრთნელი - ნოდარ ქორქია

**ვითა**

| მოთამაშე | სმ | დ.წ. |
|---|---|---|
| ვლადიმერ ბეჟანიშვილი | 200 | 1975 |
| დავით ბერძენიშვილი | 208 | 1976 |
| გიორგი მარხვაშვილი | 190 | 1985 |
| დავით გვიმრაძე | 202 | 1986 |
| მიხეილ ბერიშვილი | 203 | 1987 |
| ანატოლი ბერიშვილი | 189 | 1981 |
| ირაკლი ძიძიგური | 193 | 1988 |
| დავით გასიტაშვილი | 194 | 1989 |
| გოჩა კორძაძე | 206 | 1984 |
| ნიკოლოზ ნოზაძე | 185 | 1977 |
| ლუკა ნოზაძე | 207 | 1988 |
| გიორგი მარკოიშვილი | 200 | 1983 |
| გიორგი ცერცვაძე | 200 | 1987 |

მთავარი მწვრთნელი - ზურაბ ტომარაძე
ასისტენტი - მიხეილ კობეშავიძე
ასისტენტი - თეიმურაზ აბულაძე



შარლოტი-ატლანტა

# ფაჩულიამ მუხლი იტკინა

მას შემდეგ, რაც **ზაზა ფაჩულიამ** "ატლანტა ჰოქსის" მორიგ საგამოფენო მატჩში "მინესოტის" წინააღმდეგ გაიბრწყინა და 16 ქულა ჩააგდო, ქართველმა ცენტრმა დასანანი ტრავმა მიიღო. "შარლოტთან" მატჩის მესამე მეოთხედში ზაზა დაეცა და მარცხენა მუხლი დაიზიანა. იმ დროისთვის მის ანგარიშზე 8 ქულა იყო. სამწუხაროდ, მან ველარ შეძლო ბრძოლის გაგრძელება, თუმცა, საბედნიეროდ, ტრავმა სერიოზული არ ჩანს და მიუხედავად იმისა, რომ კალათბურთელს მუხლში ტკივილი კვლავ აწუხებს, სეზონის დაწყებამდე მის მომჯობინებას ვარაუდობს.

"მინესოტასთან" მატჩს "ატლანტა ჯორნალი" სპეციალური სტატიით გამოეხმაურა - "ფაჩულიამ თავისი გზა იპოვნა". ზაზამ სტატიის ავტორ **სეკუ სმითთან** საუბარში აღნიშნა, რომ ცხოვრებაში არ ყოფილა ასეთ კარგ სათამაშო ფორმაში. "ევროპული კალათბურთი ისე ძალიან განსხვავდება ამერიკულისგან, როცა აქ რომ ჩამოვდივარ შეგუება მიჭირს. ახლა, ვცდილობ, ჩემეული რიტმი დავიბრუნო, ამისთვის კიდევ მჭირდება დრო. სანამ რეგულარული სეზონი დაიწყება ფორმაში უნდა შევიდე, თირემ მერე სულის მოთქმის დრო არ მექნება".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**შარლოტი-ატლანტა 98:104**

21:28, 19:21, 32:27, 26:28

შარლოტი: ფელტონი (13 ქ. 5 პ), რიჩარდსონი (17 ქ), ოკაფორი (8 ქ), ჯ. უოლასი (34 ქ. 10 მ), ჰოლინსი (2 ქ), მორისონი (8 ქ), კეროლი (8 ქ), მაკინსი (2 ქ. 5 პ), დ. ანდერსონი (3 ქ), ჰერმანი (3 ქ)

ატლანტა: ჯ. ჯონსონი (10 ქ. 4 პ), ჩილდრესი (19 ქ), მ. უილიამსი (12 ქ. 7 მ), ჯ. სმითი (17 ქ), ფაჩულია (17 წუთი, 8 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, 2 ფოლი, 2 შეცდომა), ჰარფორდი (22 ქ. 12 მ), ლოუ (10 ქ. 5 პ), უესტი (4 ქ), ჯონსი (2 ქ)

**ფაჩულიას მონაცემი**

| | |
|---|---|
| **I მეოთხედი** | |
| 12:26 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 11:00 | ფოლი: 1 |
| 11:00 | შეცდომა: 1 |
| 09:19 | საჯარიმოები: 2/1, 1 (5:8) |
| 08:57 | მოხსნა: 1 (შეტ: 1, დაც: 0) |
| 08:56 | ორქულიანი ტყორცნა: 3 ქ (7:8) |
| 07:12 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 06:31 | მოხსნა: 2 (შეტ: 2, დათ: 0) |
| 05:48 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 04:37 | ფაჩულია სმიტმა შეცვალა |
| **II მეოთხედი** | |
| 09:13 | ფაჩულიამ ჰარფორდი შეცვალა |
| 08:46 | შეცდომა: 2 |
| 08:46 | ფოლი: 2 |
| 07:05 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 06:46 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 06:12 | მოხსნა: 3 (შეტ: 3, დაც: 0) |
| 06:08 | პასი: 1 (ჩილდრესი 2 ქ, 40:30) |
| 04:59 | ფაჩულია ჰარფორდმა შეცვალა |
| **III მეოთხედი** | |
| 11:14 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 08:20 | საჯარიმოები: 2/2, 7 ქ (52:48) |
| 08:20 | ფაჩულია ჰარფორდმა შეცვალა |
| 03:21 | ფაჩულიამ უესტი შეცვალა |
| 02:33 | პასი: 2 (ჰარფორდი, 2 ქ, 67:63) |
| 02:07 | საჯარიმოები: 2/1, 8 ქ (68:65) |
| 01:25 | ფაჩულია ჯონსმა შეცვალა |

# ტერამო მიქრის

ნიკა ცქიტიშვილის "ტერამომ" სერია A-ში ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო. ამჯერად სკიტას თანაგუნდელებმა შინ "ვარეზე" დასცეს - 91:78.

ქართველმა ცენტრმა (იტალიაში ნიკას მეხუთე ნომრად ათამაშებენ) მოედანზე 28 წუთი გაატარა და 15 ქულა ჩააგდო, რასაც 3-3 მოხსნა-პასი მიამატა. შეუცვლელად ითამაშა თურქმა ტერამოელმა **თუქერმა** და 35 ქულას მოუყარა თავი.

იტალიის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში ცქიტოს გუნდი მეორე პოზიციაზეა და მხოლოდ ხუთმოგებიან "მონტეპასკის" ჩამორჩება. "ტერამოს" ერთადერთი მარცხი პირველ ტურში, ბოლონიაში იწვნია.

**ვაჟა სიმონიშვილი**




საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სხვადასხვა

### ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა

**ძალოსნობა.** გუშინ, ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა **გიორგი ასანიძემ** მარჯვენა ხელზე ოპერაცია გაკეთა. ქირურგების - **ლევან ნაჭყებიას, ბადრი ზემლინსკისა** და **ვაჟა გაფრინდაშვილის** მეთვალყურეობით ჩატარებულმა ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა - ასანიძეს ექვსი ძვლოვანი წანაზარდი ამოაჭრეს. გიორგი თავს კარგად გრძნობს და უკვე გაეწერა კიდეც კლინიკიდან, რეაბილიტაციისთვის საჭირო პროცედურებს კი შინ გაივლის. ექიმები იმედს იძლევიან, რომ გორგი სპორტული კარიერის გაგრძელებას შეძლებს, თუმცა მთავარი მაინც ის არის თუ როგორ მოშუშდება იარები, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონის მკლავზე მრავლად დარჩა. ჯერ რაიმეს თქმა ნაადრევია, რამდენიმე კვირაში გამოიკვეთება რეალური სურათი და ოლიმპიური ჩემპიონიც ამის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას...

### მჭედლიშვილი ვალიეხოს შემდეგ

**ჭადრაკი.** ესპანურ კურორტზე - ბალეარის კუნძულების ქალაქ კალვიის საერთაშორისო ტურნირზე სამი ქართველი თამაშობს - **მიხეილ მჭედლიშვილი, მერაბ გაგუნაშვილი** და **ქეთევან არახამია-გრანტი**.

ოთხი ტურის შემდეგ მჭედლიშვილს 3.5 ქულა აქვს და მხოლოდ სამ მოჭადრაკეს ჩამორჩება ნახევარი ქულით - ესპანელ **ფრანსისკო ვალიეხოს**, რუს **ვიქტორ მიხალევსკის** და აზერბაიჯანელ **რაუფ მამედოვს**. მეხუთე ტურის წილისყრამ მჭედლიშვილს მამედოვი შეახვედრა. არახამიას 3 ქულა აქვს, გაგუნაშვილს - 2. სულ 9 ტური გათამაშდება.

### ისფაჰანში, აზიის თასზე ისვრიან

**მშვილდოსნობა**. დღეს საქართველოს ქალთა ნაკრები გაემგზავრა ირანის ქალაქ ისფაჰანში, სადაც 21-24 ოქტომბერს აზიის ს თასის გათამაშებაში იასპარეზებს. ორგანიზატორებმა ვაჟთა ნაკრებიც მიიწვიეს, მაგრამ ჩვენებმა მათი წაყვანა მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს. სამწუხაროდ, მათი მომზადების სადღეისო დონე ვერაა დამაკმაყოფილებელი და რადგან ჩვენი ნაკრებისთვის ფული დიდი ფუფუნებაა, ზედმეტ ხარჯებს მოერიდნენ. ცხადია, ქალთა ნაკრების თავკაცმა **თამაზ ფუტკარაძემ** ირანში პეკინის ოლიმპიადის ორივე ლიცენზიანტი - **ხათუნა ნარიმანიძე** და **ქრისტინე ესებუა** წაიყვანა, მესამე მონაწილედ კი - **ასმათ დიასამიძე**.

დაბოლოს, შეგახსენებთ, რომ აზიის თასის გათამაშებაც ისეთივე პრინციპით ტარდება, როგორითაც - ევროპულისა და მსოფლიო რეიტინგში ჩასათვლელ ქულებს იძლევა.

### მაკა წყვილთა ნახევარფინალში

**ჩოგბურთი.** ამერიკაში ჯორჯიის შტატის ქალაქ ლოურენსვილში გრძელდება ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი 50 ათასი დოლარი საპრიზო ფონდით - სამწუხაროდ, უკვე ქართველთა გარეშე. 21 წლის **სალომე დევიძემ** ჯერ კიდევ საკვალიფიკაციო ეტაპზე წააგო, 17 წლის **ანა ტატიშვილმა** კი ასპარეზობა ძირითადი ბადის მერვედფინალში დაასრულა. ტატიშვილის მეტოქე მეხუთე ნომრად განთესილი კანადელი **სტეფანი დუბუა** (115) იყო, რომლის უპირატესობა აშკარა გამოდგა - 2:6, 1:6. ანა ტატიშვილი ჯორჯიაში დარჩება, სადაც აუგუსტას 25-ათასიან ტურნირში იასპარეზებს.

ამასობაში ფრანგულ სან რაფაელში (50 ათასი დოლარი) ტატიშვილის დარად ერთეულთა თანრიგის მერვედფინალში დამარცხებული **მაკა ჩახნაშვილი** წყვილებში (ბელარუს **ქსენია მილევსკაიასთან** ერთად) ნახევარფინალში გავიდა. მათ მე-4 ნომრად განთესილი ჩეხურ-რუსული (**ვორაჩოვა, ბიჩკოვა**) დაამარცხეს - 7:6, 2:6, 11:9.

## ხელბურთი



თამაზ თევზაძე

ინტერვიუ თამაზ თევზაძესთან

# ჩელენჯ ტროფი მომავალი შესარჩევის საფუძველია!

**საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ თევზაძე იტალიის დედაქალაქიდან დაბრუნდა, სადაც ევროპის ფედერაციის რიგგარეშე კონგრესს დაესწრო. ბატონ თამაზს გუშინ შევხვდით და რომაული კონგრესისა და საქართველოს ნაკრების შესახებ ვესაუბრეთ.**

- რომში ჩატარდა ევროპის ხელბურთის ფედერაციის რიგგარეშე კონგრესი, დღის წესრიგში შეტანილი იყო ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა მოგვარებაც ითხოვდა დაჩქარებას. ძირითადი ეს იყო ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის რეგლამენტი და სატელევიზიო კონტრაქტები.

როგორც იცით, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი გადადის ზუსტად ისეთივე მოდელზე, როგორიც აქვს ფეხბურთს. აქამდე, საკვალიფიკაციო ტურნირები ტარდებოდა იანვარში, სამი კვირის განმავლობაში, რასაც მოსდევდა ფლეიოფი. ამასთან, მთელი რიგი გუნდები დაშვებულნი იყვნენ პირდაპირ ფლეიოფში, ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ახალი სისტემის მიხედვით კი პირდაპირ ევროპის ჩემპიონატზე თამაშის პრივილეგია ალარავის ექნება გარდა მასპინძელი ქვეყნისა და მოქმედი ჩემპიონისა. ფლეიოფი გაუქმდება.

რომის კონგრესმა დაამტკიცა განახლებული საკვალიფიკაციო ეტაპის განრიგი. შესარჩევ ეტაპზე მსურველი გუნდების განაცხადები მიიღება 2008 წლის თებერვალ-მარტში, აპრილში ჩატარდება წილისყრა, ხოლო ჯგუფური მატჩები დაიწყება 2008 წლის ოქტომბრის ბოლოს, მიმოსვლითი სისტემით და 2009 წლის ზაფხულამდე გასტანს.

საკვალიფიკაციო ეტაპში მონაწილეობის მსურველთა სავარაუდო რაოდენობაა 42 ქვეყანა. შესაბამისად, სავარაუდოდ, ჩამოყალიბდება შვიდი ექვსგუნდიანი ჯგუფი და თითოეულიდან, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავა ორ-ორი საუკეთესო. რაც შეეხება ფინალური ეტაპის ვადას, იანვრის თვე უცვლელი დარჩა, ანუ ევროპის 2010 წლის ჩემპიონატი შედგება იანვარში.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი იყო სატელევიზიო და სარეკლამო უფლებები საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებზე. ამ საკითხმა გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა, ვერ მივაღწიეთ კონსესუსს და შესაბამისად, აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, დაინიშნა კიდევ ერთი რიგგარეშე კონგრესი, რომელიც შედგება 2008 წლის იანვარში, ნორვეგიაში, ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას.

უთანხმოება გამოიწვია იმან, რომ ევროპის ფედერაციას სურდა, თავად განეკარგა სატელევიზიო და სარეკლამო უფლებები, რაზეც ზოგ ფედერაციისგან უარი მიიღო. განსაკუთრებით აქტიურობდნენ გრანდები, რომლებსაც უკვე აქვთ გაფორმებული გრძელვადიანი სატელევიზიო-სარეკლამო კონტრაქტები და მათი დარღვევა არ სურთ.

შემდეგი რიგგარეშე კონგრესისთვის, ამ სადავო საკითხის შესახებ, ყველა ქვეყანას დაურიგდება კითხვარი, იმუშავებს კომისია და წესით, პრობლემა 2008 წლის იანვარში საბოლოოდ უნდა გადაიჭრას.

**- ახალი საკვალიფიკაციო ციკლი გაცილებით უფრო დიდხანს გასტანს. კლუბები შეუფერხებლად გაუშვებენ ლეგიონერებს ნაკრებ გუნდებში?**

- ევროპისა და საერთაშორისო ფედერაციების წესდებათა თანახმად, მკაცრად განსაზღვრული და გათვალისწინებულია სანაკრებო მატჩების კვირეულების თარიღები, რაც კლუბებს ურიგდებათ. უკლებლივ ყველა კლუბი ვალდებულია, რომ ოფიციალური მატჩების დროს, მოთამაშე ნაკრებში გაუშვას. რაოდენობა განუსაზღვრელია, რამდენი ოფიციალური მატჩიც აქვს ნაკრებს, იმდენჯერ შეუძლია მოთამაშის გამოძახება.

მოკლედ, ამა თუ იმ ქვეყანას, შეუძლია არ გაითვალისწინოს სანაკრებო მატჩების თარიღები საკუთარი ჩემპიონატების ჩატარების დროს, მაგრამ თუ საკლუბო და სანაკრებო ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, არა აქვს უფლება, რომ ხელბურთელი დააკავოს.

**- საქართველოს ეროვნულ ნაკრებზე გადავიდეთ. "ჩელენჯ ტროფი" კარს მოგვადგა. როგორ მიმდინარეობს სამზადისი?**

- საკმაოდ დაძაბულ გრაფიკში გვიწევს მუშაობა. გვინდა, მაქსიმუმი გავაკეთოთ, რათა ესოდენ საპასუხისმგებლო ტურნირს ღირსეულად ვუმასპინძლოთ. თბილისში სხვადასხვა საპატიო სტუმრებთან ერთად, ჩამოდიან ევროპის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ჟან ბრიოლი და ამავე ფედერაციის აღმასკომის წევრი, მეთოდკომისიის თავმჯდომარე ფრანტიშეკ ტაბორსკი.

ჩვენი ხელბურთელებისთვის ძალიან დიდი მოტივაციაა, რომ თბილისში გამარჯვების შემთხვევაში, ფინალს ითამაშებენ ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას, ანუ ისინი წარდგებიან ევროპის 16 საუკეთესო გუნდის მწვრთნელების წინაშე. ამჟამად, ჩვენი მთავარი პრიორიტეტია ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებით თამაში და ამას "ჩელენჯ ტროფიდან" უნდა ჩავუყაროთ საფუძველი.

ვერ ვიტყვი, რომ "ჩელენჯ ტროფისთვის" სამზადისი მთლად უპრობლემოდ და იდეალურად მიმდინარეობს, მაგრამ რაც მთავარია, ყველა ერთ მუშტად ვართ შეკრული და იმედი მაქვს, ტურნირს საკადრისად ვუმასპინძლებთ. გულშემატკივრებს მოვუწოდებ, 25-27 ოქტომბერს, მობრძანდნენ სპორტის სასახლეში და უქომაგონ საქართველოს ნაკრებს.

**- ლეგიონერებიდან ყველა ჩამოდის? ვინმეს პრობლემა ხომ არ აქვს?**

- ვინც გამოძახებულია, თითქმის ყველა ჩამოდის. ერთადერთი, გარი თურქიას თამაში გამოირიცხა. სამწუხაროდ, მან 2006 წლის დეკემბერში, საბერძნეთის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა იტალიის საერთაშორისო ტურნირზე. იმედი გვქონდა, ევროპის ფედერაცია გაითვალისწინებდა, რომ გარის საბერძნეთის ნაკრებში ოფიციალურ მატჩებში არ უთამაშია, მაგრამ უარი მივიღეთ - განსაზღვრული არაა, რა დონის მატჩში იასპარეზა, როდესაც ხელბურთელი ერთი ქვეყნის მაისურით ითამაშებს, მას შემდეგ სამი წელი უნდა გავიდეს, რომ სხვა ქვეყნის სახელით ითამაშოსო.

მოკლედ, გარი თურქია საქართველოს ნაკრებში ვერ ითამაშებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, "ჩელენჯ ტროფიზე" აუცილებლად გუნდთან ერთად იქნება. იგი უკვე თბილისშია და დიდი სურვილი აქვს, რომ თავისი გამოცდილება ნაკრებს მოახმაროს. ბოლო ორი წელიწადია, რაც გარი საბერძნეთში მოთამაშე-მწვრთნელია, გულით სურს ჩვენთან თანამშრომლობა და ამაზე დიდი სიამოვნებით დავთანხმდით.

**კობა ხატისაშვილი**

## კარატე

# დღეს, კავკასიის ჩემპიონატი თბილისში



გია გალდავა, ვლადიმერ სკრიპნიჩენკო, კახა ბასილია

გუშინ, მსოფლიო თასის გათამაშებიდან დაბრუნებულმა საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტმა **კახა ბასილიამ** და სპორტის დეპარტამენტმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. მსოფლიო ასპარეზზე მიღწეულ შედეგებს უმაღლესი შეფასება მიეცა. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **გია გალდავამ** განაცხადა: *"ბატონმა კახა ბასილიამ ამ მოკლე ხანში უმაღლეს შედეგებს მიაღწია. სწორედ მისი იდეა და წამოწყება იყო საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის შექმნა, რომელსაც თავადვე ჩაუდგა სათავეში და საკმაო წარმატებითაც. ამ იდეას სპორტის დეპარტამენტმაც დაუჭირა მხარი და ერთობლივი ძალისხმევით ვაკეთებთ ქართული კარატეს საქმეს. ბატონი კახას მეშვეობით ქართული კარატე და ყველა საბრძოლო ხელოვნება გაერთიანდა და შედეგებმაც არ დააყოვნა - მსოფლიოში ერთ-ერთი წარმატებული ნაკრები გვყავს და მომავლისთვის უფრო მეტსაც ვგეგმავთ. გილოცავთ მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებულ გამარჯვებას და კავკასიის ჩემპიონატზე წარმატებას გისურვებთ. ამ ტურნირის ორგანიზება და კავკასიაში კარატეს პოპულარიზაციაც ისევ ბატონ კახას სახელს უკავშირდება, რაც საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რეგიონული პოლიტიკის კუთხით".*

ქართულ-რუსული პოლიტიკური ურთიერთობებიდან გამომდინარე, რუსეთის კარატეს ეროვნული ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა **ვლადიმირ სკრიპნიჩენკომ** სენსაციური განცხადება გააკეთა: *"რუსეთი და საქართველო მეგობრები ვართ, რასაც თბილისში ჩვენი სტუმრობა და ჩემპიონატში მონაწილეობაც ადასტურებს".*

მსოფლიო ჩემპიონმა **ოთარ ვადაჭკორიამ** პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მისთვის დიდი კარატეს კარიერა ახლა იწყება და ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი. შედეგებით კმაყოფილმა საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ კი მოკლედ მიმოიხილა მსოფლიო თასის გათამაშება. შემდეგ თქვა: *"რაც შეეხება ხვალინდელ დღეს, კავკასიის საერთაშორისო ტურნირს, ეს ტურნირი ჩვენი ქვეყნისთვის დიდი მონაპოვარია და უდავოდ, სპორტის დეპარტამენტის, საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის, საქართველოს კიოკუშინ კარატეს ფედერაციის ხელმძღვანელების -* ***ანზორ ჩუბინიძის, ავთო შენგელიასა*** *და* ***ირაკლი დოლაბერიძის*** *ერთობლივი ძალისხმევის შედეგია. ჩვენ დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ სპორტი მშვიდობის დესპანია. საქართველოში ჩამოსული რუსეთის კარატეს ფედერაციის ხელმძღვანელობა ჩვენი ქვეყნის მიმართ ლოიალური და კეთილგანწყობილია. ხვალ კი საქართველოს კარატეს ეროვნული ნაკრები კვიპროსზე გაემგზავრება, სადაც მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება ტრადიციულ კარატეში და როგორც ვიცით, მასში 35-მდე ქვეყანა აპირებს ასპარეზობას".*

**ნუგზარ ქიაბერაშვილი,**
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი

BTA Silk Road Bank
ქვარციტი QUARTZITE
LOYAL CAPITAL group

# ეპოქის დასასრული

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

**ფინალი**

**20 ოქტ. 23:00, სენ დენი**

**სამხ. აფრიკა-ინგლისი**

აფრ: 15. პერსი მონტგომერი 14. ჯეიპი პიტერსენი 13. ჟაკ ფური 12. ფრანსუა შტაინი 11. ბრაიან ჰაბანა 10. ბუჩ ჯეიმზი 9. ფური დიუპრე; 1. ოზ დიურანი 2. ჯონ სმითი (კაპ) 3. ცეხა ფანდერლინდე 4. ბაკის ბოთა 5. ვიქტორ მეტფილდი 6. სხალკ ბურხერი 7. ჟუან სმითი 8. დანი როსუ / 16. ბისმარკ დუპლესი 17. იანი დუპლესი 18. იოჰანეს მულერი 19. ვიკუს ფანჰირდენი; 20. რუან პინარი 21. ანდრე პრეტორიუსი 22. ვინანდ ოლიფიე

ინგ: 15. ჯეისონ რობინსონი 14. მარკ კუეტო 13. მეთიუ ტეიტი 12. მაიკ ქეთი 11. ჯოშ ლუსი 10. ჯონი ვილკინსონი 9. ენდი გომერსოლი; 1. ენდი შერიდანი 2. მარკ რიგანი 3. ფილ ვიკერი (კაპ) 4. საიმონ შოუ 5. ბენ ქეი 6. მარტინ ქორი 7. ლუის მუდი 8. ნიკ ისტერი / 16. ჯორჯ ჩატერი 17. მეტ სტივენსი 18. ლოურენს დალალიო 19. ჯო ვორსლი; 20. პიტერ რიჩარდსი 21. ტობი ფლუდი 22. დან ჰიპკისი

მსაჯი: ალენ როლანი (ირლ)

43 დღე, 47 მატჩი, 296 ლელო უკან მოვიტოვეთ. მოულოდნელობების, სენსაციების მთელი მარაგიც თითქმის ამოწურულია. რაგბი, ფაქტობრივად, სხვა განზომილებაში გადადის - თამაში იგივეა, ოღონდ აქამდე დამყარებულ, უფრო სწორედ, დამყაყებულ უფროსუმცროსობისა თუ დიდ-პატარაობის ურყევ სტატუს-ქვოს ყავლი გასდის. უპირობო ფავორიტი, ზელანდია, კარგა ხანია, შინ გაემგზავრა. ავსტრალიაც შინაა. "ოლ ბლექსის" მძლეველი საფრანგეთი გუშინ საშვილიშვილოდ შერცხვა. ამ ყველაფერში საქართველომაც შეიტანა თავისი წვლილი და ერთი ნაბიჯი... არა, ნახევარი ნაბიჯი, ერთი ამოსუნთქვა დააკლდა მსოფლიო რაგბის ისტორიაში უდიდესი სენსაციის მოსახდენად.

და რაღა შეიძლება ჩაითვალოს ფინალში სენსაციურ შედეგად? არც არაფერი! მარაგი ამოწურულია. სენსაცია ის იქნება, სამხრეთი აფრიკა რომ ადგეს და ჯგუფური სტადიის 36:0 რომ გაიმეოროს ინგლისთან. არადა, ასეთი რამ არ მოხდება!

თუმცა, ფავორიტი, რა თქმა უნდა, სამხრეთი აფრიკაა. "ქურციკებს" მოგებული აქვთ წინა ექვსივე თამაში, მოგროვილი აქვთ 263 ქულა, გაიტანეს 33 ლელო. ინგლისის მაჩვენებელი ბევრად უფრო მოკრძალებულია - 5 მოგება, 134 ქულა და სულ 12 ლელო. სად ეს და სად ოთხი წლის წინანდელი გუნდი? 12 ლელო მარტო ერთ, საქართველოსთთან მოგებულ თამაშში გაიტანეს. გახსოვთ - 6:84?

მაგრამ, ეს ყველაფერი უკვე წარსულია და არაფრად გვარგია. მოყვანილი იყო ექვსი თამაშის ჯამური სტატისტიკა, ბოლო ორ მატჩში კი ინგლისმა ჯერ ავსტრალია გაისტუმრა შინ და მერე კი - გუნდი, რომელმაც ზელანდიას მოუგო. მეოთხედი და ნახევარფინალი ინგლისმა ისე მოიგო, თითქოს ორივე ამ თამაშის მოდელი წინასწარ ჰქონდა შესწავლილი, ნანახი და წინასწარ იცოდა, რა მოხდებოდა. თავიდან ბოლომდე მისდია დასახულ გეგმას და ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვევია.

ამას დაამატეთ ჯონი ვილკინსონიც. რა თქმა უნდა, ის არაა რაგბის პელე, მაიკლ ჯორდანი ან, თუ გნებავთ, ენრიკო კარუზო. მით უმეტეს ახლა - კარიერის პიკიდან 4 წლის შემდეგ. ისედაც, ხომ სისულელე იქნება, რომ შევაბრუნოთ: ვინმე, ვთქვათ, რონალდინიო, ფეხბურთის ვილკინსონია! გირჩევთ, ამ კაცს დაუმატოთ მეორე დიდი მოთამაშე, ჯეისონ რობინსონიც. პლუს ინგლისის დიდი შერკინება - უძლიერესი პირველი ხაზი და მღლეტელი ლუის მუდი.

სამხრეთ აფრიკას კი ჰყავს ამ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი პერსი მონტგომერი, საუკეთესო მელელოვე ბრაიან ჰაბანა, ალბათ საუკეთესო 9 ნომერი ფური დუპრე და საერთოდ - აშკარად უკეთესი უკანა ხაზი. და ინგლისზე არაფრით ნაკლები შერკინება.

მცირედი სტატისტიკა - სამხრეთმა აფრიკამ ინგლისს მოუგო ბოლო 4 თამაში, მათ შორის სამი - 2007 წელს. სამაგიეროდ, ამ ოთხის წინა 7 მატჩი, 2000-2006 წლებში ინგლისის სასარგებლოდ დასრულდა.

ყველაფრისთვის მზად უნდა იყოთ. ერთი უმნიშვნელო დეტალი - ამ მსოფლიო თასზე ჯერ არ დანიშნულა დამატებითი დრო. ესეც შესაძლებელია - ორი ათწუთიანი ტაიმი, ისევე როგორც 4 წლის წინ - ავსტრალია-ინგლისის ფინალში. შესაძლოა მოხდეს ის, რაც არასოდეს მომხდარა - მესამე დამატებითი ტაიმი, სახელად "უეცარი სიკვდილი". და სულ ბოლო გაფრთხილება - გახსოვდეთ პენალტების სერიაც!

**ნიკოლოზ აბაშიძე**



ფელიპე კონტეპომის ბოლო ლელო

# ალალია, არგენტინა!

**19 ოქტომბერი, სენ დენი**

მესამე ადგილისთვის

**საფრანგეთი-არგენტინა 10:34**

საფ: (15-9) პუატრენო, რუჟრი (კლერი 62), სკრელა, მარტი (ბოსი 70), დომინისი, მიშალაკი, ელისალდი (მინიონი 55); (1-8) პუ, იბანესი სბ 40 (ბრუნო 50), მასი, ნალე, თიონი (შაბალი 62), ნიონგა, დუზოტუარი (მარტენი 50), არინორდოკი - ლ,გ *(ბოსი)*, ს *(ელისალდი)*

არგ: (15-9) კორლეტო (ტოდესკინი 74), არამბური, მ. კონტეპომი (სენილოსა 62), ფ. კონტეპომი (ფერნანდეს-მირანდა 70-77), აგულა, ერნანდესი, პიშო; (1-8) რონსერო, ვერნეტი, ჰასანი (აიერსა 71), ალვარესი სბ 40 (ლოსადა 71), ალბასეტე, დურანი (ლეგისამონი 62 სბ 63), ხ. ფერნანდეს-ლობე, ლონგო - 5ლ *(ფ.კონტეპომი 2, ჰასანი, არამბური, კორლეტო)*; 3გ,ს *(ფ.კონტეპომი)*

მსაჯი: პოლ ჰონისი (ზელ)

არგენტინამ, მთელმა გუნდმა, წაგებული ნახევარფინალის შემდეგ ზედ მოედანზევე ცხარე ცრემლით იტირა. აბა, ვინღა მოელოდა მათგან კიდევ ერთი თამაშის მოგებას? თან ზედიზედ მეორე მოგებას ფრანგებთან? მოკლედ, მასპინძლები მამალი ფავორიტები იყვნენ, მაგრამ არავის ახსოვდა, რომ ფრანგები, როგორც ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტები, ინგლისთან მოულოდნელი წაგების შემდეგ უარეს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ.

ფრანგებმა თავიდანვე შეუტიეს და უმთავრესად ხელით ცდილობდნენ თამაშს, თუმცა არგენტინამ თავის დაცვა მოახერხა. **ელისალდისა** და **ფელიპე კონტეპომის** თითო საჯარიმოს შემდეგ (მე-18 და 21-ე წუთები) ფრანგებმა მეორედ კარში დარტყმა არ იკადრეს და ლელოს გატანა დაიჩემეს.

მწარედაც ინანეს - არგენტინა მალევე გადავიდა მეტოქის ნახევარზე, **პიშომ** რამდენჯერმე შეცვალა შეტევის მიმართულება და სულ ბოლოს მოკლე ფრთაზე, დაყოვნების შემდეგ მოაწოდა **ფელიპე კონტეპომის**, რომელიც ორკაცშუა გაძვრა და კიდიდან ლელოც გარდასახა - 10:3.

კიკოფის შემდეგ მასპინძლები მიწაზე თამაშისთვის დაჯარიმდნენ და **ერნანდესმა** მეტოქის 22-ში გადაიტანა ჯარიმა. არგენტინამ მოლებით შეუტია და **ერნანდესმა** არეკნი ძელს გაარტყა - ასხლეტილი ბურთი მასპინძლებმა მოიგეს, მაგრამ რაკიდან გამოუვარდათ და **ვერნეტმა** თითქმის ლელოს ხაზს უწია, მომდევნო ფაზაზე კი **ომარ ჰასანმა** ძელებსშუა დაამიწა. 17:3, 32-ე წუთზე.

პირველი ტაიმის თითქმის მთელი დარჩენილი დრო წაიღო ფრანგების უსაშველო შეტევამ დაუსრულებელი მოლებითა და მიძალებებით. ბოლოს ატყდა ჩხუბი, ისევ ფრანგთა მოლები, სულ ბოლოს კი ორი ყვითელი ბარათი და საფინალო სასტვენი.

მეტი რაღა გზა ჰქონდათ მასპინძლებს? არაფერი - და შესვენების შემდეგ შვიდკაცას თამაში დაიწყეს. ამაშიც მწარედ დამარცხდნენ - დაიწყებოდა მათი გრძელზე გრძელი, თავგანწირული შეტევა, საკუთარი ოცდაორიდან და... მთავრდებოდა მათსავე ლელოში! 69-ე წუთზე ანგარიში გახდა... ადვილი დასაწერიია - 3:27! სულ ბოლოს - 10:34. ჩემპიონატის მასპინძელთა შვიდიდან მესამე თამაში წააგო ამ ტურნირზე, და... ძნელი წარმოსადგენია - ბოლო 7 მატჩიდან მეექვსეჯერ დამარცხდა არგენტინასთან.

ბრინჯაოს მედლები მართლა ალალად დაიმსახურა იმან, ვინც დაიმსახურა!





ვინ ალმართავს მსოფლიო თასს - ჯონ სმითი თუ ფილ ვიკერი?

ინტერვიუ მალხაზ ურჯუკაშვილთან

# პორტუგალიასთან ვერ ვითამაშებ. არადა, როგორ მინდოდა...

**27 წლის მალხაზ ურჯუკაშვილი თავისი ასაკის მიუხედავად ბორჯღალოსანთა ერთერთი ყველაზე სტაჟიანი წევრია. საფრანგეთში რამდენიმეწლიანი უიღბლო სეზონის შემდეგ მახომ ბოლსდაბოლოს ელიტარულ, მეორე დივიზიონში მოასპარეზე პროფესიულ გუნდთან, "ორიიაკთან" გააფორმა ხელშეკრულება.**

-"ორიიაკი" მდიდარი ტრადიციების, საკმაოდ ამბიციური გუნდია. ბოლო დროს ცუდი დროება ედგა და წლეულს ფედერალ 1 დივიზიონიდან ელიტურ მეორე დივიზიონში გადავიდა. საკმაოდ ბევრი უცხოელი ჰყავთ - აფრიკელები, ფიჯელები, ერთი უელსელი და ერთიც ნამიბიელი.

**- "ორიიაკში" აქამდე ირაკლი აბუსერიძეს, პალიკო ჯიმშელაძეს, მევლუდ მთიულიშვილს და ზაზა ლეჟავას უთამაშიათ. ეხსომებათ ჩვენი ბიჭები...**

- რა თქმა უნდა. იმ პერიოდში, როცა ისინი "ორიიაკში" თამაშობდნენ გუნდში ხუთი რუმინელიც იყო, ასე რომ, ამ გუნდს აღმოსავლეთევროპულს ეძახდნენ. ცხადია, ჩვენს ბიჭებზე ცუდი არაფერი მსმენია. ერთადერთი პალიკოზე თქვეს, ძალიან ხშირად იყო ტრავმირებულიო.

**- სეზონის წინ რომელიმე საწვრთნელ შეხვედრაში ხომ არ გითამაშიათ?**

- დიახ ვითამაშე, და ძალიან ვნანობ - ნეტა არ მეთამაშა. "კლერმონის" წინააღმდეგ მატჩში მოედანზე სულ რაღაც 15 წუთი დავყავი და კოჭი დავიზიანე. ერთი თვე ვერ ვითამაშებ.

**- გამოდის, ვერც პორტუგალიის წინააღმდეგ შეძლებთ თამაშს?**

- დიახ, ასეა. მაგ დროისთვის ალბათ მხოლოდ ძუნძულს დავიწყებ. არადა, როგორ მინდოდა ჩამოსვლა. თუ ჩამომიყვანენ, დიდი სიამოვნებით ჩამოვალ. თამაშით კი ვერაფრით ვითამაშებ.

**- "კლერმონის" შემადგენლობაში ჩვენი მორაგბეებიდან ვინ ითამაშა?**

- მათ შემადგენლობაში მხოლოდ გოდერძი შველიძე იყო. დათო ზირაქაშვილმა, ალბათ გახსოვთ, მსოფლიო თასზე ნეკნი დიაზიანა. ამიტომ დაასვენეს, გამოჯანმრთელების და ძალების აღდგენის საშუალება მისცეს. წესით არ მე უნდა მეთამაშა, მაგრამ ძალიან ბევრი ტრავმირებულები გვყავს და სხვა გზა არ მქონდა, უნდა გავსულიყავი მოედანზე.

**- მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების გამოსვლამ როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენი გუნდის წევრებზე?**

- ძალიან კარგი. რომ ჩამოვედი, დახვედრა მომიწყვეს. მომილოცეს, თქვენმა გუნდმა მშვენივრად ითამაშა და საგრძნობლად წასულხართ წინო. ყველაზე მეტად მამუკა გორგოძე და ირაკლი მაჩხანელი დაამახსოვრდათ. მაგარ ჯანზე არიანო.

**- ნაკრებში დმრტყმელი ყოველთვის თქვენ და ჯიმშელაძე იყავით. მსოფლიო თასის თამაშებში რატომ არ ურტყამდით?**

- აბა, რა გითხრათ. თავიდან სულ მეკო ურტყამდა. მე რამდენჯერმე შევთავაზე, მოდი მე დავარტყამ მეთქი, მაგრამ იუარა. აქ მწვრთნელები არაფერ შუაში არიან. ეს ყველაფერი თამაშისას, მოედანზე წყდება.

**- გუნდი მსოფლიო თასისთვის აშკარად კარგად იყო მომზადებული. რაც ალბათ ფიზმომზადების ფრანგი მწვრთნელის ნიკოლა ფულკიეს დამსახურებაცაა?**

- გეთანხმებით. ფიზიკურად მართლაც ძალიან კარგად ვიყავით მზად. როგორც გამოჩნდა, ფულკიე სერიოზული, საკმაოდ კვალიფიცირებული მწვრთნელია. კარგი იქნება, თუ ის მომავალშიც გააგრძელებს ჩვენს ნაკრებთან მუშაობას.

**- მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების გამოსვლის შემდეგ, ქართულ რაგბში სერიოზული ცვლილებები იგეგმება. ხელისუფლება სერიოზული დახმარების გაწევას აპირებს.**

- ამის შესახებ მსმენია. ფრანგებთან მატჩის შემდეგ გასახდელში ქვეყნის პრეზიდენტი შემოვიდა და იქ დაგვპირდა - მოედნებს გაგიკეთებთო. ვნახოთ, გია ლაბაძეს უთქვამს ერთერთ ინტერვიუში, მოედანზე რომ შევალთ და ვივარჯიშებთ, მაშინ დავიჯერებთო. კარგი იქნება, დაპირებებს თუ შეასრულებენ. ამას რა სჯობს. რაგბი საქართველოში დიდი ხანია იმსახურებს გაცილებით უკეთეს ხვედრს.



მალხაზ ურჯუკაშვილი ნამიბიასთან მატჩში

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გერმანელ პროფესორ ვერნერ ფრანკესთან

# შვარცენეგერი კრიმინალი ყოფილა

## 100 მეტრზე სირბილში ოლიმპიადის ფინალის მონაწილეთა შორის არ იყო არცერთი მორბენალი, რომელსაც ადრე დოპინგი არ ჰქონოდა მიღებული



*დასასრული. დასაწყისი №247*

გერმანელი პროფესორის, ვერნერ ფრანკეს ინტერვიუს პირველი ნაწილი ველოსპორტს მიეძღვნა, მეორე ნაწილში კი, საუბარია პეკინის მომავალ ოლიმპიადაზე, დოპინგზე მძლეოსნობასა და ძალოსნობაში და საერთოდ, აკრძალული პრეპარატების დამღუპველ როლზე სპორტსმენების ჯანმრთელობასა და სპორტის განვითარებაზე.

### როგორ მივაღწიოთ პეკინამდე?

**- ველომრბოლელებთან დაკავშირებით ყველაფერი გავარკვიეთ. ახლა პეკინის მომავალ ოლიმპიადაზე ვისაუბროთ. დოპინგის მიღების შემთხვევები მრავლად დაფიქსირდება?**

- ვფიქრობ, რომ არა. იმიტომ, რომ დღემდე ჩინეთის ანტისადოპინგო ლაბორატორიები ზემოდან იღებენ ინსტრუქციებს, სინჯი როდის უნდა იყოს პოზიტიური და როდის - უარყოფითი. სავარაუდოდ, იქნება იმდენი შემთხვევა, რამდენიც 1980 წელს, მოსკოვის ოლიმპიადაზე, ანუ არცერთი.

**- მაგრამ მოსკოვში ბოიკოტის გამო, მრავალი ქვეყნის დელეგაცია არ ჩავიდა, პეკინში კი, მთელი სპორტული სამყარო შეიკრიბება. მათ შორის იქნებიან, დოპინგის გამოვლენის წამყვანი სპეციალისტები...**

- მე იქიდან გამოვდივარ, რომ კონტროლს ნებისმიერ შემთხვევაში ჩინური ლაბორატორიები განახორციელებენ. შეიძლება, გვერდით ვილაც იდგეს, მაგრამ ის ჩინურს ვერ გაიგებს...

სხვათა შორის, ჩვენ რაღაც მსგავსი უკვე ვიხილეთ. 1993 წელს, შტუტგარტში მძლეოსნობის მსოფლიო ჩემპიონატზე რამდენიმე ჩინელი ქალი მძლეოსანი გამოჩნდა, რომლებიც, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან კარგად დარბოდნენ საშუალო და გრძელ მანძილებზე. მათ "მას არმიას" უწოდებდნენ. მა - ასე ერქვა იმ მორბენლების მწვრთნელს. მაშინ, ჩინელებმა მოიგეს 1500, 3000 და 10 000 მეტრზე ფინალები. და მაშინვე წარმოიშვა კითხვა: რის ხარჯზე იგებდნენ ისინი? მამ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მისი შეგირდები კუს სისხლს სვამდნენ. ეს ხომ სისულელეა! ძალიან მალე, ეს ჩემპიონები და რეკორდსმენები სადღაც გაქრნენ: როგორც ჩანს, ვილაცამ გადაწყვიტა მორბენლების სცენიდან მოშორება, რადგან მიხვდა: მათი შედეგები უკვე მეტისმეტი იყო. ნამდვილი ტყუილი და სიყალბე.

**- ამბობენ, რომ დღეს უცხოელი სპეციალისტები სირთულეებს აწყდებიან ჩინელი სპორტსმენების შემოწმებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მათ ჩინური ვიზების მიღებაზე ექმნებათ პრობლემები.**

- დიახ, კონტროლიორები ვერ ჩადიან ქვეყანაში, როცა ამის აუცილებლობა არსებობს. გარდა ამისა, როცა ვიზას მიიღებთ, ჩინეთში მხოლოდ პეკინის გავლით, შეგიძლიათ შესვლა. თქვენ კი, ვთქვათ ტიბეტის პროვინციაში გსურთ ჩასვლა, სადაც სპორტსმენები ემზადებიან. სანამ იქამდე მიაღწევთ, სამიოთხი დღე გავა და ყველას ეცოდინება, რომ იქ ვიზიტი გაქვთ დაგეგმილი.

**- გამოდის, რომ სპორტსმენების კონტროლირება რთულია...**

- იოლი იქნებოდა, მათი კეთილი ნება რომ არსებობდეს. და მაშინაც, როცა ნებისმიერ ქვეყანაში იოლად შეგეძლება შესვლა.

### კოხის რეკორდი სპორტის დაცინვაა

**- გერმანულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თქვენ პეკინის ოლიმპიადის ბოიკოტის მომხრე ხართ.**

- სინამდვილეში, ამის შესახებ ერთ-ერთ ინტერვიუში მკითხეს. და მე ვუპასუხე, რომ მხოლოდ ეს იქნებოდა ნამდვილად ეფექტური ნაბიჯი. მაგრამ განსაკუთრებულად ეფექტური იქნებოდა ის, რომ თამაშებში მონაწილეობა არ მიეღო ამერიკულ ტელევიზიას, რადგან ოლიმპიურ მოძრაობაში ფულის უმეტესი ნაწილი იქედან შედის. მაგრამ ეს ყველაფერი, ბუნებრივია, ხუმრობაა და მეტი არაფერი.

**- ბავარიის მინისტრმა სოციალურ საკითხებში კრისტ შტეფენსმა ცოტა ხნის წინ ასეთი იდეა წამოაყენა: გაუქმდეს დღეს მოქმედი ყველა მსოფლიო რეკორდი და ათვლა თავიდან დაიწყოს. რას ფიქრობთ ამ იდეაზე?**

- უნდა გაუქმდეს მხოლოდ ის რეკორდები, რომლებიც აშკარად დოპინგის დახმარებით არის დამყარებული. ტელევიზორში ვუყურებ ქალთა შორის 400 მეტრზე გარბენებს და ქვემოთ ეკრანზე ვხედავ ციფრებს - 47,60...

**- ეს გდრ-ის წარმომადგენლის, მარიტა კოხის ცნობილი რეკორდია, რომელიც თუ არ ვცდები, 1985 წელს არის დამყარებული.**

- დიახ, ასეა. დამიჯერეთ, მე შემიძლია ზუსტად გითხრათ, იმ წელს რა რაოდენობის რა ნივთიერებებს იღებდა ეს მძლეოსანი. ეს ინფორმაცია არის იმ წიგნში, რომელიც ჩემმა მეუღლემ დაწერა. იქ ყველაფერი მილიგრამების სიზუსტითაა მოცემული. მსგავი ცნობები სხვა ბევრ რეკორდზე მოგვეძევება. ეს ე.წ. მიღწევები - სინამდვილეში ფარსი და რაც მთავარია, დღევანდელი სპორტსმენების დაცინვაა. გერმანიის წლევანდელმა ჩემპიონმა 400 მეტრი 52 წამში გაირბინა. იმ სარეკორდო გარბენში, ის კოხთან 40 მეტრს წააგებდა - ანუ საფინიშო სწორის თითქმის ნახევარს!

**- იქნებ მართლა აქვს აზრი რეკორდების ნულიდან ათვლას?**

- ვილაცები იკითხავენ: "კი მაგრამ რატომ? ჩემი რეკორდი სუფთაა!"

**- ალბათ, ყველანი ასე იტყვიან.**

- არა, ისინი, ვინც უკვე გამოიჭირეს, ხმას ვერ ამოიღებენ. საერთოდ, ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც სასამართლო გამოძიების დროს - მხარეების დაკითხვითა და დაპირისპირებით, მტკიცებულებებით... მხოლოდ ასე გაირკვევა სიმართლე.

**- ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ დოპინგი, რომელსაც ათლეტები 20 წლის წინ იღებდნენ, მართლაც სახიფათო იყო ჯანმრთელობისთვის. დღეს კი, როცა მედიცინა განვითარდა, მასტიმულირებელი მედიკამენტები აღარ არ არის სიცოცხლისთვის საშიში. რას ფიქრობთ ამის შესახებ?**

- ყველაფერი პირიქითაა. ზოგიერთი დღევანდელი საშუალება უფრო სახიფათოა. მაგალითად, ეპო ანუ ერითროპოიეტინი. ის სისხლის შედედებას იწვევს. ამან კი, შესაძლოა, ინფარქტი ან ტრომბოზი გამოიწვიოს. 90-იანი წლების დასაწყისში ათეულობით შემთხვევა დაფიქსირდა იმ ადამიანებში, რომლებზეც ეს პრეპარატი გამოცადეს.

2000 წლის შემდეგ, შემოიღეს ტესტი ეპო-ზე. ის არც ისე ეფექტური იყო, მაგრამ მაინც აშინებდა სპორტსმენებს და ისინი ერიდებოდნენ მის მიღებას. შემდეგ დაიწყეს საკუთარი სისხლის გადასხმით ეპო-ს კომბინირება. და კვლავ დაფიქსირდა რამდენიმე სასიკვდილო შემთხვევა. დაახლოებით ოთხი წლის წინ, გერმანიაში ერთ-ერთი ველორბოლის დროს, ახალგაზრდა ფრანგს იმდენად შედედებული სისხლი აღმოაჩნდა, რომ მან ინფარქტი მიიღო და გარდაიცვალა. არადა, მანამდე ის აბსოლუტურად ჯანმრთელი ადამიანი იყო.

მსოფლიო ამის შესახებ დუმს. ასეთ რამეებზე არ უყვართ საუბარი. მე კი, როგორც მეცნიერი ვაცხადებ: ეს კრიმინალია! მხოლოდ ასეთი ხმამაღალი განცხადებებით თუ გადავარჩენთ ადამიანებს.

ჩვენ უკვე ვსაუბრობდით ზრდის ჰორმონებზე. ცნობილია, რომ ის აკრომეგალიას იწვევს - ანუ ზრდის ქსოვილის რაოდენობას ზოგიერთ, შეიძლება ითქვას, უჩვეულო ადგილებში. შედეგად, იზრდება სიმსივნის წარმოქმნის საშიშროება. სპორტსმენებს არაბუნებრივად ეზრდებათ თითები, ცხვირი, უყალიბდებათ პათოლოგიური ყბები. საკმაოდ ხშირად, ზედა და ქვედა ყბები არ ემთხვევა ერთმანეთს. ჩემი ამერიკელი კოლეგები მწარედ იღიმიან, როცა შესარჩევ ტურნირებზე და ოლიმპიადებზეც კი, ხედავენ 25 წლის ადამიანებს, რომლებსაც კბილების საკორექციო მავთულები უკეთიათ, ისეთები, ბავშვები რომ ატარებენ. 25 წლის ასაკში კბილების კორექცია უკვე დაგვიანებულია. ასეთი შემთხვევები ძალიან ბევრია. განსაკუთრებით ცურვაში. ყველაფერთან ერთად, ეს ჰორმონები გულის მასას ზრდის, რამაც შეიძლება დამღუპველი შედეგები იქონიოს.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ დოპინგის ბევრი სახეობის გამოყენებისგან ნეგატიური გამოვლინებები მისი მიღებისთანავე კი არ ჩნდება, არამედ გაცილებით გვიან, 10-15 წლის შემდეგ.

### როცა დოპინგი თვალებიდანაც გადმოდის

**- ძალოსნობაზე გადავიდეთ... ბოლო დროს, სპორტის ამ სახეობისადმი ინტერესი მკვეთრად დაეცა. არ გეჩვენებათ, რომ დოპინგთან ბრძოლა დიდ ზიანს აყენებს ძალოსნობას?**

- ბოლო 30 წლის განმავლობაში, ძალოსნობა მთლიანად კრიმინალური სახეობა იყო. მის გარშემო არსებობდა დოპინგით ვაჭრობის არალეგალური ბაზრები, რომლებიც ბოდიბილდინგსაც უკავშირდებოდა. როგორც ცნობილია, ბოდიბილდინგის სულიერი მამაა კალიფორნიის ამჟამინდელი გუბერნატორი არნოლდ შვარცენეგერი. ის თავად იღებდა დოპინგს.

არსებობდნენ ნაკრებები, მათ შორის რუსეთის, რომელთა რიგებში დოპინგის მიღების იმდენი შემთხვევა დაფიქსირდა, რომ აუცილებელი იყო მათი დისკვალიფიკაცია. მაგრამ არსებობდა უჩვეულო წესი, რომლის მიხედვითაც, ძალოსნებს 50 ათასი დოლარის საფასურად შეეძლოთ, ასე ვთქვათ, საკუთარი თავი გამოესყიდათ და კვლავ გასულიყვნენ სტარტზე.

საერთოდ, ძალოსნობა ისეთი სახით, როგორითაც დღეს არსებობს, უნდა აიკრძალოს. შემდეგ კი, ყველაფერი თავიდან დაიწყოს, მაგრამ ექსტრემალური, ყველაზე ზუსტი კონტროლით. ნურავინ შეეცდება ჩემს დარწმუნებას, რომ ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა თურქეთი, ბულგარეთი, სომხეთი, ყაზახეთი, სერიოზული კონტროლი არსებობს. ძალოსნობაში ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე დოპინგის მიღების 7-8 შემთხვევა დაფიქსირდა. თანაც, ისეთი ქვეყნების შემთხვევებში, როგორიც ირანი და ეგვიპტეა... ანაბოლიკები, შეიძლება ითქვას, მათი თვალებიდან ილვრებოდა. და ეს ყველა იმ ადამიანის შეურაცხყოფაა, ვისაც სპორტი უყვარს.

**- როგორ უნდა ვებრძოლოთ ამ ბოროტებას?**

- მონდომებისა და სურვილის შემთხვევაში, ყველაფერი ძალიან იოლი იქნება. ძალოსნობის ყველა ფუნქციონერი თავიდან უნდა მოვიშოროთ - მათ კრიმინალური გარემო შექმნეს. ისევე როგორც ველოსპორტში, სადაც ჩინოვნიკები მხოლოდ იმაზე ზრუნავდნენ, რომ არაფერი არ ამოტივტივებულიყო. საჭიროა დიდი პასუხისმგებლობის მქონე ახალ ადამიანებთან ერთად ყველაფერი თავიდან დავიწყოთ. და ამასთან ერთად, საჭიროა პატიოსანი, სუფთა და დაწვრილებითი კონტროლის მეთოდები.

**- როგორ მივაღწიოთ ამას?**

- ყოველ სპორტსმენზე უნდა შევქმნათ ბარათი, რეგულარულად, ამასთან მოულოდნელად, უნდა შევამოწმოთ მისი ანალიზები. და დავაკვირდეთ, როგორ იცვლება წლის განმავლობაში ამ ანალიზის შედეგები: რა არის ახალი, რა გაუგებარი და არანორმალური. მაშინ გამოჩნდება - სუფთაა სპორტსმენი თუ არა. ველოსპორტში ასეთი რამ ერთხელ უკვე დანერგეს. მაგალითად, უკრაინელი სერგეი გონჩარი T-Mobile-დან გააგდეს. ის დოპინგკონტროლზე კი არ გამოიჭირეს, არამედ მონიტორინგი ჩაატარეს, ანუ მას დიდი პერიოდის განმავლობაში აკვირდებოდნენ. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ მსგავსი მეთოდი ეფექტურია. მაგრამ ჯერ არავის სურს მისი გამოყენება.

**- დღეს ხშირად მოჰყავთ ციტატა არნოლდ შვარცენეგერის გამოსვლიდან, სადაც ის სტეროიდების მიღებისას, საკუთარი არჩევანის თავისუფლებაზე საუბრობა: "მე არ ვნანობ ამას, რადგან იმ დროს, ეს რაღაც ახალი იყო ბაზარზე. ჩვენ მივდიოდით ექიმთან და მისი მეთვალყურეობის ქვეშ ვიღებდით ამ პრეპარატებს. სწორედ მათი დახმარებით მივაღწიე იმას, რაზეც ვოცნებობდი". რა კომენტარს გაუკეთებდით ამ სიტყვებს?**

- თუ მან მართლა ასეთი რამ თქვა, გამოდის, რომ კრიმინალთან გვაქვს საქმე, ვინაიდან ექიმი ამით ამერიკულ კანონებს არღვევდა. თუ შვარცენეგერი ასეთ ექიმებს იცავს და არ ასახელებს მათ გვარებს, ის არ შეიძლება გუბერნატორი იყოს, რადგან კრიმინალში ყოფილა გარეული.

### ბენგობორსკის შემთხვევა

**- ამ ბოლო დროს, დოპინგზე ძალიან ხშირად იჭერენ რუს სპორტსმენებს.. რაშია საქმე, იქაური დოპინგ-კონტროლი არ მუშაობს?**

- რუსული დოპინგკონტროლი ხუმრობაა და მეტი არაფერი. საერთაშორისო შეჯიბრებებში მათ სულ უფრო ხშირად იჭერენ. თუმცა ასეთ ტურნირებზე, პრინციპში ორგანიზმში არაფერი არ უნდა რჩებოდეს - დოპინგს უშუალოდ სტარტის წინ არავინ იღებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სპორტსმენები იმდენად არიან გაჟღენთილი, რომ ორგანიზმში რაღაც მაინც დარჩა. და არავის სჯერა, რომ რუსი კონტროლიორი მოსკოვში თვითმფრინავში ჯდება და მაგალითად ირკუტსკში მიფრინავს, რათა იქ შეკრებაზე მყოფი სპორტსმენები შეამოწმოს. თუმცა ვალდებულია ეს გააკეთოს, თუ სურს, რომ ის მსოფლიოში სერიოზულ სპეციალისტად აღიქვან.

სხვათა შორის, 90-იანი წლების დასაწყისში საინტერესო შემთხვევა მოხდა ნორვეგიაში. ამ პატარა ქვეყანაში უცებ ბირთვის კვრაში სამი კარგი მძლეოსანი გამოჩნდა, რომლებიც 20 მეტრზე შორს ისროდნენ ბირთვს. გაზაფხულზე ნორვეგიაში ცივა და ისინი, ჩვეულებრივ ტექსასში ვარჯიშობდნენ. საერთოდ, ნორვეგიელი კონტროლიორები ძლიერ სპეციალისტებად ითვლებიან. ისინი ჩაფრინდნენ ამერიკაში და გააკეთეს თავიანთი საქმე - სამივე მძლეოსანი სუფთა იყო. მაგრამ ერთხელ, კონტროლიორები ამერიკაში არა ოსლოდან, როგორც ამას ჩვეულებრივ აკეთებდნენ, არამედ სტოკჰოლმიდან გაფრინდნენ. და მაშინვე სამივე ბირთვის მკვრელი დოპინგზე ჩავარდა. რატომ? მათ საკუთარი კაცი ჰყავდათ ოსლოს სატრანსპორტო ბიუროში და როცა მგზავრების სიაში კონტროლიორთა გვარები ჩნდებოდა, ისინი მაშინვე ატყობინებდნენ სპორტსმენებს. მძლეოსნები მეზობელ შტატში მიემგზავრებოდნენ, ხოლო როცა რამდენიმე დღის შემდეგ ბრუნდებოდნენ, უკვე სუფთები იყვნენ.

რომ იცოდეთ, მსოფლიოში საუკეთესო კონტროლიორი გერმანელი ბენგობორსკია. დღეს ის პენსიაშია. ერთხელ, მან დორტმუნდის "ვესტფალენჰალეში" კონტროლის ჩატარება გადაწყვიტა. იქ ბერძნები ვარჯიშობდნენ, მათ შორის სკანდალურად ცნობილი სპრინტერი კოსტას კენტერისი. ბერძნები საშინლად ანერვიულდნენ და იმდენად აგრესიულები იყვნენ, რომ მათი მწვრთნელი კონტროლიორს თავს დაესხა. და მაშინვე, მთელი ბერძნული გუნდი ათენში გაფ-

გაგრძელება მე-16 გვერდზე



მარიტა კოხი

ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი

# იამაიკელი ბობსლეისტები, მოტივაციის წყარო

ინგლისური სპორტისთვის ეს უქმეები მეტად მნიშვნელოვანია - საფრანგეთში, ქვეყნის მორაგბეთა ნაკრები მსოფლიო თასის შესანარჩუნებლად სამხრეთაფრიკელებს შეხვდება, ბრაზილიაში კი, სან პაულუს ინტერლაგოსის ტრასაზე, ბრიტანელ **ლუის ჰემილტონს** მსოფლიო ჩემპიონის წოდების მორაგბეებს რეალური შანსი ექნება.

თუ ჰემილტონი ლიდერობას შეინარჩუნებს და თავის სადებიუტო სეზონს ჩემპიონის რანგში დაასრულებს, ბოლო 11 სეზონში ის დიდი პრიზების პირველი ბრიტანელი ჩემპიონი გახდება. უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ის ფორმულა ერთის ისტორიაში, პირველი ახალბედა ჩემპიონი იქნება.

გადამწყვეტი რბოლის წინ, ჰემილტონმა განაცხადა, რომ ინგლისის მორაგბეთა ნაკრების მხურვალე გულშემატკივარია. ამასთან, ინგლისელ მორაგბეებს ურჩია, ნახონ 1988 წლის ოლიმპიადაზე იამაიკელ ბობსლეისტთა გამოსვლის ამსახველი ფილმი, რომელმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

*"ძალიან, ძალიან მინდა, რომ ჩვენმა ნაკრებმა თასი შეინარჩუნოს. ფრანგებთან შეხვედრას დავესწარი და თამაშის დაწყებამდეც დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვიგებდით. უფრო მეტიც, მეგობრებს დავენაძლევე, რომ მოვიგებდით. ბევრს არ სჯეროდა ამის"*, - ჰყვება ჰემილტონი, ვინც ბრაზილიური რბოლის წინ, ოთხ ქულას უგებს ესპანელ თანაგუნდელ **ფერნანდო ალონსოს** და შვიდ ქულას - ფინელ **კიმი რაიკონენს**.

*"გავიგე, რომ ფინალის წინ, მათ იამაიკელ ბობსლეისტებზე ფილმის ნახვა განუზრახავთ. გარწმუნებთ, იმავეს მეც ვაპირებ. ძალიან რთული საქმე გვაქვს გასაკეთებელი და ორმაგად ვიამაყებ, თუ მეც და ნაკრებიც წარმატებას მივაღწევთ"*, - დასძენს ფორმულა ერთის პირველი შავკანიანი პილოტი, ვისი ბაბუაც (მამის მხრიდან) ოდესღაც კარიბის ზღვის აუზის კუნძულოვან ქვეყანა გრენადიდან გადასახლებულა ბრიტანეთში.



ლუის ჰემილტონი

რაც შეეხება ფილმს იამაიკელთა ზამთრის ოლიმპიადაზე გამოსვლის შესახებ, ის 1993 წელს არის გადაღებული და მასში მოთხრობილია, თუ როგორ მოხვდა კარიბის ზღვის აუზში მდებარე კუნძულოვანი იამაიკის (სადაც არასოდეს მოსულა თოვლი) გუნდი კალგარის ზამთრის ოლიმპიადაზე.

შედარებისთვის, სამხრეთ აფრიკასთან ჯგუფურ ეტაპზე 0:36 წაგების შემდეგ, ვერავინ იტყოდა, რომ ინგლისელები ფინალში ითამაშებდნენ. და ვერც ფორმულა ერთის სეზონის დასაწყისში იტყოდა ვინმე, რომ ბოლო ეტაპის წინ, ჩემპიონატის ლიდერი ახალბედა შავკანიანი პილოტი იქნებოდა. ამ მხრივ, ეს სამი ისტორია ერთმანეთს ჰგავს. და ჰემილტონი იმედოვნებს, რომ როგორც იამაიკელმა ბობსლედერებმა გაუცრუეს სკეპტიკოსებს პროგნოზი, იმავეს მოახერხებენ თავადაც და ინგლისელი მორაგბეეებიც.



ეროვნული ბიბლიოთეკა

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ტამპა ბეი 4:1**

2:0, 0:1, 2:0

გოლები: 1:0 შეფერი-1 (ფერენსი-1), 2:0 შტურმი-2 (ფერენსი-2, პ. ბერჟერონი-3), 2:1 ბ. რიჩარდსი-3 (ლუნდინი-1), 3:1 მ. სტიუარტი-1 (სავარი-7, კობესიუ-1), 4:1 შტურმი-3 (პ. ბერჟერონი-4, გ. მიურეი-3).

**ფილადელფია-ნიუ ჯერსი 4:0**

0:0, 3:0, 1:0

გოლები: 1:0 მ. რიჩარდსი-4 (ბრიერი-5, ნუბლი-3), 2:0 ს. კაპანენი-3, 3:0 დაუდი-1 (რ. ჯონსი-5), 4:0 ლუპული-2 (მ. რიჩარდსი-4).

**ვაშინგტონი-აილენდერსი 2:5**

0:1, 0:1, 2:3

გოლები: 0:1 ბერგენჰაიმი-1 (შატანი-2, ვაშიჩეკი-1), 0:2 გერინი-1 (კამპოლი-1, ბერარი-1), 1:2 ოვეჩკინი-4 (მოტცკო-1), 2:2 ფლიშმანი-1 (ბექსტრიომი-4, პოტიე-2), 2:3 ბერარი-2 (კამპოლი-2, შატანი-3), 2:4 გერინი-2 (კამპოლი-3, ბერარი-2), 2:5 გერინი-3 (კომრი-4, კამპოლი-4).

**ატლანტა-რეინჯერსი 5:3**

2:0, 1:0: 2:3

გოლები: 1:0 დუპუი-1 (ლარსენი-1, ჰოლიკი-2), 2:0 ვიაჩ. კოზლოვი-2 (მარიან ჰოსა-1, ენსტრიომი-2), 3:0 უაიტი-1 (პერენი-1), 4:0 ლიტლი-2 (ჰაიდარი-2, ექსელბი-1), 4:1 ჟირარდი-1 (იაგრი-6, დრური-4), 5:1 მარიან ჰოსა-2 (უაიტი-3, კოვალჩუკი-2), 5:2 შენეჰანი-1 (იაგრი-7, როჟსივალი-1), 5:3 გომესი-2 (დრური-5, როჟსივალი-2).

**ტორონტო-ფლორიდა 3:2**

0:2, 2:0, 1:0

გოლები: 0:1 ოლეში-2 (უეისი-5, ჰორტონი-2), 0:2 ბუტი-1 (ბოუმისტერი-1, ჰორტონი-3), 1:2 ჯ. ბლეიკი-2 (სუნდინი-8, პონიკაროვსკი-1), 2:2 მაკეიბი-2 (ანტროპოვი-5, სუნდინი-9), 3:2 ანტროპოვი-6 (კუბინა-5, ტ. კაბერლე-2).

**ოტავა-მონრეალი 4:3**

1:1, 2:1, 1:1

გოლები: 1:0 რედენი-2 (ალფრედსონი-5, კორვო-2), 1:1 ლატენდრესი-1 (კოსტოპულოსი-1, პლეკანეცი-2), 2:1 ფოლინო-1 (ფიშერი-3, რედენი-4), 3:1 ჰიტლი-7 (ალფრედსონი-6), 3:2 რაიდერი-1 (ჰიგინსი-3, ს. კიოვუ-4), 3:3 კოვალიოვი-3 (ბრისბუა-2, პლეკანეცი-3), 4:3 სპეცა-1 (ალფრედსონი-7).

**კალგარი-ლოს ანჯელესი 4:3**

1:2, 3:0, 0:1

გოლები: 0:1 კამალერი-7 (კოპიტარი-6, ვიშნოვსკი-4), 0:2 დ. ბრაუნი-3 (კოპიტარი-7), 1:2 ჰუსელიუსი-5 (ტანგეი-6, ლენგკოუ-3), 2:2 ლენგკოუ-6 (რეგერი-1, მოსი-2), 3:2 კონროი-2 (იგინლა-5, რეგერი-2), 4:2 ლენგკოუ-7 (ჰუსელიუსი-2, იგინლა-6), 4:3 კოპიტარი-4 (ფროლოვი-6, ვიშნოვსკი-5).

**ფინიქსი-ედმონტონი 2:4**

0:1, 1:1, 1:2

გოლები: 0:1 ტორესი-2 (ჰემსკი-4, სტაიოსი-1), 1:1 მიულერი-1 (კარჩილო-2, ნ. კაპანენი-3), 1:2 ბროძიაკი-2 (ტარნსტრიომი-1, რისონერი-3). 2:2 ზიგომანისი-1 (ტიარნკვისტი-1, სიოსტრიომი-1), 2:3 ტორესი-3 (ჰემსკი-5, კოლიანო-4), 2:4 ჰორკოფი-2 (ბროძიაკი-3, ტარნსტრიომი-2).

**სან ხოსე-დეტროიტი 2:4**

1:0, 1:2, 0:2

გოლები: 1:0 გრირი-1 (ვლასიჩი-2, მაკლარენი-2), 1:1 კრონვალი-1, 1:2 ზეტერბერგი-6 (რაფალსკი-4, ოსგუდი-1), 2:2 ჩიჩუ-2 (მ. კარლი-3, ქლოუ-2), 2:3 ელისი-1 (რაფალსკი-5), 2:4 დიციუკი-2 (ზეტერბერგი-9, რაფალსკი-6).

## TV სპორტი

### 20 ოქტომბერი. შაბათი

**იმედი**

13:00 იმედის ფსონი.

**I არხი**

15:05 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. 19-წლამდელები. შესარჩევი მატჩი. საქართველო-ნორვეგია (LIVE).
21:50 რაგბი. მსოფლიო თასი. ფინალი. ინგლისი-ს. აფრიკა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

11:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფეხბურთო კლუბი.
13:10 გერმანიის ჩემპიონატი. კოტბუსი-დუისბურგი.
14:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:40 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ლივერპული (LIVE).
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. მიდლსბრო-ჩელსი (LIVE).
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:10 ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნ (LIVE).
22:10 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბოლტონი.
23:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:10 გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ჰერტა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:37 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
09:01 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:12 ცურვა. მსოფლიო თასი. ფინალები. სამხრეთ აფრიკა.
11:43 ფეხბურთი. MLS. აშშ-ის ჩემპიონატი. ლოს ანჯელესი-ნიუ იორკი.
13:30 სპორტის სამყარო.
14:00 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჩეხეთი.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
15:29 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ლივერპული (LIVE).
18:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბოლტონი (LIVE).
20:02 ფეხბურთი. Barca TV.
20:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნ (LIVE).
22:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რეჯინა-ინტერი (LIVE).
00:26 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პალმეირასი-პარანა (LIVE).
02:22 სპორტის სამყარო.
03:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-პიტსბურგი (LIVE).
05:37 სპორტდოსიე. მთის ველოსიპედი.
06:04 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჩეხეთი.

**EUROSPORT**

09:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მალაიზიის გრან პრი. კვალიფიკაცია (LIVE).
11:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
12:15 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. 1/4 ფინალი. აბერდინი. შოტლანდია.
14:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ციურიხი. შვეიცარია.
15:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ციურიხი. შვეიცარია (LIVE).
17:15 ველოსპორტი. პრო ტური. ლომბარდიის ტური (LIVE).
19:00 ხელბურთი. სუპერთასი. მამაკაცები. 1/2 ფინალი. სელიე (სლოვენია)-მაგდებურგი (გერმანია) (LIVE).
20:30 მულტისპორტი.
21:00 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. 1/2 ფინალი. აბერდინი. შოტლანდია (LIVE).
00:00 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. 1/2 ფინალი. აბერდინი. შოტლანდია.
01:30 პროფესიული კრივი. WBC. მჩატე წონა. ჯ. ვიტერი (ბრიტანეთი)-ვ. ჰარისი (განა). ბრიტანეთი.
02:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მალაიზიის გრან პრი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 მულტისპორტი.
12:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
13:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. გერმანია-ჩეხეთი.
13:45 ახალი ამბები.
14:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მალაიზიის გრან პრი. კვალიფიკაცია.
16:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
17:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ციურიხი. შვეიცარია (LIVE).
19:00 ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია.
20:00 ექსტრემალური სპორტი.
21:00 ხელბურთი. სუპერთასი. მამაკაცები. 1/2 ფინალი. კილი (გერმანია)-ჰამბურგი (გერმანია) (LIVE).
22:30 ექსტრემალური სპორტი.
23:30 კიკბოქსინგი. საფრანგეთი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ხელბურთი. სუპერთასი. მამაკაცები. 1/2 ფინალი. კილი (გერმანია)-ჰამბურგი (გერმანია).
02:15 ახალი ამბები.

### 21 ოქტომბერი. კვირა

**I არხი**

15:45 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი.

**რუსთავი 2**

18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

10:15 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ლივერპული.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ესპანეთის ჩემპიონატი.
14:05 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მონაკო.
15:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:05 ტოქ-შოუ - 2:1.
16:50 გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ჰერტა.
18:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-სანდერლენდი.
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი.
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-სარაგოსა (LIVE).
00:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:10 არგენტინის ჩემპიონატი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:02 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
07:31 ფეხბურთი. MLS. აშშ-ის ჩემპიონატი. ლოს ანჯელესი-ნიუ იორკი.
09:19 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
09:46 ფეხბურთი. Barca TV.
09:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-შტუტგარტი.
11:42 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
13:31 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
14:00 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო. სერია A-ს ჟურნალი.
14:29 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:00 ფრენბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. ლოკომოტივი-ზაკარპატია (LIVE).
17:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ემპოლი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-სანდერლენდი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
21:29 სპორტის სამყარო.
22:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ნაუტიკო-კორინთიანსი (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
02:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
02:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
02:53 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-შტუტგარტი.
04:42 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
05:11 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.

**EUROSPORT**

07:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მალაიზიის გრან პრი. 125 cc. (LIVE).
09:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მალაიზიის გრან პრი. 250 cc. (LIVE).
10:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მალაიზიის გრან პრი. მოტოგრან-პრი. (LIVE).
12:00 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. 1/2 ფინალი. აბერდინი. შოტლანდია.
13:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მალაიზიის გრან პრი. 250 cc.
14:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მალაიზიის გრან პრი. მოტოგრან-პრი.
15:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ციურიხი. შვეიცარია (LIVE).
17:30 ხელბურთი. სუპერთასი. მამაკაცები. ფინალი. სლოვენია (LIVE).
19:00 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. ფინალი. აბერდინი. შოტლანდია (LIVE).
20:30 სუმო.
22:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
23:00 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. ფინალი. აბერდინი. შოტლანდია (LIVE).
02:00 ხელბურთი. სუპერთასი. მამაკაცები. ფინალი. სლოვენია.
03:00 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

07:30 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. ავსტრალია (LIVE).
09:30 ახალი ამბები.
12:00 ხელბურთი. სუპერთასი. მამაკაცები. 1/2 ფინალი. სელიე (სლოვენია)-მაგდებურგი (გერმანია).
13:00 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. ავსტრალია.
14:00 ახალი ამბები.
14:30 ხელბურთი. სუპერთასი. მამაკაცები. 1/2 ფინალი. სელიე (სლოვენია)-მაგდებურგი (გერმანია).
15:30 ხელბურთი. სუპერთასი. მამაკაცები. მე-3 ადგილისთვის. სლოვენია (LIVE).
17:00 სუპერმოტო. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. საბერძნეთი (LIVE).
18:45 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. ავსტრალია.
19:45 ხელბურთი. სუპერთასი. მამაკაცები. ფინალი. სლოვენია.
20:45 კალათბურთი.
22:15 ახალი ამბები.
22:30 ექსტრემალური სპორტი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. ავსტრალია.
02:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა** | |
| აკრინგტონი-მაკლსფილდი | 3:2 |
| **გერმანია** | |
| კოტბუსი-დუისბურგი | 1:2 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ჰოფენჰაიმი-კაიზერი | 1:0 |
| ოფენბახი-კობლენცი | 1:1 |
| ოსნაბრიუკი-ალემანია | 2:2 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ვუპერტალი-ვერდერი A | 0:2 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| რეგენსბურგი-ოგერსჰაიმი | 0:0 |
| ზიგენი-კარლსრუე A | 1:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბასტია-ბულონი | 4:0 |
| ბრესტი-აიაჩო | 0:1 |
| შატორუ-სედანი | 1:1 |
| კლერმონი-ანჟერსი | 2:0 |
| გრენობლი-გინგამი | 0:0 |
| გენიონი-დიჟონი | 4:0 |
| ლიბურნი-ნიორი | 0:2 |
| რეიმსი-მონპელიე | 2:1 |
| ნანტი-ტრუა | 2:0 |
| **ჰოლანდია** | |
| გრააფსხაპი-სპარტა | 4:0 |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდოორნი-ეინდჰოვენი II | 2:0 |
| დენ ჰააგი-ფორტუნა | 3:0 |
| ემენი-ცვოლე | 0:1 |
| დორდრეხტი-ვოლენდამი | 1:1 |
| იგლზი-ომნივორლდი | 1:0 |
| ჰელმონდი-კამბური | 1:1 |
| მაასტრიხტი-ჰაარლემი | 2:0 |
| ვაალვეიკი-ვეენდამი | 5:2 |
| ტელსტარი-დენ ბოში | 0:1 |
| ტოპ ოსი-როსენდალი | 3:3 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| შვადორფი-პარნდორფი | 1:2 |
| ლუსტენაუ-ლეობენი | 2:1 |
| გრატკორნი-ავსტრია (ლ) | 3:1 |
| კაპფენბერგი-ავსტრია II | 1:1 |
| შვანენშტადტი-ზალცბურგი II | 4:2 |
| **ირლანდია** | |
| ბრეი-გალვეი | 1:1 |
| დერი-ბოჰემიანსი | 1:2 |
| სტ. პატსი-შემროკი | 5:0 |
| დუბლინი-ლონგფორდი | 0:1 |
| დროგედა-კორკი | 2:1 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-პლზენი | 3:0 |
| **უკრაინა** | |
| მეტალურგი (დ)-ვორსკლა | 0:0 |
| **პოლონეთი** | |
| ლეგია-ოდრა | 0:1 |
| იაგიელონია-ზაგლები | 0:0 |
| რუხი-ბელხატოვი | 1:1 |
| სოსნოვეცი-კორონა | 2:3 |
| გროცლინი-ლეხი | 1:0 |
| **სლოვენია** | |
| პუბლიკუმი-გორიცა | 0:2 |
| **უნგრეთი** | |
| დიოშდიორი-ფეჰერვარი | 2:0 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-გრაველინი | 90:69 |
| ჰავრი-ორლეანი | 71:61 |
| კლერმონი-შალონი | 63:54 |
| ნანსი-სტრასბური | 69:63 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **რუსეთი** | |
| ცსკა-მვდ | 3:1 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-ნიურნბერგი | 2:4 |
| ჰამბურგი-დიუსელდორფი | 1:1 |
| ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 4:1 |
| კიოლნი-აუგსბურგი | 2:2 |
| მანჰაიმი-იზერლონი | 3:5 |
| ფრანკფურტი-ინგოლშტადტი | 3:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-ზვოლენი | 2:2 |
| კოშიცე-სკალიცა | 5:0 |
| მიკულაში-ტრენჩინი | 3:3 |
| პოპრადი-მარტინი | 1:0 |
| სლოვანი-კეჟმაროკი | 3:1 |
| **ფინეთი** | |
| კაიპა-იევიასკიულა | 1:8 |
| ლუკო-ესეტი | 5:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ბუდეიოვიცე-კარლოვი ვარი | 5:5 |
| ზნოიმო-ტრშინეცი | 1:4 |
| კლადნო-პარდუბიცე | 2:2 |
| სლავია-ვიტკოვიცე | 7:0 |
| სპარტა-პლზენი | 1:3 |
| ლიბერეცი-ჟლინი | 5:3 |
| **შვეიცარია** | |
| დავოსი-ლანგნაუ | 1:0 |
| ჟენევა-ბაზელი | 4:2 |
| კლოტენი-ციურიხი | 2:5 |
| ლუგანო-ბერნი | 0:5 |
| ფრიბურგი-რაპერსვილი | 4:2 |
| ცუგი-ამბრი | 6:2 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. მადრიდი** | |
| ჯოკოვიჩი-ანჩიჩი | 7:6, 6:2 |
| ნადალი-ნალბანდიანი | 1:6, 2:6 |
| ფედერერი-ფ. ლოპესი | 7:6, 6:4 |
| გონსალესი-კიფერი | |
| **WTA. ციურიხი** | |
| ვაიდიშოვა-ა. ბონდარენკო | 6:1, 6:4 |
| კუზნეცოვა-სკიავონე | 3:6, 3:6 |
| ანენი-ა. რადვანსკა | 6:4, 6:2 |
| გოლოვინი-ბამერი | 7:5, 6:0 |

მე-14 გვერდიდან

რინდა. და როგორ დასრულდა საბოლოოდ ყველაფერი? ბენგობორსკის საერთოდ აუკრძალეს კონტროლის ჩატარება. ასეთია მსოფლიო...

**- როდის არის დოპინგკონტროლი ყველაზე ეფექტური - უშუალოდ შეჯიბრების დროს თუ დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ?**

- ცერემონიის შემდეგ, შეიძლება უკვე გვიანი იყოს. მაგრამ თუ სინჯს ავიღებთ, შეიძლება იპოვნო ის დოპინგი, რომელიც მოქმედებს უშუალოდ მოცემულ მომენტში და მოცემულ ადგილზე. საქმე ეხება ალმგზნებად საშუალებებს - ამფეტამინებს. არსებობს კიდევ რუსული საიდუმლო პრეპარატი ფენოტროპილი, რომელსაც მეორენაირად კარფედონს უწოდებენ. თუ გახსოვთ, ტურინის ოლიმპიადაზე სწორედ ეს აღმოუჩინეს ბიატლონისტ ოლგა პილიოვას. ეს პრეპარატი 80-იანი წლებიდან არის ცნობილი. ის გამოიყენებოდა სამხედრო-ტექნიკურ სფეროში და იწარმოებოდა კოსმოსური მედიცინის ინსტიტუტში. არანორმალურად ძლიერი პრეპარატია, მას აძლევდნენ საჰაერო ძალების ოფიცრებს, რათა ხანგრძლივი გადაფრენების დროს არ ჩასძინებოდათ. შემდეგ დღეებია საჭირო, რომ ეს პრეპარატი სხეულიდან გამოვიდეს. პილიოვას სწორედ მისი კვალი აღმოუჩინეს.

სხვათა შორის, ფენოტროპილი დღეს ნებისმიერ მოსკოვურ აფთიაქში იყიდება - ის ადრე იყო გასაიდუმლოებული.

## ბომბები 100 მეტრზე

**- როგორ ფიქრობთ, მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოში (WADA) დამოუკიდებელი ადამიანები მუშაობენ?**

- არა. იქ, ისევე როგორც ეროვნულ ანტისადოპინგო სააგენტოებში, სპორტიდან წამოსული ადამიანები მუშაობენ. და ისინი თავიანთ პოსტებზე, ძირითადად სპორტული სამყაროს წარმომადგენლების წყალობით მოხვდნენ. გამოდის, რომ ისინი ვიღაცაზე არიან დამოკიდებულნი. დამოუკიდებელნი არიან მხოლოდ ისინი, რომლებიც ფულს სხვა წყაროებიდან იღებენ. იმისთვის, რომ თანამშრომლები მართლაც დამოუკიდებელნი იყვნენ, უნდა აიყვანონ მეცნიერ-თანამშრომლები, რომლებსაც ფულს სპეციალური საერთაშორისო ფონდი გადაუხდის. მნიშვნელოვანია, რომ არ არსებობდეს პირდაპირი კავშირი იმათ შორის, ვინც ფულს იხდის და ვინც აკონტროლებს.

**- ბევრს მიაჩნია, რომ ყველაზე დიდ ტურნირებზე ბრძოლა მიდის არამარტო სპორტსმენებს, არამედ ექიმებს შორისაც. ეთანხმებით?**

- არა. აი მაგალითი. რუსმა იულია ნესტერენკომ ათენის ოლიმპიურ თამაშებზე 100-მეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვა. იქამდე ერთი წლით ადრე, რეგიონალურ შეჯიბრში ის დოპინგზე შეამოწმეს. ანალიზი ვარშავის ლაბორატორიაში ჩატარდა და. შედეგი პოზიტიური აღმოჩნდა. ნესტერენკო კლენბუტეროლს იღებდა. ეს ის პრეპარატია, რომელსაც მოკლე დისტანციებზე გერმანელი მორბენალი კატრინ კრაბე იყენებდა. ამ მედიკამენტს ბოდიბილდინგშიც ხმარობენ. ვითომც არაფერი მომხდარაო, ნესტერენკო არ დასაჯეს და ის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. თუმცა ვიმეორებ, ერთი წლით ადრე, ის დოპინგზე გამოიჭირეს.

კლენბუტეროლი ასთმის სამკურნალოდ გამოიყენება, ის გერმანიაში მზადდება. მაგრამ მას ბოროტად იყენებენ სხვა ქვეყნებში. სხვა სიტყვებით, დღეს ყველასთვის ყველაფერი ხელმისაწვდომია - დედამიწის ნებისმიერ წერტილში.



არნოლდ შვარცენეგერი

**- საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ამბობენ: დღეს პროფესიულ სპორტში დოპინგის გარეშე შედეგის მიღწევა გამორიცხულია...**

- მის გარეშე გაძლებაც შეიძლება. მაგრამ ამასთან, მაშინვე წარმოიშვება კითხვა: რამდენად წარმატებული იქნები? ზოგიერთ დისციპლინაში, სადაც განსაკუთრებულად რთული ტექნიკაა საჭირო, პერსპექტივები შედარებით უკეთესია. სხვაგან კი, სადაც ყველაფერი ძალაზეა დამოკიდებული, ბუნებრივია რთულადაა საქმე. გავიხსენოთ ახლო წარსულში ამერიკელი სპრინტერები - მერიონ ჯონსი, ჯიმ მონტგომერი, ჯასტინ გეტლინი. ისინი ნამდვილი დოპინგის ბომბები იყვნენ... ამბობენ, რომ 100 მეტრზე სირბილში ოლიმპიადის ფინალის მონაწილეთა შორის არ იყო არცერთი მორბენალი, რომელსაც ადრე დოპინგი არ ჰქონოდა მიღებული.

**- ყველაფერია, ალბათ, კონტროლზეა დამოკიდებული...**

- არამარტო. ეთიკაზეც.



ტურნირები

# ნადალი გავარდა



რაფაელ ნადალი

**მადრიდში** მიმდინარე მასტერსის სერიის ტურნირზე უკვე გამოვლინდა ორი ნახევარფინალისტი. დანარჩენი ორის ვინაობა კი ღამის შეხვედრებს უნდა გაერკვია. ტურნირს გამოეთიშა მსოფლიოს მეორე ჩოგანი, ესპანელი **რაფაელ ნადალი**. სამაგიეროდ, გავიდა გავიდა მსოფლიოს მესამე ჩოგანი, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**.

ციურიხში მიმდინარე პირველი კატეგორიის ტურნირის მეოთხედფინალური ბარიერი გადალახეს **ფრანჩესკა სკიავონემ**, ჩეხმა **ნიკოლ ვაიდიშოვამ** და მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ბელგიელმა **ჟუსტინ ანენმა**. ამ უკანასკნელმა იოლად აჯობა პოლონელ ამომავალ ვარსკვლავ **აგნიეშკა რადვანსკას**.

ნადალმა წინა დღეს, მესამე წრის შეხვედრაში, მეტად დაძაბულ პაექრობაში მოუგო ბრიტანელ **ენდი მარეის** და მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, სადაც მისი მეტოქე განუთესავი არგენტინელი **დავიდ ნალბანდიანი** იყო. მარეისთან შეხვედრით დაქანცულმა ნადალმა ვერაფერი დაუპირისპირა არგენტინელის აგრესიას და ბოლო სამ სეზონში ყველაზე მძიმე მარცხი იწვნია. ორ სეტში მან მხოლოდ სამი გეიმის აღება შეძლო.

ასე მწარედ ის 2004 წლის ლიონის ტურნირზე, ფრანგ **ჟულიან ბენეტიუსთან** წაგების შემდეგ არ დამარცხებულა. მაშინაც მან მხოლოდ სამი გეიმის მოგება შეძლო. რაც შეეხება მადრიდის ტურნირს, ნადალი მას ზედიზედ მეორედ გამოეთიშა მეოთხედფინალში. ნალბანდიანი კი, ვინც რეიტინგში მოწინავე ათეულიდან 25-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა, ამ სეზონში პირველად ითამაშებს ატპ-ს ტურნირის ნახევარფინალში.

*"ამ შეხვედრაში ყველაფერი კარგად გამომდიოდა. რაფას ყველა შეცდომას ვიყენებდი, ამან კი საქმე გამიადვილა. მართალია, მან ვერ შეძლო საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა, მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ მეც ძალიან კარგად ვითამაშე"*, - განაცხადა არგენტინელმა, ვისაც 2004 წელს მადრიდის მასტერსის ფინალში აქვს ნათამაშები.

მარეისგან განსხვავებით, ვინც ნადალთან შეხვედრის დასაწყისში, ხუთი ბრეიკ პოინტი ვერ გამოიყენა, არგენტინელმა თავისი მეტოქე მესამე გეიმშივე გატეხა. ამის შემდეგ, ის კიდევ უფრო უკეთ ათამაშდა, ნადალმა კი შეცდომებს უხშირა. შედეგად, ნალბანდიანმა კიდევ ორჯერ შეძლო მეტოქის სერვის-გეიმის მოგება და სეტი 6:1 დაასრულა.

მეორე სეტის დასაწყისშიც უკეთ არგენტინელი თამაშობდა, რომელმაც პირველი სამი გეიმი მოიგო და 3:0 დაწინაურდა. სხვათა შორის, ნადალმა ვინც მადრიდული მასტერსის ჩემპიონი 2005 წელს იყო, შეხვედრის პირველი გეიმის მოგების შემდეგ, ზედიზედ ცხრა დათმო. არგენტინელი მას დიაგონალური დარტყმებით ღლიდა, ხაგრძლივ გათამაშებათა ბოლოს კი ესპანელი შეცდომას ხშირად უშვებდა.

მეორე სეტში ნადალმა გაბრძოლება სცადა, მაგრამ მეტოქის მოწოდებაზე ქულის აღება ვერ შეძლო. ეგაა, საკუთარ მოწოდებაზე ქულებს აღარ ანიავებდა, რაც უფრო იმის გამო ხდებოდა, რომ ნალბანდიანმა აგრესიას უკლო.

ნადალის დამარცხებამდე, ჯოკოვიჩმა დაძაბულ პაექრობაში აჯობა ხორვატ **მარიო ანჩიჩს**, ვისაც წინა სამ ეტაპზე სეტიც კი არ ჰქონდა წაგებული. სერბმა პირველი სეტი ტაიბრეიკის მოგებით აიღო, მეორეში კი გაცილებით ადვილად გაუსწორდა მეტოქეს, ვისაც ორჯერ აჯობა მისსავე მოწოდებაზე. ის ნახევარფინალში ნალბანდიანს დაუპირისპირდება.

შეხვედრის დასაწყისში ანჩიჩი უკეთ თამაშობდა. მას საწყის გეიმში სამი ბრეიკ პოინტი ჰქონდა, მაგრამ ჯოკოვიჩმა ყველა მოიგერია. აღსანიშნავია, რომ ანჩიჩს ამ სეზონში 6 თვე ავადმყოფობისა და ტრავმების გამო გაუცდა. თუმცა მადრიდული ტურნირის დასაწყისში, იოლად გაუსწორდა ამერიკელ **ჯეიმს ბლეიკს**.

ჟუსტინი კი კვლავ მოწოდების სიმაღლეზეა, ციურიხის ტურნირი მისთვის ამ სეზონში მეცამეტეა და ყველა მათგანზე მან ნახევარფინალს მიაღწია. მას უკვე ამ სეზონში რვა ტურნირი აქვს მოგებული და ზედიზედ 17 თამაში არ წაუგია. ბელგიელმა პოლონელის მეორე სერვის გეიმზე ბრეიკი აიღო, მაგრამ რადვანსკამ ბრეიკითვე უპასუხა და ანგარიში გაათანაბრა - 3:3. მაგრამ მეშვიდე გეიმში ჟუსტინმა კვლავ აიღო მეტოქის მოწოდება და ისევ დაწინაურდა. აქედან მოყოლებული კი, მისი უპირატესობა აშკარა იყო. ბელგიელმა ზედიზედ ხუთი გეიმის მოგებით, მეორე სეტის დასაწყისშივე პრაქტიკულად მოითავა საქმე.

მეოთხედფინალში ჩარჩა რუსი **სვეტლანა კუზნეცოვა**, ვინც ტრავმის გამო ვერ შეძლო იტალიელ **ფრანჩესკა სკიავონესთან** შეხვედრის დასრულება. მოკლედ, ის რვიდან მეექვსე განთესილი მოთამაშეა, ვინც ტურნირს უკვე გამოეთიშა. რაც შეეხება ჟუსტინს, მისი მომდევნო მეტოქე ჩეხი **ნიკოლ ვაიდიშოვაა**, რომელმაც ორ სეტში მოუგო უკრაინელ **ალონა ბონდარენკოს**.

■ ■ ■

მართალია, მადრიდში არ თამაშობს, მაგრამ ამერიკელმა **ენდი როდიკმა** სწორედ ამ კვირაში გაინაღდა სეზონის დამამთავრებელ, შანხაის მასტერსის თასზე თამაშის უფლება. როდიკი მეხუთე ჩოგბურთელია, ვინც შანხაიში თამაშის უფლება მოიპოვა. მის გარდა, ჩინეთში ასევე ითამაშებენ: ფედერერი, ნადალი, ჯოკოვიჩი და რუსი **ნიკოლაი დავიდენკო**.

### ATP

**მადრიდის მასტერსი**

მადრიდი (ესპანეთი). მწვანე ხალიჩა

**საპრიზო ფონდი: 2 082 500 ევრო**

**მესამე წრე**

**რაფაელ ნადალი** (ესპ, 2)-ენდრიუ მარეი (ბრიტ) 7:6(5), 6:4; **ფელისიანო ლოპესი** (ესპ)-შტეფან კუბეკი (ავსტ) 7:6(9), 6:1

**მეოთხედფინალი**

**დავიდ ნალბანდიანი** (არგ)-რაფაელ ნადალი (ესპ, 2) 6:1, 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერბ, 3)-მარიო ანჩიჩი (ხორვ) 7:6(2), 6:2; **როჯერ ფედერერი** (შვეი, 1)- ფელისიანო ლოპესი (ესპ) 7:6, 6:4

### WTA

**ციურიხის ლიგა**

ციურიხი (შვეიცარია). ჭერქვეშა ჰარდი

**საპრიზო ფონდი: 1 340 000 დოლარი**

**მეორე წრე**

**სვეტლანა კუზნეცოვა** (რუს, 2)-სიბილ ბამერი (ავსტ) 2:6, 6:4, 7:5; **ფრანჩესკა სკიავონე** (იტა)-პატი შნიდერი (შვეი) 2:6, 6:3, 6:4

**მეოთხედფინალი**

**ფრანჩესკა სკიავონე** (იტა)-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 2) 6:3, 3,3 (კუზნეცოვას ტრავმა); **ნიკოლ ვაიდიშოვა** (ჩეხ)-ალონა ბონდარენკო (უკრ) 6:1, 6:4; **ჟუსტინ ანენი** (ბელგ, 1)-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) 6:4, 6:2; **ტატიანა გოლოვინი** (საფ)-მარიონ ბარტოლი (საფ) 4:5, (ბარტოლის ტრავმა)

**რეკლამა-განცხადებების გამოქვეყნებაზე ნებისმიერი შეკვეთების მიღება რეგიონებიდან შესაძლებელია რედაქციასთან სატელეფონო შეთანხმებით.**

**საკონტაქტო ტელეფონებია: 46 32 62; 899 55 48 97. "ლელოს" საბანკო რეკვიზიტებია: შპს "გაზეთი ლელო", "ვითიბი ბანკი ჯორჯია", ცენტრალური ფილიალი. ანგარიშის ნომერი: 016467589; საიდენტიფიკაციო კოდი: 203826075; ბანკის კოდი: 220101666; მფო 520289.**

ეროვნული სპორტული გაზეთი

**განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით**

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
**პაატა გელაშვილი**

რედაქტორები
**მამუკა ჩიხლაძე**
**გია თვალაბეიშვილი**

ქართული სპორტი
**ნიკოლოზ ნეფარიძე**
**პაატა თოთაძე**
**მერაბ მამულაშვილი**
**დავით ცაგაძე**
**ლევან ჯანეზაშვილი**
**გია ტუხაშვილი**
**დავით თავართქილაძე**
**ირაკლი თავაძე**
**ვაჟა სიმონიშვილი**
**ზვიად შათირიშვილი**
**კობა ხატისაშვილი**
**ბესიკ ჯანგავაძე**

უცხოური სპორტი
**შალვა ბიბილაშვილი**
**გოტფრიდ ლენცი**
**ილია ნიკოლაიშვილი**
**მერაბ ლორთქიფანიძე**
**დავით ჩუბინიძე**
**ზურაბ თალაკვაძე**

რეგიონული კორესპონდენტები:
**დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი**

ფოტო
**ალექსანდრე კოტორაშვილი**
**ნუგზარ სუარიძე**

ტექნიკური რედაქტორი
**მიხეილ ჯაში**

ტექნიკური ჯგუფი:
**მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი**

კორექტურა
**ლელა ხომასურიძე**
**ლევან ბიბილაშვილი**

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
**დავით მაისურაძე** (დირექტორის მოადგილე),
**გივი ვეშაპიძე**,
**ქეთევან დიდბერიძე**

მარკეტინგის სამსახური
**თამარ ჯიშკარიანი** (ტ: 46 34 48)
**ბაქარ გაჩეჩილაძე** (ტ: 899 91 87 17)

**პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.**

**2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".**

**სპორტი**

**გამოდიოდა 2002-06 წლებში.**

ლელოს მთავარი რედაქტორები:
**მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 64-76)
**ერემო მახათაძე** (1952-53)
**ირაკლი უგულავა** (1953-64)
**ანზორ ბასილაია** (1976-83)
**არჩილ გოგელია** (1984-85)
**თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან)

პარტნიორი:
**საქართველოს ოლიმპიური ფონდი**

მისამართი
**ახმეტელის 10ა,**
**0159 თბილისი**
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
**ტელეფონი:** 46 30 98, 46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
**ფაქსი:** +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა**